

K 22.758  
40

საქართველოს  
განმანათლებლო  
აღმწიქნებელი  
სამსახური

ლაიმა კლავინა

# იული სტრაუბე

გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტი



17916  
4



# იული სტრაუბე

---

სტრაუბე





Յ. Տրաւմ

ლატვიის სახელმწიფო არქივი

---

ლაიმა კლავინა

# იული სტრაუმე

გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი

---

$$3(4+4) + 745(479) + 745(52) + 745 \cdot 048(279) + 39(=946)$$



წიგნის მხატვრული ვაფორმება  
 ალდი ალექო

ლატვიურიდა თარგმნა:  
 ნონა ტაურიანა  
 ნინო იაკობიძე

ტექსტის რედაქტორი:  
 თამარ ნადირაშვილი  
 ვარდი თვალაძე

წიგნის ამწეობი:  
 გუნდუბა კარკლიანა

K 22758

- © ტექსტის ავტორი და შემდგენელი:  
 ლაიმა კლაფინა, 2004
- © მხატვრული ვაფორმება:  
 ალდი ალექო
- © ლატვიის სახელმწიფო არქივი, 2005
- © "ზინატნე", 2005

ს ა ქ ა რ თ ვ ი ე ლ ო ს  
 პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს  
 ე რ ო ვ ნ ე უ ლ ი  
 ბ ი ბ ლ ი ო თ ე ა

## შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . .	7
კარი პირველი . . . . .	9
კაგაკასია . . . . .	26
მამული . . . . .	47
ნამუშოდგომეცს . . . . .	77
შეჯამება . . . . .	90
შენიშვნები და გამომხატურებები . . . . .	92
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	113
შემოკლება . . . . .	117
იული სტრაუმეს ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები . . . . .	118
მნიშვნელოვანი გამოყენები, სადაც იული სტრაუმეს ნამუშევრები იყო გამოყენილი . . . . .	120
მნიშვნელოვანი პუბლიკაციები იული სტრაუმეს შესახებ . . . . .	122
იული სტრაუმეს 125 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება თბილისში . . . . .	122
იული სტრაუმეს ნამუშევრები . . . . .	123
დანართი . . . . .	136
იული სტრაუმეს მიღწევები . . . . .	136
სახლმრეწველობის მნიშვნელოვანი ნამუშევრების საძიებლად წარმოებული ექსპედიციები, რომლებშიც ასტრაუმეს მონაწილეობა აქვს მიღებული . . . . .	140
იული სტრაუმეს მონაწილეობა კაგაკასიაში ორნამენტის გამოკვლევაში . . . . .	142
გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში იული სტრაუმეს დაბადების 125 წლისადმი მიძღვნილი გამოყენის ექსპოზიცია 1999 წელს თბილისში . . . . .	145

## მადლობას გუხდი

ამ წიგნის შექმნაში გულისხმიერებასათვის და დაინტერესებულთათვის მადლობას გუხდი, დეკორატიული ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა დიდ ოჯახს. კერძოდ, აღიდა კრესლინას, რიტა რინკას, მარის კუნძინს. ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმის ფილიალს გულბენეში, დრუვიანის ეოფილ სკოლას; პირადად ანიტა გრაუშანეს; ლიგია ზეაფენეკაღნას; მემორიალური მუზეუმის თანამშრომლებს; გუსტავ შკოლტერს და ლატვიის ისტორიის მუზეუმს; მწერლობის; ოტატრისა და მუსიკის მუზეუმის სამიოხველო დარბაზის თანამშრომლებს; ასევე ნაოსნობისა და რეფის ისტორიის მუზეუმის სპეციალისტებს; პირადად, ლიგია ბლუმფელდეს. მადლობას გუხდი სახელმწიფო საზოგადოებრივი მუზეუმის თანამოსამაზურეებს, პირადად; მარა ლაკუს, მარიტა ბერხინას, ივეტა დერკუსოვას, ლუდმილა ნაიმიშევას, ედუარდ შმიტს.

საქართველოში, ისტრაუმეს ნაშრომების შესწავლაში ხელი შეგვიწყვეს, საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა. მადლობას გუხდი დავით კანკაველიძესა და ნინო ცინცაძეს, საქართველოში თავისი გულისხმიერებით სამუშაო შეგვიმსუბუქა. ლატვიის საპატრიო კონსერვაცია საქართველოში და თბილისში ლატვიელთა საზოგადოება "AVE SOL"-ის თავდგომარეობა, რეზინა იაკობიკე, ასევე ნონა ვაბილიასა და ნინო იაკობიძის დახმარებამ. მადლობელი ვარ ლატვიის სახელმწიფო არქივისა და ბიბლიოთეკის მარაგის მასალებთან მუშაობის საშუალებების მოცემისთვის. გამაყურებთ მნაშენლოვანი იყო ლატვიის კანონმდებლობის დარღვევების მუზეუმის დირექტორის, ინეტა კანეპაიას გულგებობა, რადგანაც, სწორედ ამ მუზეუმის მასალებში მოვიპოე ის ფოტომასალები, რომლებზეც ჰალაქ რეფის გამოყენებითი ხელოვნების სკოლის საფუძვლით განყოფილების აღსაზრდელთა სამუშაო აღსახება. მადლობას გუხდი ლატვიის საზოგადოებრივი აკადემიის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებს, პირადად, ინგრიდა ბურანეს და ბერნ სხვა ადამიანს, იმ არქივების და ბიბლიოთეკების თანამშრომელთა წრიდან, რომელთა დახმარებით სამუშაოება არ გამაჩნდა. მადლობა შევაპარეში მაცხოვრებელ ადამიანებს, რომლებიც ისტრაუმეს ინახავენ ხსოვნას, განსაკუთრებით ბეტრისა კარელინის და საულეკრიტა ვისეს. წიგნის შექმნის პროცესში დიდი დახმარება გავცივია აუსმა ბარცელბულმა, დიდი მადლობა მას. ისტრაუმეს ცხოვრებისეულ ამბებს გვიყვებოდნენ გლაგანებისა და პორუკების ოჯახები დრუვიანინდან, კურცაქინა ცუხილიდან და კოდევ სხვა. შატერის თანამდროვენი ტექსტის ნაწილობრივი თარგმნისთვის მადლიერი ვარ ანიტა როზასია, ასევე ვიტა ლაკუტისა — ისტრაუმეს წერილების ფრანგულიდან თარგმნისთვის.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის რეკონსტრუქციის, ლსამა-ის პროფესორ თაარ სმარატისაგან უადრესად დაგვალბული ვარ. სწორედ მან შთაბაგონა მანუქანიტის გამოცემა. მინდა ავღნიშნო, წიგნის გამოცემისთვის — ლატვიის სახელმწიფო არქივი და გამოცემისთვის "შიდატრე", კულტურ კამპიტალური ფონდის მხარდაჭერა, რომლის წყალობითაც ნაშრომი გამოცემის ხელში მოხვდა. ძალიან მადიდ შეფასებას ვაძლევ ხალხის მხარდაჭერას, რომლებიც უკვე, სამუშაოთაოდ, ჩვენს გვერდით აღარ არიან — მიღდა სტენანასა და ჟურნალ "Latvju Māksla"-ის რედაქტორმა არნოლდ სიდელდეს. ახლოდევებს წერილს, იმპორტის მონაცემების შესახებ, შე კვლავაც ვინახავ, როგორც მინდავას ხსოვნას და კუთლიშობილი ადამიანების არსებობაზე შესხენებას.

## წინასიტყვაობა

ეს წიგნი წარმოადგენს, პირველ მნიშვნელოვან ნაშრომს აქამდე ნაკლებად შესწავლილი, თავისებური პიროვნების ისტორიულ-სოციალური ცხოვრებისეული გზისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ. ლატვიის სახელმწიფო არქივის დოკუმენტებზე, ასევე სხვა არქივებზე, მუზეუმებზე, ლატვიის, საქართველოს და რუსეთის კერძო კოლექციებზე და თანამედროვეთა მოგონებებზე დაფუძნებული ეს გამოცემა, საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მხატვრის დანატოვარს.

ლატვიის სახელმწიფო არქივში ინახება თელი სტრაუმეს ნაშუქვრები, ბიოგრაფიული და სხვა დოკუმენტები მისი ცხოვრების შესახებ, რომლებიც 1972 წლის 4 მაისს შესანახად ჩააბარა მხატვრის მემკვიდრემ მილდა სტეინამ. იმავე წლის სექტემბერში, ლატვიის სახელმწიფო არქივმა, (მამინდელი ლატვიის სსრ-ს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალიზმის შშენებლობის სახელმწიფო არქივი), ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში, შექმნა თელი სტრაუმეს მასალების პირველი ძირითადი პერსონალური ფონდი, რომლის ხელმძღვანელი იმ დროს რიტა ვიტოლა იყო. თელი სტრაუმეს ფონდში, ბევრი მისი ნაშრომი ინახება: ნახატები, პროექტი, ფოტო, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მხატვრის შემოქმედებით პროცესში ჩავხედეთ. ფონდის მეორე ნაწილი უმეტესად მიმოწერის მასალებსგან შედგება, განსაკუთრებით საინტერესო და კულტურული ღირებულების მქონე ისტორიულ-სატრფოსადმი მიძღვნილი წერილები (ფრანგულ ენაზე). შემდგომში მისი მუდღე აუგუსტა რონგო.

წიგნის დაწერის პროცესში, ისტორიულ-სოციალურ ცხოვრების, მისი შემოქმედებისა და ებსტოლარული მემკვიდრეობის შესასწავლად, ვაწუელა დიდი სამუშაო. დადგინდა საბუთების დაწერის ადგილი და დრო. პირველად ქვეყნდება ისტორიულ-სოციალური აუგუსტა რონგოსადმი მიწერილი წერილები. შერჩეული წერილების ფრაგმენტები, ნარკვევების ტექსტებს ავსებენ და საშუალებას იძლევიან, მკითხველი მხატვრის პიროვნების ღრმა შემეცნებას მიუახლოვონ. მრავალწერტილიანობა წერილების ტექსტში გამოტოვებას მიუთითებს.

ისტორიულ-სოციალურ ცხოვრების გზის გასაშფორად საკმარისი არ არის ლატვიის სახელმწიფო არქივის საბუთები, ამიტომ ვაწუელა დიდი და დატვირთული სამუშაო, რომ შესაძლებლობების ფარგლებში, შესწავლილიყო მხატვრის

დანატოვარი ლატვიის სხვა ადგილებში, ასევე სანქტ-პეტერბურგსა და თბილისში (ინდიელთა გამოყენებული წყაროების სია). უკეთ, რომ გავგვეო კავკასიის ხალხთა ტრადიციები და მათი კულტურული დანატოვარი, ჩვენ ვიყავით დადესტინის მთიან დასახლებასა და რამოდენიმე ქალაქში, რომლებიც ისტრაუმეს წერილებში მოიხსენიება. გამოვლენულია აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს ძველი კულტურული ცენტრები. ჩვენ მოვინახულეთ გელათი და ენჭიადინი, სადაც იული სტრაუმე, მეოცე საუკუნის დასაწყისში, უძველეს საკულტო საგნებს ხატავდა.

კავკასიისა და გარე კავკასიის გამოყენებით ხელოვნებაზე თხრობის დროს გამოყენებულია მინიშნება - კავკასიის ხალხთა ხელოვნება, რომელსაც თვითონ ისტრაუმე იყენებდა. შედეგად, მისი შემოქმედების დანატოვარს ვერ ვაფუოფთ ორი გამეფებული სარწმუნოების ქრისტიანობისა და ისლამის შემოქმედების ან გეოგრაფიული განლაგების ნიშნების მიხედვით... 1921 წლის პერიოდაშიდელი კავკასიის აღწერისას, გამოყენებულია ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც სამეფო რუსეთში არსებობდა. 1918 წლის 1 თებერვლამდე, იული სტრაუმეს ცხოვრების ქრონოლოგიური მონაცემები, და ასევე სხვა ცნობები ძველი სტილით იხსენიება. ადგილმდებარეობის დასახელება, ადამიანთა სახელები და სხვა მოხსენიებული საბუთები დაწერილია თანამედროვეობის დამწერლობის წესით. კავკასიის ხალხთა ტექსტილის დამზადების ძირითადი ადგილები მითითებულია ისტრაუმესა და კავკასიის კუსტარული კომიტეტის საბუთების მიხედვით, ამიტომ ტექსტში კუბა, როგორც რაიონად, ასევე ოლქად და უბრალოდ კუბადაც არის მოხსენიებული, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ არის დაწერილი კონკრეტულ საბუთში. ტექსტი ფოტოსურათებით არსებოთად ივსება, რომლებიც ისტრაუმეს ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდებს ასახავს, და ასევე საშუალებას იძლევა, წარმოგვანა ვიქინოთ მეოცე საუკუნის კავკასიის მთიან რაიონებში ტექსტილის დამზადების მეთოდებზე.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ოსტატმა, იული სტრაუმემ მრავალ კულტურას გაუხსნა ვული წონის მიზანია მკითხველს გააცნოს მხატვრის ცხოვრებისა და პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი ჩვენი ხელოვნების ისტორიასა და კავკასიის ხალხთა გამოყენებით ხელოვნებაში მისი პიროვნების არაორდინალობით შეტანილი წვლილის გააზრებაში დაგვეხმაროს.



## კარი პირველი

იული სტრაუშეს მშობლიური მხარე ლატვიის ჩრდილო-აღმოსავლეთითა, დრუვიენა-თანამედროვე ადმინისტრაციული განლაგებით, დრუვიენას ოლქი გულებენეს რაიონს მიეკუთვნება.

დრუვიენას მშენიერებას სიმშვიდის განცდა ახასიათებს. არეშარეს არყის ხის ჭალებითა და ნაძვნართ შეკაზმული გორაკები, მცირე ზომის ტბები და მდინარეები აშშენებს. ეს ყველაფერი, დრუვიენელებს გულის სიღრმეში უყვართ. დრუვიენაში მცხოვრები საგვარეულოები, რომელთაგანაც თანდათანობით ამ პატარა კუთხის ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბდა, ათეული წლების განმავლობაში ერთმანეთში დამოყვრდნენ და გაზრავდნენ. მრავალმა დრუვიენელმა - იანის და იაკობს პორუკებმა, ძმებმა კარლის და რუდოლფ ეგლესებმა, იანის და იული სტრაუშეებმა, ლატვიის კულტურაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მათ მზერას საიდუმლოებით მოცული ფიჭვნარი, მითებში ჩაქარული ეშმაკუნას ტბა, მოსწორებული ველები, რომელზედაც დახლართულად მიედინებოან მდინარე ტირზა და სხვა მდინარეები, შუაგულ პარკში ბარონის კარმიდამო გადაეშალა, მაგრამ ყველაზე ძალიან მესსიერებაში მშობლიური კერის მომხიბვლელობა აღიბეჭდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დრუვიენელი ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი სწავლისკენ მიისწრაფოდა და საბედნიეროდ, ყოველდღიური ცხოვრების მძიმე ზეწოლის ქვეშ მათი, ნიჭის ნაპერწკალი არ ჩამქრალა.

1874 წლის 20 ივნისს, იული კარლის ოსკარ სტრაუშე<sup>1</sup> დაბა დრუვიენაში, კემში დაიბადა. ამავე წლის 28 ივლისს, ვაჟი ტირზას ეკლესიაში მოინათლა. მხოლოდ პირველ ვაჟმშვილს, იანისს, მშობლებმა ერთი სახელი დაარქვეს. სტრაუშეთა ოჯახის დანარჩენ ბავშვებს, ნათლობისას ორი ან სამი სახელიც<sup>2</sup> კი, ჰქონდათ მინიჭებული. ასევე კარლის ავუსტუს, რომელიც 1970 წლის 19 მარტს, წლინახევარის ასაკში, ქუთორუშის დაავადებით გარდაიცვალა. კარლისმა და ანა სტრაუშემ ოთხი შვილი აღზარდეს: იანისი, ემა, ელიზა და იულია. მშობლები, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, შთამომავლობისთვის განათლების მიცემას ცდილობდნენ, განსაკუთრებით დიდ იმედს ვაჟმშვილებზე ამყარებდნენ.

იული მშრომელი გლეხის ოჯახში იზრდებოდა, მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის უმეტეს ნაწილს სახელმწიფოსა და ბარონს უხდიდნენ. ეს ის დრო იყო,

როდესაც მრავალმა დრუვიენელმა გლეხმა სახლი იყიდა, მაგრამ შემაძულესათვის მთელი თანხის სრულად გადახდა, მათგან მხოლოდ გამოხაკლისებმა შეძლეს. ამიტომ, გლეხობის უმეტესი ნაწილი მოვალედ დარჩა. კემპის შეპატრონე, კარლის სტრაუშე, კანონის უზენაესობას ეჭვქვეშ არასოდეს აყენებდა და სამართლიანი გადაწყვეტილების მოძიებას, ზმირად დაბის სასამართლოში ეცადა. კარლისი სიმკაცრითა და პრინციპიალურობით გამოირჩეოდა და დაუნდობელიც ხდებოდა, როდესაც საკითხი მის შვილებს ან საკუთრებას ეხებოდა.<sup>3</sup>

დედა, ანა სტრაუშე (ქალიწვილობაში ზომერე), ბუნებით უფრო რბილი ადამიანი და როგორც სოფლის მაცხოვრებელთა უმეტესი ნაწილი, შრომისმოყვარე და სიღამაზის აღქმის უნარით დაჯილდოვებული ქალი იყო. იგი თავის ქალიწვილებს ქსოვისა და ხელსაქმის საიდუმლოებებს ასწავლიდა.

გოგონებს ბავშობაშივე ერთმანეთსაგან ძალიან განსხვავებული ხასიათი ჰქონდათ. უმცროსი დის, რომანტიკოსი ელიზას სიღაზემემ მისივე თანაკლასელის, შემდგომში გამოჩენილი პოეტის, იანის პორუკის ვუელი დაიბყრო. სკოლისდროინდელი სიმპატიები ბავშობის მოგონებად დარჩა. შემდგომში, გოგონა, თავის სამყაროში სულ უფრო და უფრო ჩაიკეტა და რელიგიას შეეკედლა. იგი ტკივილისა და სულიერი განცდების მიმართ მგრძობიარობით გამოირჩეოდა. შემდგომში მკერავი გახდა. მრავალი დრუვიენელი ქალი მის მიერ შეკერილ ტანსაცმელს ატარებდა. უფროს დას, ემას, ყველა სასიცოცხლო საკითხთან დაკავშირებით რაციონალური აზროვნება და პრაქტიკული მიდგომა ჰქონდა. კომუნიკაბელური და ოპტიმიზმით აღსავსე ემა, ლიელტრუშის შეძლებულ მეპატრონეს, კარლის პორუკს, ცოლად გაჰყვა. კარლის პორუკი გონიერი, საინტერესო და ენერგიული ადამიანი იყო. 1895 წელს, ემასა და კარლის პორუკების ოჯახს გაჟი, იეკობი, შეეძინათ.<sup>4</sup>

დრუვიენაში პორუკები უძველესი და საპატივცემულო საგვარეულო იყო, მაგრამ მათი კეთილი სახელი, დაბის შამასახლისის მიერ იქნა შელახულ, რომელიც იანის პორუკის მამა, იაკობი განლდათ. იგი დაბის ფულის გაფლანგვაში დაადანაშაულეს და 1893 წელს, საბუთებისადმი უპასუხისმგებლო მოპყრობისათვის გაასამართლეს.<sup>5</sup> მამინვე, დრუვიენელებს ათი წლის წინანდელი სასამართლო პროცესი გაახსენდათ, რომელზეც კარლის და იაკობ პორუკებს შეთანხმების შეუსრულობისა და კემპისთვის მატერიალური ზარალის მიყენებისთვის კარლის სტრაუშე უჩიოდა.<sup>6</sup>

ისტრამეს მშობლიური სახლკარი, კემპი. შესასვლელთან სახლას მეპატრონის ანდრეა გარანას ქალიწვილი მარტა კრეიშანე შედლით, სკაიდრიტე, 1928წ.

ფოტო კრისი არქივიდან.



მაშინ, კარლის სტრაუშემ, კემპები გაყიდა და იანგულბენში, ვალგაუსკასა ან სნება, მისი აზრით საცხოვრებლად უფრო პერსპექტიულ ადგილას, გადასვლა გადაწყვიტა. მყიდველიც ცნობილი გახლდათ, იეკობ პორუკის სახით, კარლის პორუკის მიერ შესთავაზებული. კემპის ოდის შესყიდვასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, იეკობ პორუკი არ ესწრებოდა. მალევე, სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაც იქნა ხელმოწერილი და კემპის მეპატრონემ ახალი საცხოვრებელი ადგილის ძებნა დაიწყო მთელი შემოგარე რაიონები მოიარა. სამწუხაროდ, კარვად წამოწყებული საქმე ჩაიშალა, რადგანაც გლეხებს შორის დადებულ ხელშეკრულებას ბარონ ვოლფის თანხმობის გარეშე ძალა არ ჰქონდა, ხოლო მის მიერ შეთავაზებული პირობები პორუკების ოჯახისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. კარლის სტრაუშე, დაუმთავრებელი საქმის ხარჯების დათვლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ დანაკარგი ძალიან დიდი იყო და ორივე პორუკზე სასამართლოში ჩივილი საქმროდ ჩათვალა.<sup>7</sup>

გარეგნულად მშვიდ დრუვიენელებს, როგორც ქედმაღლობა, ასევე სიჯუსტე ახასიათებდათ. მათ შორის, სტრაუშეთა ოჯახის უფროსი ვაჟი, იანსიც, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანთა რიგს მიეკუთვნებოდა. 1881 წელს, იგი მასწავლებლად მუშაობდა. ამავე დროს მან ფურნალისტიკაშიც დაიწყო მოღვაწეობა. იანის სტრაუშემ შეამჩნია, რომ თავადაზნაურობა რაიონში გაზეთის "LATVIEŠU AVĪZES" (ლატვიელთა გაზეთი) გავრცელებას უწყობდა ხელს, ხოლო გაზეთ "BALSI"-ს (ხმა), რომელიც ბარონთა პრივილეგიებს არ ცნობდა, აშკარად უხელდავდა გავრცელების შესაძლებლობებს. ოცი წლის ახალგაზრდა ადამიანი მღვდელისთვის, იოჰან ალფრედ ნიკოლაი პორტისათვის,<sup>8</sup> წერილის მიწერა გადაწყვიტა, რათა დაეცვა გაზეთი, რომელიც თავისი მოღვაწეობით, ლატვიელთა უკეთესი ცხოვრებისათვის ლტოლვას უწყობდა ხელს. წერილი ბარონ ვოლფთან მოხვდა, რომელმაც თავის მხრივ, იანის სტრაუშეზე საოლქო სასამართლოში საჩივარი შეიტანა.<sup>9</sup> სასამართლომ დაასკვნა, რომ ბარონს იანისის წინააღმდეგ მტკიცე დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნდა.<sup>10</sup> ამიტომ, საქმის წამოწყებაზე უარი განაცხადა. სრულიად შესაძლებელია, რომ ზუსტად ამ შეხლამ იანისსა და ბარონს შორის, კემპების მეპატრონეს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის სურვილი გაუჩინა. ყველაფრისდა მიუხედავად, არაფერი შეცვლილა და სტრაუშეების ოჯახი დრუვიენეში ცხოვრებას აგრძელებდა.

კემპის სურნუობის დიდი ბელელი (1873წ. აქნებული). 1999წ.

იანისის და ემას ცხოვრებაზე ზრუნვა მშობლებისათვის სირთულეს არ წარმოადგენდა, ხოლო პატარებს ელიზას და თელის, ჯერ კიდევ სიფლიის დაწყებითი კლასების სკოლაში უნდა ესწავლათ. ამიტომ, კემპებში ფულს ეკონომიას უწევდნენ და ყურადღებით ითვლიდნენ. ოჯახს მთელის გულმოდგინებით წარმატებისთვის უნდა ებრძოლა, რათა ბავშვებისთვის კეთილმოწყობილი მომავლის უზრუნველყოფა შესძლებოდა. იული ძალიან დაკვირვებული ყმაწვილი იყო, მასზე დედის შრომისმოყვარეობა აღიბეჭდა, რომელიც დაზღაურებულ საბნებს, სუფრებსა და სხვა ოჯახისათვის საჭირო ნივთებს ქსოვდა. მისთვის არც ოჯახის სხვა წევრების შრომისადმი სიყვარული დარჩა შეუმჩნეველი.

იანისის გარშემო ყოველთვის ახალგაზრდა თანამოაზროვნეთა წრე იკრებოდა. ერთხელაც, მათთან ერთად, ვალგაუსკას რაიონში, ნარატუს სახლთან, შუაგულ მინდორში, უძველესი დიდებით მოცული ჯვაროსნების ციხესიმაგრეებს ნანგრევებს ძიება მთაწყო. სახლის მეპატრონე, თავის ტერიტორიაზე გერმანელი რაინდების დანატოვარის გათხრების წარმოებაზე, დიდი აღფრთოვანებით დათანხმდა. შემდგომში ამ მნიშვნელოვანი ამბის ინციტორი, იანის სტრაუშე გვაუწყებდა:

*“როდესაც 4 ან 5 კვალი ვაგთხარეთ და ქვების ზიდავით უკვე საკმაოდ დავიღალეთ, ნაგებობების მრავალი ნანგრევი და ბევრი დამტვრეული, დუშელში საჭმლის მზადებისთვის განკუთვნილი ჭურჭელი აღმოვაჩინეთ [...] ზოგიერთ მათგანზე კაცის, ზოგიერთზე ქალის, ხოლო სხვა დანარჩენებზე ცხოველების გამოსახულება იყო აღბეჭდილი. გათხრებისას ასევე აღმოვაჩინეთ ქსოვილის რამოდენიმე ნაგლეჯი, რომლებზედაც ლათინური ასოები “ROM”, ზოგიერთზე კი “VER” ეწერა [...]. ის რომ აქ რაინდების საცხოვრებელი ნამდვილად იყო, აღმოჩენილმა დაადასტურა. მოძიებული ნივთების შესწავლის შედეგად, შევეძლია დავასკვნათ, რომ აქ საკმაოდ მდიდრული სახლი უნდა ყოფილიყო.”<sup>11</sup>*

სტრაუშეთა ოჯახის ყველა ბავშვს, ცნობისმოყვარეობა ახასიათებდა. მათ შორის უმცროსებსაც – ელიზას და თელის. მათი ფანტაზიის განვითარებას ხელს უწყობდა ამ რეგიონში მრავლად არსებული სხვადასხვა ლეგენდა და მითი: დრუვიენეს მამულებსა და ბელღებზე, ფულით სავსე კასრებზე და საგანძურებზე, თხის ქალებსა და ნივთების მთაზე, შვედეთის ომიანობის დროს იყო ჩამარხული. ასევე დრუვიენეს მამულში, ვერცხლის წყაროში ჩაძირულ ფულით სავსე კასრზე შეიხსურდი.<sup>12</sup> სამწუხაროდ, საგანძურის პოვნა არცერთ დრუვიენელს არ გამოუვიდა. აი, ბავშვებს რომ ფულიანი კასრი ამოეღოთ, მაშინ მშობლებს ყველა საზრუნავი გადაწყვეტილი იქნებოდა...

ტირზას ეკლესია. 1999წ.

სამწუხაროდ, ბავშვებს სიმდიდრეების აღმოსაჩუნად ზეღსაყრელი მომენტი არ ჩაგარდნათ, რადგანაც ელიზასთვის და თელისთვის სახლში ყოველთვის მონახებოდა სამუშაო, ამასობაში შეუმჩნეველად, სკოლის დროც მოვიდა, თავისი ახალი თავსატეხებით.

1887 წლიდან - 1890 წლამდე, იული სტრაუშე დრუვიენას დაწყებით სკოლაში სწავლობდა.<sup>15</sup> მასწავლებელი იანის კალნინში,<sup>16</sup> ძირითად საგნებად სთვლიდა: თეოლოგიას, სიმღერას, ლატვიურ ენას, არითმეტიკას, გეოგრაფიასა და სუფთა წერას, იგი რუსული ენის სწავლებას შექლებისდაგვარად გაუნბოდა, რომლიც 1886 წლის საგანმანათლებლო რეფორმის მიხედვით, როგორც საგალდებულო საგანი იყო გათვალისწინებული. მასწავლებელი გულისნიჭიერი ადამიანი ვახლდათ, იგი ნიჭიერ მოსწავლეებს სხვა, მათ შორის უმაღლეს სკოლებში, სასწავლებლად მომზადებაში ეხმარებოდა. იულის იანის პორუკს<sup>17</sup> შესახებ ქება ზმირად ესმოდა, რომელიც სოფლის სკოლა რამოდენიმე წლით ადრე დაამთავრა. მასწავლებელს ბიბლიური ისტორიები, ნამდვილ ეთიკის გავრცელებად შექმლო გადაეცა. ის ყურადღებანი აღმზრდელი იყო და ნიჭიერ ბავშვებს შეუმჩნეველს არ ტოვებდა. შესაძლებელია, რომ სწორედ მან, პირველმა, შეამჩნია იულის ნატვისადმი დაინტერესება.

1925 წელს, იული სტრაუშეს მიერ დაწერილი რამოდენიმე ხაზია შემორჩენილი ნატვის სასკოლო საგარჯიშოების შესრულების შესახებ: *"ჩემი გონება ნატვით იყო ვატაცებული უკვე მაშინ, როცა ნავთში გააღენთილ ქაღალდზე ვსატავდა, სახლში მონახულ ყველა ოლეოგრაფიას ვეფხვებზე ნადირობის, ჯოჯოხეთური წამებისა და ზეციური სხარულის სიუჟეტებს. ნახატების დამოუკიდებლად შექმნის მცდელობაც დავიწყე, მაგრამ სისტემატიური ნატვის სწავლისთვის აუცილებელი პრაქტიკული შენიშვნები მაკლდა. ადგილობრივმა ბარონმა, რომელსაც ჩემი ნატვისადმი მისწრაფება გაგებული მქონდა, ერთხელ რიგიდან იოჰან ფაბერის ფანქრების ყუთი ჩამომიტანა, სალი და რბილი ფანქრებით. ჩემს სხარულს საზღვარი არ მქონდა. საჩუქრისათვის მე ბელურებისაგან ალუბლის დასაცავად გამოსაყენებელი რამოდენიმე არშინის სივრძისა და სივრძის ბადე მოეუქსოვე. მხოლოდ შემდეგ კი ფანქრებით დავსაქმდი. ნატვის ტექნიკა ცუდი მქონდა. სწორ ნაზებს დამორჩილება არ სურდათ. ამაში იანის პორუკის დაქმნარა. ერთხელ მან თავისი ნახატებით სავსე რეგული მომიტანა. ეს ნახატები უმჯველად სამრეგლო სკოლის დროინდელი იქნებოდა. მანსოვს, რომ უამრავ გეომეტრიულ ფიგურათა*

დრუვიენას ციხე, რეკონსტრუქციამდე. 1957წ.

გულბენუს ისტორიისა და მიატვირისა მუზეუმის საკუთრება.

შორის ზოგიერთ საფლავის მონუმენტი იყო, ზოგიერთი პერსპექტივაში შესრულებული ზოგიც ჩრდილებით დახატული. ეს ყველაფერი უსაზღვრო ელევანტურობით, სისუფთავით იყო შესრულებული და არც კი მეჯვრა, რომ ხელით შეიძლებოდა ასე ლამაზად ხატვა.<sup>16</sup>

რწმენა იმისა, რომ ისიც შესძლებდა ხატვას, იულის თანდათანობით სულ უფრო უმტკიცდებოდა. ყოველი შემთხვევისათვის, ისევე კარვად, როგორც იანის კარლისი. მაგრამ ამ მზნის მისაღწევად სოფლის სკოლა არ იყო საკმარისი, ამიტომ ყმაწვილმა სწავლა ტირაზას მრევლის სკოლაში<sup>17</sup> განაგრძო. ხოლო ამ სკოლის დამთავრების შემდეგ, თავის ძმასთან, იანისთან,<sup>18</sup> ქალაქ ელგავაში ვადავიდა, რომლის მატერიალური დახმარებითაც განათლების გაგრძელება შესძლო.

1889 წელს, იანის სტრაუშე, ელგავის ლატვიელთა საზოგადოების აქტიური მოღვაწის, მასწავლებლის და წიგნების გამყიდველის, იოჰან შილერის ქალიშვილზე დაქორწინდა და სულ მალე, ქალაქ ელგავის გამოჩენილი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის სახელგანთქმულ პიროვნებად იქცა. იგი თავისი ინტერესების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა<sup>19</sup>: ფოლკლორზე სტატეობა ხალხური სიმღერების დამუშავება, კომპოზიტორობა, ვაზეთ "TĒVIJA"-ში (მაშული) მოღვაწეობა, მომღერალოთა გუნდის ხელმძღვანელობა და დამწვებ მუსიკოსთათვის მუსიკის კერძო ვაკეეთილები - ყველა ეს საქმიანობა ერთმანეთში ვადახლართული იყო. იულის სწავლისადამი ძლიერ სურვილს იანის სტრაუშე მზნანდასახულად უწყობდა ხელს, ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოქმედების მნიშვნელობას აზვიადებდა და მის ხალხში ვავრცელებაზე ზრუნავდა. 1892 წლიდან 1893 წლის ჩათვლით, იული ქალაქ ელგავის, ალექსანდრეს სახელობის სკოლაში სწავლობდა. ის ბეჯითი და კასელეებთან მეგობრული მოსწავლე იყო. სურდა თავისი ძმისათვის მიეძაძა. იული თანასკოლელთა ჯგუფს შეუერთდა, რომლებიც საღამოობით შეხვედრებს აწყობდნენ, აქ ახალგაზრდები ლატვიის თანამედროვე პრობლემების განსახილველად იკრიბებოდნენ. ერთ-ერთმა მოსწავლემ ამ წრის შესახებ პოლიციას შეატყობინა და სკოლის ხელმძღვანელობას ჯგუფის ყველა წევრისთვის ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება მოუწია.<sup>20</sup>

ეს შემთხვევა, ერთის მხრივ, ცხოვრებისეული გზის ბედნიერი დასაწყისისათვის, არ აღმოჩნდა შემაფერხებელი. 1894 წელს იული სტრაუშე ელგავაში, კურზემეს კამერული პალატის კანცელარიამში, მწერლის თანამდებობაზე მიიღეს. სტაბილური შემოსავალი მისთვის აუცილებელი იყო, რათა განათლების გასაგრძელებლად

დრუვიანას დაბის სკოლა, 1966 წლის 10 ივნისი. და — დრუვიანას ყოფილი სკოლა — მუზეუმი, 1999 წ. ღებმ; მ.კენინის ფოტო.





ფული შეევროვებინა... 1897 წელს, მას კანცელარიის მოხელის შესაძენად ხარისხის წოდება მიანიჭეს და ნამოღვაწარი უკვე სამი წელი შრომით სტაჟად ჩაუთვალეს. ამ სამი წლის განმავლობაში, მისი ცნობებისეული გამოცდილებაც ძლიერ გაიზარდა, იგი გაეცნო "JAUNĀ STRĀVA"-ის (ახალი მოძრაობა) წევრებსა და მათ იდეებს. ეს ინტერესი მასში კიდევ დიდ ხანს შენარჩუნდა. ახალგაზრდა ადამიანში საკუთარი ბედის გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ აზრმა ფესვები მტკიცედ გაიდგა. 1898 წლის ზაფხულამდე<sup>21</sup> იგი კურსემეს პალატაში მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა, მაგრამ სახელმწიფო მოხელის კარიერა სრულიად არ აინტერესებდა. კანცელარიის მწერლად მუშაობასა და ერთფეროვან საქმეს მისთვის თვითკამყოფილების შეგრძნება არ მოჰქონდა და მან შორეული ოცნების რეალისაცა გადაწყვიტა - სიცოცხლე მხატვრობისთვის მიედევნა. ელვაფაში მხატვრისა და პედაგოგის, ედუარდ დანიელ ფელსკოს<sup>22</sup> ხატვის კურსებზე სისტემატორი ვარჯიშით, თუღმ ხატვის ტექნიკა, ნახატის პერსპექტივის ძირითადი ცნებები, კომპოზიცია და ფერი ისე ათვისა, რომ თავის შესაძლებლობებში სრულიად დარწმუნდა.<sup>23</sup> 1898 წლის 21 ივლისს, დამწყებმა მხატვარმა განცხადება დაუწერა ა.შტიგლიცის სახელობის პეტერბურგის ტექნიკური ხატვის ცენტრალური სკოლის ხელმძღვანელობას, რათა იგი ამ სკოლის აღსაზრდელად მიეღოთ.<sup>24</sup>

სამეფო რუსეთში სამხატვრო განათლებას იმ დროს სამი წამყვანი ცენტრი იძლეოდა - მოსკოვის მხატვრობის, წარმოსახვისა და მშენებლობის სკოლა; პეტერბურგის სამხატვრო აკადემია და ბარონ ალექსანდრე შტიგლიცის<sup>25</sup> (შემდგომ ტექსტში - შტიგლიცის სკოლად) ტექნიკური ხატვის ცენტრალური სკოლა. რუსეთში შტიგლიცის სკოლა გამოყენებითი ხელოვნების დარგში ყველაზე სახელგანთქმულ სასწავლო დაწესებულებად ითვლებოდა. მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 ასწლეულის დასაწყისში იგი უმნიშვნელოვანეს სასწავლო დაწესებულებად იქცა, სადაც სამხატვრო განათლება ბევრმა ლატვიელმა ახალგაზრდამ მიიღო. აქ შოლოდ განსაკუთრებულად წარმატებულ სტუდენტებს ეძლეოდათ სახელმწიფო სტიპენდიისა და უცხოური მივლინებების მიღების შესაძლებლობა.

დრუვიჩას დაბის სიმღერის გუნდი. 1900წ.

პირველი რიგის ცენტრში, მასწავლებელი იანის კალინში ქალიშვილ ვერათა, მეორე მარცხნიდან ოლი სტრაუმი (სანქტ-პეტერბურგიდან სტუმრად ჩამოსული) მარცხნიდან შექვე-  
 ა. სტრაუმიც დის, ემას ქმარი კარლის ბორუკა. მეორე რიგში ისტრაუმიც დევი, მარცხნიდან  
 მეოთხე - ელიზა სტრაუმი, შექვე - ემა ბორუკა (ქალიშვილობაში სტრაუმი).

გულბენის ისტორიის და ხელოვნების მუზეუმის საკუთრება; ი. პრივიმის ფოტო. აღტმვანგბურცა.



მისაღებ გამოცდებზე მოწაფეს, თაბაშირის ორნამენტი და ვოლპეტრიული ფიგურები უნდა დაეხატა. იულის შეუპოვრობა დაჯილდოვებული იქნა - იგი მიიღეს იულისთან ერთად ასევე ბურკად ძენი,<sup>26</sup> აუგუსტ იულა<sup>27</sup> და კიდევ რამოდენიმე ლატვიელი მოეწყო.<sup>28</sup> ბირველი მიღწევებით აღფრთოვანებული იული დრუეიენაში დაბრუნდა, რათა თავისი წარმატება ახლობლებისთვის გაეზიარებინა. რამოდენიმე კვირა მან თავის დასთან, ემასთან, დაბა ლიელტრუში გაატარა, რომელსაც მუერნეობაში ესმარებოდა და მომავალი სწავლისთვის ძალას იკრუფდა. აქ იგი იანის ბორუკს კვლავ შეხვდა. დაბა ლიელტრუში სტუმრობდნენ რადგანაც ორიგეს, ემა და კარლოს ბორუკების, ობტიმიზმი ხიბლავდა.<sup>29</sup> ისინი მოწილად უძღვებოდნენ მეოჯახეობას დაბაში. ლიელტრუში უაღრესად ახალი ტექნიკით აღჭურვილი აგურის გამოსაწვავი საამქრო მუშაობდა. იანის ბორუკმა თავისი ნათესავი, კარლოს ბორუკი, ენერგიული და იღბლიანი მეპატრონის პროტოტიპად ბევრ პიესაში გამოიყენა, ხოლო იულის დები, ემა და ელიზა, პიესის "HERNŪTIEŠI" (პერნუტელეები)<sup>30</sup> გმირების პროტოტიპებად იქცნენ. სამწუხაროდ, შემდგომ წლებში იანის ბორუკთან ურთიერთობა შეწყდა. იული სტრაუჟე წერდა: *"1990 წლის შემდეგ, როდესაც მე საშხატერო განათლების ვასაგრძელებლად, პეტერბურგში წავიდი ჩვენი შესვედრები სულ უფრო და უფრო იშვიათი გახდა და როცა 1905-1907 წლებში ევროპაში ვავემგზავრე, საერთოდ შეწყდა. შემდეგ კი კავკასია."*<sup>31</sup>

ზაფხული დრუეიენაში სწრაფად მიიღია და იულიმ პეტერბურგში, შტიგლიცის სკოლაში, სადაც მისი ბირველი სასწავლო წელი იწყებოდა, ვასამგზავრებლად მზადება დაიწყო.

შტიგლიცის სკოლა დეკორატიული სამეწარმო და გამოყენებითი ხელოვნების დარგების სხვადასხვა სპეციალისტებს ამზადებდა. აქ ცოდნას მომავალი დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტები, გრაფიკოსები, ხატვისა და ხაზვის მასწავლებლები ღებულობდნენ. პროგრამაში კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ვრცელი კურსი შედიოდა. ფრანგული ენა გაძლიერებულად ისწავლებოდა, რადგანაც სკოლაში სუფევდა აზრი, რომ მხატვარი ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი უნდა ყოფილიყო.

შტიგლიცის სკოლა მთელს უზარმაზარ რუსეთში იყო ბოპულარული. ასევე ბალტიისპირა გუბერნიებშიც. მხატვრობა, წარმოსახვითი ხელოვნება, ქანდაკება, რომელსაც იქ ასწავლიდნენ, უზრუნველყოფდა კარგ პროფესიულ მომზადებას. შტიგლიცის სკოლაში, როგორც მხატვრობის, ასევე გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში ოსტატობის შეფასების ზღვარი, სტუდენტების ცოდნისადმი მასწავლებლების მოთხოვნები ძალიან მაღალი იყო. სკოლას თავისი მუზეუმიც გააჩნდა, სადაც სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ ნაკეთობათა ნიმუშების შესწავლა



იყო შესაძლებლობა. კომპონიციის გაკვეთილებზე შესწავლიდნენ ვოთიკურ, რენესანსის, როკოკოსა და სხვა მიმდინარეობებს. ეცნობოდნენ უძველეს რუსულ, იაპონურ, ჩინურ, სპარსულ ხელოვნებას, მათ ე. წ. ოუგენდსტილისათვისაც<sup>32</sup> არ აუგლიათ გვერდი, რომელის შესახებაც თელი იაუნკაღინიში<sup>33</sup> სტუდენტებისთვის ინფორმაციას საგულდაგულოდ ამზადებდა. იგი აღსაზრდელებს ასევე ევროპაში დეკორატიული ხელოვნების ახალ ტენდენციებზე უყვებოდა. 1898 წლიდან, ოუგენდსტილის პოპულარიზაცია სკოლის სხვა ლექტორებმაც დაიწყეს. ოუგენდსტილის გავლენა თელი სტრაუმეს სწავლის პერიოდში შესრულებულ მრავალ ნამუშევარში შეიმჩნევა, განსაკუთრებით, 1903 და 1904 წლებში (ინილეთ გამოსახულება 4-7, დანართში)<sup>34</sup> შესრულებულ ნამუშევრებში. თელი სტრაუმე მალევე მიხვდა, რომ ლექციებსა და პრაქტიკულ გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა, კომპონიციის ამოცანების წარმატებით თავის გასართმევად საკმარისი არ იყო. მასწავლებლების განსხვავებული სტილების სრულ შესწავლას მოითხოვდნენ. სკოლის დირექტორი და ამავე დროს პედაგოგ-არქიტექტორი, გრიგორი კოტოვი,<sup>35</sup> მხატვრულ შემოქმედებაში კომპონიციის მნიშვნელობას მუდამ უსვამდა ხაზს. თელი დამატებითად მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში მუშაობდა, საამოწინებებს ვაძედა, რომელსაც წიგნებთან და ნახატებთან გატარებული საათების შემდეგ კეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაო ჰბადებდა, დალილოობის დავიწყებაში ეხმარებოდა.

სტუდენტების შრომისმოყვარეობის სტიმულირებისთვის, სკოლის ხელმძღვანელობა საუკეთესო ნამუშევრებს პრემიებით აჯილოვებდა და მუზეუმის ფონდისათვის იძენდა, ნაწილს კი სასკოლო ნამუშევართა კრებულში აქვეყნებდა. იქ იმ აღსაზრდელთა გვარები იყო მათითებული, რომელთა ნამუშევრებიც პრემირებულ, ან შესყიდულ იქნა, ასევე რიგდებოდა უცხოეთის სტიმენდიანტები. სკოლაში მუდმივი და დამახული ოცნკურენცა სუფევდა, რადგანაც ღირსეული პრემიის დასამსახურებლად, გამოცდაზე რამოდენიმე ღირსეული ნამუშევარის წარდგენის სურვილი ყველა მოსწავლეს ჰქონდა. ისტრაუმეს ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი, რომელმაც პედაგოგების ყურადღება დაამსახურა, გახლდათ 1899 წელს, მუზეუმისათვის სახელდახლოდ დამზადებული, ბრონზში შესრულებული სანათური ნაკეთობა (ბრა). შემდგომ წლებში პრემირებული ნამუშევრების რიცხვმა იმატა, თელი სტრაუმეს ნამუშევართაგან ბევრიც სასკოლო კრებულში შევიდა.<sup>36</sup>

K 2278

ბარონ ა. შტეფლიცის ტექნიკური ხატვის ცენტრალური სკოლის აღსაზრდელები. პირველ რიგში, მარჯენიდან მუორე - თეოდორ უდერი, მეორე რიგში მარჯენიდან მესამე - თელი სტრაუმე. მესამე რიგში მარჯენიდან პირველი - რუდოლფ პელმე, 1898-1899 წ.

ღსა, ფ. 902, აღწ. 2, ხაჭ. 66, ფურ. 5.

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
 პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს  
 ე რ ო ვ ე ს უ ლ ი  
 ბ ი ზ ლ ი ო თ ე ა

1899 წლიდან 1904 წლის ჩათვლით, დაახლოებით მის ოც ნამუშევარს შალაღო შეფასება მიეცა. ესენია: მეტწილად გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობების პროექტები, უმთავრესად კომპოზიციები, მახეობა, ასევე ტექსტილი და ხატვის გაკვეთილებზე შესრულებული ყვავილების ნახატები. 1901 – 1902 წლებში, იული სტრაუმე ზეთის საღებავებით ხატვაში დიდ წარმატებას მიაღწია, რაც სასწავლო პროგრამით მოითხოვებოდა. მან თაბაშირის ორნამენტების, კამიტელის, თაბაშირის ბიუსტების ჩახატვისა და თაბაშირის ფიგურების ჩამოსხმის კურსი უპრობლემოდ დაამთავრა, 8–11 ქულები მიიღო. ასევე უწერდნენ შალაღო ნიშნებს პეიზაჟებს ხატვაში. 1903 წელს, ისტრაუმემ საერთო საგანმანათლებლო კურსი დაამთავრა. მისი ცოდნა იმდენად მტკიცე და საფუძვლიანი იყო, რომ ახალგაზრდას ამიერიდან მხოლოდ სპეციალიზაციის სრულყოფისათვის შეეძლო ეზრუნა – ქსოვასა და ტილოს მონატვის მეთოდებაზე. შტიგლიცის სკოლაში, ნიშნების მნიშვნელოვნებაზე სკოლის ერთერთი მოსწავლე, თეოდორ უდერსი,<sup>37</sup> თავის საპატარძლოს წერილში სწერდა: *„ერთი სემესტრის განმავლობაში, ყოველ ცალკეულ დარგში სამი ნამუშევარის გაკეთება შეიძლება, ამიტომაც, დამაკმაყოფილებელს მხოლოდ ბოლო ნიმუში წარმოადგენს. თუ ნამუშევარი კარგია, იგი ფასდება – 11 ქულით. თუ ყველა ნამუშევარია კარგი, შეფასება 12 ქულა იქნება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც, ხუთ წლიანი სწავლების შემდეგ მხოლოდ იმ მოწაფეთა ქულები ჯამდება, რომელთაც საშუალო ქულა 11 აქვთ. სწორედ მათ ეძლევათ, საკონკურსო საფუძვლიანი ნამუშევრის დამზადების უფლება უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად.“<sup>38</sup>*

იული სტრაუმემ ტექსტილის მონატულობისა და ყვავილების ჩახატვის გაკვეთილებზე უზარმაზარი ცოდნა შეიძინა, რომელსაც იული იაუნკალნინში უძღვებოდა. გამოყენებითი ხელოვნების დარგში მოღვაწე ოსტატი დიდი ერთუნიანობით ასწავლიდა. სპეციალურ საგნებში თავისი ცოდნისა და შესრულებული დაგვლებისათვის ახალგაზრდა ძირითადად 11–12 ქულით შეფასებას ღებულობდა, ხოლო ქსოვისა და ტილოს მონატვის კლასში შესრულებული ნამუშევარი, მცირე პრემიითაც იყო დაჯილდოებული.<sup>39</sup> იულის შეუპოვრობა, მისი ნიჭის განვითარებას უწყობდა ხელს, ასევე სასწავლო კურსის შესწავლის ვადებს ამცირებდა. იგი ქსოვის დარგში სპეციალიზირების გარდა, მავლიკაშიც ვარჯიშობდა.

ბარონ, ა. შტიგლიცის ტექნიკური ხატვის ცენტრალური სკოლის აღსაზრდელები. მკორე რეგრა მარცხნიდან მეექვსე – იული სტრაუმე. 1904–1905 წ.

ლსა. ფ. 902, აღწ. 2, საქ. 66, ფურ. 3.

სტუდენტურ გაერთიანება “RÜKIS”-თან<sup>40</sup> (ჯუჯა) თანამშრომლობით, რომელშიც პეტერბურგის სასწავლო დაწესებულებების ლატვიელი სტუდენტებს მოყვარათ თავი, თავისი დროის ახალი ტენდენციების გაცნობისა და ხელოვნებაში მსოფლმშედეგლობის გაფართოვების შესაძლებლობა მიეცა. ისინი შეკრებებზე წაკითხულს განიხილავდნენ, ფილოსოფიურ აზრს ახალინს უკეთებდნენ, კონცერტებზე მიღებული შთაბეჭდილებებზე ბჭობდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. შემოქმედებითი საზოგადოების სრულყოფილებას პროცესში ხელოვნების უმაღლესი მოწოდების სულის სიღრმემდე სწამდათ. გაერთიანების წევრები ხალხისათვის გასაკვირი ხელოვნების შექმნის აუცილებლობაზე აზრს იზიარებდნენ, რომ ლატვიური ხელოვნების ნიმუშების შექმნის ხარისხზე სწორედ ლატვიელები აგებდნენ პასუხს...

1900 წლის, ვაჭოთ “DIENA”-ს (დღე) 37-ე ნომერში უფრო სტრაუშე ლატვიელებს გამოყენებითი ხელოვნებისათვის თავის მინებებისკენ მოუწოდებდა და შტიგლიცის სკოლაში სწავლას ურჩევდა.<sup>41</sup> შემდგომში იგი, როგორც აქტიური წევრი, “ჯუჯის” თავგადომარის თანამედრობაზე წარადგინეს.<sup>42</sup>

ისტრაუშე არდადეგებს დრუეიენაში ატარებდა და ზოგჯერ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ შეხვედრებში მონაწილეობასაც იღებდებოდა, ხშირად დებთან ერთად გუნდის რეპეტიციებს ესწრებოდა. თან ყოველივე ეს, გაერთიანება “ჯუჯის” გეგმების შესახებ ხალხისათვის მოყოლის შესაძლებლობა იყო. ასევე მისი ყოფილი მასწავლებლის, იანის კალნინშისთვის, რომელიც თავის გარშემო ახალგაზრდობას იკრუფდა და მათი წარმატებით ყოველთვის ხარობდა, არა მხოლოდ გუნდში, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა, არამედ ყველა დარგში. მოსწავლეები მის რჩევებს უადრესად აფასებდნენ, სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგაც. გამონაკლისი არც უფრო გახლდათ. დროთა განმავლობაში მან კარგად გაითავისა, რომ ი.კალნინშმა თავის მოსწავლეებს დამოუკიდებლად აზროვნება და გარემოებების თვითმყოფადი შეფასება ასწავლა.

ერთის მხრივ, ბავშვების სურვილმა კარგი განათლება მიეღოთ, ოჯახში მატერიალური ცვლილებები შექმნა, მშობლებმა საამისოდ სახლის გაყიდვა გადაწყვიტეს. 1904 წლის ზაფხულში, სახლის ახალმა მუპატრონეებმა, სტრაუშეთა შორეულმა ნათესავებმა გარანსებმა, ანდრეა გარანსის ქალიშვილის ანა ლუსია

სანქტ-პეტერბურგის ლატვიელი სტუდენტების წრის “ჯუჯა” წევრები, კბრენცენის უცხოეთში სწავლისას მინიჭებულ მივლინებას აღნიშნავენ. მეორე რგში მარცხნიდან მეორე - უფრო სტრაუშე. 1903 წელი.

ტუსნელდას,<sup>43</sup> ნათლობაზე იული და ელიზა შიიწვიეს. იულის სახლთან მიახლოვებისთანავე უცნაური გრძნობები დაეუფლა. ადგილი, სადაც პირველი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო, პირველი დაბუეილობები და გადაგლეჯილი მუნღები, სადაც ზაფხულში პირველ ბულბულებს აკვირდებოდა, სახურავის ქვეშ მერცხლის ბუდეებს ათვალთვებდა, სახლიც და გერემოც ისე ნაცნობი და მშობლიური იყო, მაგრამ ახლა სხვა ადამიანებს ეკუთვნოდათ. იულის აქ მხოლოდ სტუმრად მოესვლებოდა. მამის დადანაშაულება მას შეეძლო, რადგანაც კარლის სტრაუმეს ბავშვებთან არცერთი აირჩევდა გლეხის ცხოვრებას სამომავლოდ. უმაღლესი სკოლები კი ძვირი იყო და სახლზე უარის თქმის აუცილებელია გაჩნდა. საბედნიეროდ, კემპებს ახალი მებატრონები ნათესავები გამოდგნენ, რაც დედამ და მამამ გააზრებულად მოისურვეს.

სტუდენტური წლები დასასრულს უახლოვდებოდა. სასწავლო კურსი იული სტრაუმემ წარჩინებით დაამთავრა და 1904 წელს, სხვა პრეტენდენტებთან ერთად საზღვარგარეთის სტიპენდიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობა მიიღო. დაფარება ყველასათვის ერთი იყო - სალონისათვის ავეჯის სპექტრირება უნდა გაეკეთებინათ, სტილი თავიანთი გემოვნებით შეერჩიათ. ავეჯის პროექტისთვის იული სტრაუმემ როკოკოს სტილი არჩია (გამ. 8 - 12). შემუშავებული პროექტი ადასტურებდა, რომ ავტორმა შესანიშნავად შეიგრძნო საგნების ფუნქციები, იპოვა შესაბამისი ფორმა და შეფერვალობა: მოოქროვილი ხის დეტალები ტილიზე ნახატს საკმაოდ პარმონულად შეეხამება, ღია ცისფერ ფონზე ყვავილების წნული და ბუკეტები. სხვა კონკურსანტთა ნამუშევრებთან შედარებით, იულის პროექტი ხაზების გრაციოზულობით, ფერთა გამომხატვით და ყვავილთა ელევანტური სინაზით გამოირჩეოდა.<sup>44</sup> შედეგად, მას საზღვარგარეთის სტიპენდია მიენიჭა.

იმ დროს, როდესაც იული საკონკურსო ნამუშევრებზე მუშაობდა, სკოლაში კერამიკის კლასი ვახსნეს. ასტრაუმემ ორი წელი დაჰყო, დამრთველ ემილია კრემერთან<sup>45</sup> ერთად მავლიკის კლასში და მას კერამიკის დარგის შესწავლას ინტერესი გაუჩნდა, ნიაბონებით დაუთმობდა კიდევ უცხოეთში მივლინებას. მაგრამ კერამიკის საიდუმლოების დაუფლებას საფუძვლიანი და სპეციფიური ცოდნა სჭირდებოდა. მან სკოლის ხელმძღვანელობას მიმართა, კერამიკის გაკვეთილებზე დასწრების და ამასთან სტიპენდიის შენარჩუნების თხოვნით.<sup>46</sup> ასტრაუმეს რომ კერამიკაში პქონოდა სპეციალიზაცია, გაცილებით მეტი შესაძლებლობა ექნებოდა მაღალანაზღაურებადი სამუშაოს პოვნისა, თუ გაუშართლებდა, ღიულტრუშის სახლში, თიხისაგან არა მხოლოდ აგურის, არამედ მხატვრული ღირებულების მქონე ნაკეთობებს დაწვადების შესაძლებლობაც მიეცემოდა.<sup>47</sup> ახალგაზრდა მხატვარს იმედი ჰქონდა, რომ მას თხოვნაში უარს არ ეტყოდნენ. 1905 წელს იანვარში, სკოლის საბჭომ იული

სტრაუმეს ორი შესაძლებლობა შესთავაზა: სტიპენდიის შენარჩუნებით ერთი წლის განმავლობაში კერამიკის ჯგუფის სამუშაოში მიეღო მონაწილეობა, თუმცა, ასეთ შემთხვევაში სახლგარეგანეთ დამატებითი განათლების მიღება აღარ იქნებოდა გარანტირებული; მეორე კი, დაუყოვნებლივ გამოეყენებინა მინიჭებული სტიპენდია და სახლგარეგანეთ გამგზავრებულიყო. ამ არჩევანს განხილვისას იგი მიხვდა, ერთ წელიწადში ახალი პროფესიის დაუფლებას ვერ მოასწრებდა და სახლგარეგანეთის სტიპენდიის შესანარჩუნებლად იული სტრაუმემ სკოლის ხელმძღვანელობისგან მეორე შემოთავაზების მიღება გადაწყვიტა, ქსოვის ხელოვნების კადევ უკეთ დასაუფლებლად სახლგარეგანეთ გამგზავრებულიყო.<sup>48</sup> დიბლომირებული სპეციალისტად იული სტრაუმე, რომელმაც გამოიყენებთი ხელოვნების სრული სასწავლო კურსი დაამთავრა, 1905 წლის დასაწყისში, ბარიზში გაემგზავრა. გზად, სამი დღე ბერლინში შეყოვნდა, იქაური მდიდარი მუსეუმების დასათვალიერებლად.<sup>49</sup>

ბარიზში ახალგაზრდა მხატვარი კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებას ეცნობოდა. შაკონცერტო და საგამოყენო დარბაზები, თეატრები, მუსეუმები დასავლეთ ევროპული სიახლეებისა და შიფლით ისტორიის კულტურის შესწავლის საშუალებას იძლეოდნენ. მას შესანიშნავად გამოადგა შტიფლიციის სკოლაში მიღებული ფრანგული ენის ცოდნა. სკოლა სტუდენტის მოვალეობების დავიწყების უფლებას არ აძლევდა. იგი მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. სტიპენდიანტებს გწვეული საუბუშაოს შესასებ ანგარიშის ჩაბარება ევალებოდათ - წელიწადში ორჯერ, დეკემბერსა და მაისში, თავიანთი ნამუშევრები პეტერბურგში სკოლის დირექტორთან უნდა გაეგზავნათ (იხ. გამ. 22-25). ნამუშევართან ერთად მათ უნდა მიეთითებინათ ნამუშევრის ან ორიგინალობა, ან კოპია, თუ რომელ მუსეუმში იყო ნანახი ერთის ორიგინალი და როგორ იყო გვეთებული ასლი თუ ეს მოთხოვნილებები არადამაკმაყოფილებლად იყო შესრულებული, სკოლის ხელმძღვანელობას სტიპენდიის ჩამორთმევისა და სტუდენტის უკან გამოთხოვის უფლება ჰქონდა.<sup>50</sup>

1906 წლის პირველ ნახევარში, ბარიზის ღვთისმშობლის ტაძრის, გამოყენებითი ხელოვნების მუსეუმში იაპონური ხელოვნების გამოფენის განსნაწე, ისტრაუმემ რამოდენიმე საინტერესო ნამუშევრის ასლი გააკეთა. ასეთი სამუშაოს შესრულებისათვის, უკჭველად, მუსეუმის ხელმძღვანელობის და ასევე გამოფენილი ექსპონატების მფლობელები თანხმობის მიღება იყო საჭირო. ამგვარად, ისტრაუმე იაპონური ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერებს გაეცნო. ზოგიერთი მათგანსაგან მათი სახელს მოსანახულებლად მიწვევაც მიიღო. ქრისტიანთემებსა და პეპლების გამოსახულებიანი<sup>51</sup>

ა. სტრაუმე კარნავალზე, ბარიზში. [1906].



ტილოს ასლი, ვინიერის კოლექციიდან გადმოიღო, დოქტორ ანკელესა და ქალბატონ შარლ ვიოს მარაგებიდან აბრეშუმის, თქროსფერი და ბროკატის ძაფებით ამოქარგული თევზი შექმნა.<sup>52</sup> არანაკლებ საინტერესო ნამუშევარი იყო, იაპონური ტილოს მონატული ტრაფარეტის კობიო. (გამ. 15-18)

მხატვრის დამოუკიდებელი შემოქმედების უნარზე მეტყველებს 1906 წლის ბირველ ნახევარში, შტიგლიცის სკოლაში გაგზავნილი მეტლახის ფილებისათვისა და შპალერისათვის დახატული საკუთარი ჩანახატები.<sup>53</sup> ახალგაზრდა მხატვრის ამ ნამუშევრებში ბუნების ფორმებისა და პროცესების გამოსახვისადმი ინტერესი იგრძნობა. განსაკუთრებით, ფლორისა და ფაუნის მოტივებს შერჩევას თევზისტილის ნიმუშებისათვის. შპალერის მონატულობაში დეკორაციები და ბუნების ფორმებს სტილიზაციები ისტრაუმეს სტილისათვის დამახასიათებელ ლირიკულ ვანწყობას ქმნიან. ზოგჯერ მათში სიმბოლიზმის აკორდმაც შეიძლება ვაიფეროს. თული ფერთა გამზას, თევზისტილის შესაბამისად, უაღრესად დახვეწილად არჩევა. - ვარდისფერის შეუმჩნეველი ნიუანსები, მწვანე, ნაცრისფერი და სხვა ნაზი ტონის ფერები დომინირებდა.

მადის დაშვადების ტექნოლოგიის გაცნობის სურვილით შეხვდებოდა თული სტრაუმე, ქალაქ ლიონში გაემგზავრა, მაგრამ მეწარმეებმა ამ საქმეში დახმარებაზე უარი განუცხადეს, რადგან საწარმოში შესვლისათვის საეციალური მიმართვა იყო საჭირო. რეკომენდაციამ, რომელიც ახალგაზრდა მხატვარმა პარიზში, რუსეთის ელჩისაგან მიიღო, ვერ შესძლო ნიჰილიზმის დაძლევა, რომელიც ფაბრიკაში მის მიმართ გამოიხატა. თული სტრაუმე გულმოდგინედ შეუდგა მსოფლიო კულტურის საგანძურის შესწავლას. ვერსალში უამრავ საათს ატარებდა, მუშაობდა ლუვრში, გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში და სხვა მხატვრული ნაკეთობებს საგანძურებში. კოლაროსის აკადემიაში ხატვის საღამოს კურსებს ესწრებოდა. სწავლობდა პარიზის მანუფაქტურის<sup>54</sup> გობელენების შექმნის პროცესს წმინდა აკვირდებოდა. დღე-ღამეს საგულდაგულოდ მუშაობაში ასწორებდა. ეს საკუთარი შესაძლებლობების შეფასებისა და შემოქმედებითი ზრდის წლები იყო. თავისუფალ წუთებში თული პარიზის საზოგადოებრივ ცხოვრებას ეცნობოდა.

ასე მკაცრად განსაზღვრული და დაგეგმილ დროშიც კი ბედისწერამ სასაბოჟნოდ გააკვირვა. თული სიმბატორ ბელგიელ ქალს, აუგუსტა რინგვოს<sup>55</sup> შეხვდა, რომელიც პარიზში ცხოვრობდა და ფრანგული ენის კერძო გაკვეთილებით არჩნდა თავს. იგი, კარგი ველონებით იყო დაჯილდოებული და ლამაზი ჩაცმულობით

აუგუსტა რინგვო. (1906 წ.)



გამოირჩეოდა. ინტერესებდა თეატრი, კინო. აუგუსტა იულიზე ერთი წლით უმცროსი იყო, ფიცხი ხასიათის, მომხიბვლელი და ოდნავ სენტიმენტალურიც. ხანდახან იგი იულის პარკში ან ქალაქგარეთ მიჰყვებოდა, სადაც იული ცეკნარეებს ხატავდა. შემოდგომასა და ზამთარში მათი სეირნობა იშვითი ხდებოდა. იული ინტენსიურად მუშაობდა, რათა სკოლაში გაკეთებულ სამუშაოზე შემდგომი ანგარიში გავწავნა. ამ დროს, ახალგაზრდა მხატვარს ყოველი დღე ერთნაირად დამღლევი ეჩვენებოდა. ქალაქ მუსონში, ბელგიაში, აუგუსტა მშობლებს წმირად სტუმრობდა. მომხიბვლელმა, ნაზმა ბელგეულმა ქალმა იულის ვულში მთავარი ადგილი თანდათანობით დაიპყრო. ამის გააზრების შედეგად იგი წმირად ფიქრობდა საბედისწერო გრძნობაზე. სუსტ ჯანმრთელობას უჩიოდა, რომელიც ახალგაზრდა ქალს ბედნიერი ოჯახის შექმნის წინააღმდეგობად ეჩვენებოდა.

1907 წლის დასაწყისში,<sup>56</sup> სწავლისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა. იული შეევეა აზრს, რომ შეუძლებელია მივლინების გაგრძელება და ჩაფიქრდა, თუ რისი ნახვის მოსწრება შეეძლო ევროპის მხატვრული ცხოვრებიდან. უკანა გზაზე, მან მიუნხენი და ვენა მონახულა, სადაც მუზეუმები და გამოფენები დაათვალიერა. აუგუსტას მიმართ წერილში წერდა:

*“დღეს სამი გამოფენა ვნახე. თქვენ რომ გეკითხათ, რა ვნახე, გარკვევით ვერ ვიპასუხებდით. ვხედავ, რომ ვაოცებას ბევრი რამ იმსახურებს, მაგრამ უთქვენოდ არაფერს არ აქვს ფასი, თქვენ რომ ჩემთან იყოთ, სხვაგვარად შევხედავდი მათ, მაგრამ მარტო ვარ.”<sup>57</sup>*

იული სტრაუსის სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ ტოვებდა სიმარტოვის განცდას. დაბრუნდა რა დრუვიენში, წერილების წერა დაუწყო აუგუსტას.

*“ოთხშაბათი, 09/22/05*

*ძვირფასო, რა მოდენიმე დღის წინათ ბარათი გამოგიგზავნეთ. გოგონადით რა ამას, ვფიქრობდი, რომ ეს საბოლოოა, იმიტომ რომ ვენის<sup>58</sup> შემდეგ თქვენგან ერთი სიტყვაც არ მიმიღია [...] თავში ათასობით ამაღლეგებელი აზრი მიტრიალდება, უაშრავი რამ მომაფიქრდა. [...] მე, თქვენგან ნაღვლიანმა შეტყობინებამ გამანაწყენა. ძვირფასო, რატომ არ უფროთხილდებით თქვენს ჯანმრთელობას? თავი ხელში აიყვანეთ და ნუ იწვებით ასეთი მოწყენილი, სცადეთ გაერთოთ. სულა, რომელმაც ბევრი იტანჯა, უფრო მეტად განიცდის ბედნიერებას ვიდრე ის, ვინც უსაქმობას მიეცემა. მე მგონია, რომ განცდებშიც არის რაღაც მომხიბვლელიობა, რამდენადაც ისინი უსასრულოდ არ გრძელდებიან. ძვირფასო სიუზი,<sup>59</sup> თქვენ ვგონიათ მე არ ვიტანჯები? [...] ჩემი და<sup>60</sup> ძალიან ავადაა, ის ტირის, ტირის, ტირის. [...] მისი ახალგაზრდობა სიბნელება და სამუშაოში ორთქლდება. მე წმირად მესმის*

საიდუმლო ამოსუნთქვები... დღეაჩემი ხენეშის (განცდის) და მაშაჩემც მწილიარეა. ერთი და იგივე დილიდან საღამომდე, დღეს და ხვალ... მე არაფრის შეცვლა შემიძლია. ეს ყველაფერი უიძულებს განცდის მიქმნის. ვცდილობ, ბუნებაში ვიპოვო შევება, მაგრამ ისიც კი სასურველი სასოწარკვეთილებითა და დარდით. აქედან ჯერჯერობით არსად შემიძლია წასვლა, რამდენადაც პარიზიდან ჩემი ტვირთი არ მიმიღია. ვიმედოვნებ, რამოდენიმე დღეში რივაში წავეალ. ხოლო როგორც კი ტვირთის მივიღებ, პეტერბურგში გავეზგზავნებ. [...] ჩემს გათხოვილ დას ნი დრმა და შავი ტბა აქვს, რომელშიც ვთევზაობ. როდესაც ნავში ვზივარ, ვფიქრობ: თქვენ რომ აქ იყოთ... [...] ამ წერილს წაკითხვისას ვიმედოვნებ, თქვენი ჯანმრთელობა უკეთ იქნება. ეს ჩემი თქვენდამი სურვილია. თუ შესაძლებელია, სოფელში გაემგზავრეთ და დაისვენეთ. [...] შეხვედით ჩემს მგობრებს? უვინაგან<sup>62</sup> ბარათი მივიღე, ის წერს, რომ შევერდივე და საველივე იტალიაში<sup>63</sup> წავიდნენ. [...] ყველაფერი შევიძლიათ მომწეროთ, აქ მაინც არავის ესმის ფრანგული.

ვეხვევი ჩემს ძვირფას, ნაზ სიუს.

თქვენი იუ.<sup>64</sup>

მხატვრის ყოფითი ცხოვრება ძალიან უცხო ეჩვენებოდა, მშვიდი დრუვიენა კი იმდენად პროვინციული და მოსაწყენი. შევებას იული წიგნებში ეძებდა. ხანდახან ვინტაჟებს ხატავდა.<sup>65</sup> როცა ის თავის დასთან, დაბა ლიელტრუში ცხოვრობდა, აუგუსტას წერილი მისწერა, რომელშიც ეკითხებოდა, უნდოდა თუ არა მას რუსეთში ცხოვრება. ეს იყო შეთავაზება ერთობლივი ცხოვრების დასაწყებისა. ახალგაზრდა ქალი შეთავაზებას მიუხედავად. ახალგაზრდა ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე ზრუნვის გამო, ისტრაუმე მაისში პეტერბურგში ჩავიდა. კარგ სამუშაო ადგილზე მოხვედრის იმედი მცირე იყო, მაგრამ იგი აუგუსტას საქმის ვითარებას არ უმაღლავდა.

“გაზაფხულმა, შესაძლებელია, სამუშაოს გარეშე ჩაიაროს, ხოლო მერე? მე არ ვიცი. ამბობენ, რომ ახლა რუსეთში ძალიან ძნელია რაიმე მოძებნო. სამუშაო არ მაქვს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. თუ მოეძებნი სამსახურს... მაშინ თქვენ? მე ვფიქრობ, რომ ლამაზ მოკაზმულობაზე ფულს აღარ ხარჯავთ, რამდენადაც სხვა მიზნები გაქვთ.”<sup>66</sup>

ახალგაზრდა ქალი პარიზის დატოვებისთვის ემზადებოდა. არა მუსონში მშობლების მოსანახულებლად, არამედ უცხო ქვეყანაში, იულისთან გადახვეწად. რომლისგანაც შესატყვისი საცხოვრებელი ადგილის პოვნის შესახებ ცნობას ელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ისტრაუმე ტიფლისში (თბილისი) სამუშაოდ წასვლის წინადადება მიიღო, ეს შორი გზა იყო როგორც რიგიდან ასევე პეტერბურგიდანაც. ხელფასიც მიზერული. თავის ეჭვებს საცოლეს ასე უხიარებდა:



„.. ამბობენ, რომ ცხოვრება კავკასიაში ძალიან რთულია, პეტერბურგზე ან პარიზზე ვაცდლებით ძვირი მაგრამ იმედი მაქვს, რომ სხვა რაიმე საშუალებას მოვძებნა. იქ დღეში ექვსი საათი მუშაობა მომიწევს. სურვილისაშებრ, დილით ან საღამოს შემიძლია მუშაობა. საბუთები უკვე გავაგზავნე და პასუხს ველოდები...“<sup>67</sup>

იენისის დასაწყისამდე მხატვარი პეტერბურგში დაყოვნდა, რათა შტიგლიცის სკოლიდან პასუხს დალოდებოდა მისი პარიზის დროინდელი ნამუშევრების ბედზე. მას იმედი ჰქონდა, რომ ზოგიერთ მათგანს მასწავლებლები ფონდებისათვის აირჩევდნენ.<sup>68</sup> ეს მისთვის და აუგუსტასათვის ერთობლივი თანაცხოვრების დასაწყისში მცირე ხელშეწყობა იქნებოდა.

“თუ რაშეს შეიძენენ, 100 მანეთს თქვენი მგზავრობისათვის გადავდებ. [...] ერთი აზრი მაწუხებს: შეიძლება თუ არა 70 მანეთად იარსებო? უფლება არა მაქვს მეტად ვაღიბო დაფიქრო, რამდენადაც საკმარისი მაქვს და გადახდა სჭირდება. არ ვიცი, რამდენად შეგიძლიათ ბელგიაში მგზავრობის ფულის მოძიება. დაუფარავად მიიხარით. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ თქვენი ჩამოსვლა იმ დრომდე უნდა გადავდოთ, როცა ცოტა ფულს მოვაგროვებ.“<sup>69</sup>

აუგუსტას ეჩვენებოდა, რომ განშორება დიდხანს გაგრძელდებოდა... სულის სიღრმეში მას მაინც ბედნიერი ოჯახის შექმნის იმედი ჰქონდა, თუმცა თელი იოლ და ლამაზ ცხოვრებას არ ჰპირდებოდა:

“სულ ყველაფერი, რაც შემიძლია შემოგთავაზოთ, ჩემი ხელებია, რომელთაც ნებისმიერ საქმის შესრულება შეუძლიათ მთავარია, ასეთი მოიძებნოს... თქვენ არ გეშინიათ ცხოვრების, რომელიც უცხო ქვეყანაში გელოდებათ? კარგად მოიფიქრეთ, ეს სერიოზული ნაბიჯია. როდესაც კავკასიიდან მივიღებ საბოლოო პასუხს, მგზავრობისთვის 100 მანეთს გამოვგზავნით, არ ვიცი ვიქნები თუ არა მეტიც შემიძლე.“<sup>70</sup>

ასალგაზრდა მხატვარს გაუმართლა - შტიგლიცის სკოლაში მისი პარიზის დროინდელი ნამუშევრები მოეწონათ და შეისყიდეს კიდევ. ამან აუგუსტას მგზავრობისთვის მზადების დაწყების შესაძლებლობა წარმოშვა, რათა რუსეთის შორეულსა და უცხო კუთხეში კავკასიაში გამგზავრებულიყო.

<sup>67</sup> მუნობა პარიზში, სადაც 1905 წ.-დან 1907წ.-მდე ი. სტრაუპუს საცოფლე აუგუსტა რიანგო ბინას ქარაობდა. 1997წ.

<sup>68</sup> ფოტო. კრისი არქივიდან ი. სტანნივეკის ფოტო.

## კავკასია

კავკასიონი იული სტრაუშეს შერას, თამამად და შთაბეჭედავად გადაქმალა. კავკასიის ომი (1817–1864) დიდი ხნის დასრულებული იყო, საქართველო (1801–1810), აზერბაიჯანი (1803–1813), დაღესტანი (იურიდიულად 1913წ.) რუსეთს შეუერთდა. არანა და თურქეთზე გამარჯვების შემდეგ სამეფო რუსეთმა ერევნისა და ნახიჩევანის სანაოები, შავი ზღვის სანაპირო კუბანიდან აჭარამდე, ახალციხე და ახალქალაქი შეიერთა. თავისუფლების მოყვარული მთიელი მაჰმადიანებმა დაღესტანსა და ჩქნეთში კიდევ დიდ ხანს ეწინააღმდეგებოდნენ კავკასიაში ურჯულოთა (ქრისტიანთა) დამკვიდრებას. როდესაც სახელმწიფოები, სადაც მუსლიმანური მოსახლეობა ნაკლები იყო რუსეთს შეუერთდა, წინააღმდეგობა ნელ-ნელა დასუსტდა. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ რუსეთის იმპერიას სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესები გამოიკვეთა: სამხრეთით “თბილ ზღვამდე” მიღწევა, ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგობამ სახელმწიფო საღარი გამოაცარიელა, ამიტომ მეფის რუსეთის ინტერესებში შედიოდა ამ რეგიონში განადგურებული ძველი ხალხური გამოყენებითი ხელოვნების დარგების აღდგენა, რაც იმპერიას კარგი შემოსავლით უზრუნველყოფდა.

სამწუხაროდ, რუსეთის საერთო საბაზრო სისტემაში მოხვედრამ ბევრი ნეგატიური ტენდენცია გამოიწვია. ხალხური ხელობის ძველ-ტრადიციებით შექმნილს, დიდი რაოდენობით წარმოებულმა საქონელმა აჯობა. უკვე, მე-20 საუკუნის დასაწყისში, კავკასიელ ოსტატთა ნაწარმმა ხალხურ ოსტატურ ნაკეთობათა ძველებური ხარისხი დაკარგა. რის შედეგადაც ხალიჩების წარმოებამ განსაკუთრებით იზარალა. მათი ქსოვა ბაშის ქსოვილისა და საფუთავი ქაღალდიდან გადმოსატყლი მონატყლობის გამოყენებით დაიწყო. ამის გამო კავკასიულ ტექსტილზე მოთხოვნა შემცირდა. განსაკუთრებით კუცხეთის ბაზარზე, სადაც ჯერ კიდევ დიდად ფასობდა ძველებური და კავკასიის რეგიონისთვის დამახასიათებელი ორნამენტით მორთული ხალიჩები. სულ უფრო და უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ აგენტები, არა მხოლოდ ძველებური ხალიჩების, არამედ მათი ფრაგმენტების შესასყიდად და რუსეთიდან გასატანად. მაღალი ღირებულების მქონე ეთნიკური ტექსტილის რაოდენობამ საგრძნობლად იკლო.<sup>71</sup>

უკვე 1899 წელს, ოსტატობის ტრადიციების შესანარჩუნებლად და მათი განვითარების ხელშესაწყობად, რუსეთის მიწათმოქმედებისა და კეთილმოწყობის

სამინისტრომ კავკასიის კუსტარული კომიტეტი დააფუძვნა (მომდევნო ტექსტში – კუსტარული კომიტეტი), რომლის ცენტრიც ტიფლისში დაარსდა.<sup>72</sup> კუსტარული კომიტეტის სპეციალისტები ეთნიკური ნაკეთობების მოსამძიებლად ექსპედიციებს მართავდნენ. ოსტატებს, მუშაობისთვის აუცილებელი მასალებს მოძიებას ასწავლიდნენ (ნის, ლითონის, ნართისა და სხვა). ქსოვისა და ლითონის დამუშავების ახალ ტექნოლოგიებს უზიარებდნენ. კუსტარულმა კომიტეტმა შატვრული ღირებულების მქონე ძველებური ნაკეთობების სია შეადგინა. ნაწარმის რეალიზაციის შესაძლებელ ბაზარს შეისწავლიდა და გასაღებაზე ხელშეკრულებებს დებდა. მოდგაწიების ასპარეზი ძალიან ფართო იყო, განსაკუთრებულ ყურადღებას ხაღინის ქსოვის ტრადიციების შენარჩუნება ითხოვდა, ამიტომ კუსტარულმა კომიტეტმა ქალაქ შუშაში,<sup>73</sup> საფეიქრო სახელოსნოს გახსნა გადაწყვიტა და 1907 წლის ივნისს ინსტრუქტორთა განყოფილება დაარსა. სამუშაოდ ფეიქართა ორი ინსტრუქტორი და შატვარი იული სტრაუშე მოიწვიეს.<sup>74</sup> ი. სტრაუშეს მოვალეობა ხაღინების ორნამენტათვის ჩანახატების დამზადება იყო. კუსტარული კომიტეტმა შეზღუდვებისაში ამ დარგის სპეციალისტი არაგინ იყო, ამიტომ ასაღაზრდა შატვრის გამოჩენას თანამშრომლები მოუთმენლად ელოდნენ.

ტიფლისისაკენ მიმავალი იული სტრაუშე ვზად მოსკოვში გაჩერდა, სადაც დარჩენას და სამსახურის პოვნას იმედოვნებდა. სამწუხაროდ, ასაღაზრდა შატვრისაგან სამსახური ვერ მოინახა და სამომავლო დაპირებებით დაიმედებული კავკასიაში გაემგზავრა. იგი საცოლად ჯანმრთელობაზე წუხდა, ისეთი გრძელი და მძიმე მგზავრობა, როგორც პარიზიდან–ტიფლისამდე იყო, მას გაუჭირდებოდა. ამასთან ზაფხული არაჩვეულებრივად ცხელი გამოდგა. 1907 წლის ივლისს, მრავალდღიანი მოგზაურობის შემდეგ შატვარმა, როგორც იქნა, ახალ საცხოვრებელ ადგილს ჩაადწია. აუგუსტას კი სწერდა:

*“ნამობრძანდით, ძვირფასო! აქაურ სიცხეს ადვილად ვადაიტანთ. თაკარა სიცხე, მხოლოდ ვ ზაშა ძნელი ვასძლები. თუ ვნებათ, ოქტომბრამდე პარიზში დარჩით, ეგებ მოსკოვში მოვნახო საშუაო. იქამდე მგ ზავრობა გაცვილებით გავადავლდებათ. შესაძლებელია აქაც მომიწიოს დარჩენა. მე ჯერ არაფერი ვიცა. თუ კი ჯანმრთელობაზე არ შიშობთ ახლავე გამოემგ ზავროთ.”<sup>75</sup>*

საცოლის მოლოდინში იულიამ, გულკეთილი პოლონელი ქალისგან 50 მანეთად იქნარავა ოთახი. ოთახის პატრონს მოეყვა, რომ პარიზიდან ცოლის ჩამოსვლას ელის. 1908 წლის 8 ივნისს, იული სტრაუშემ და აუგუსტა როსგოვ ტიფლისის ლუტერანულ ეკლესიაში<sup>76</sup> ჯვარი დაიწერეს. იმის გამო, რომ კავკასიაში ცხოვრების წესები, კლიმატი და ყოფილი პირობები ჩვეული ბელგიისა თუ პარიზისგან ძლიერ განიზიარდა, ჭირვეული ევროპელი ქალისთვის იქ ცხოვრება ნამდვილ გამოცდად

იქცა. გულის ავადმყოფობით დაწყებული, ბადლინჯოებით დამთავრებული აუგუსტა ქმარს ყველაფერზე უჩიოდა. მიუხედავად ამისა... იული კავკასიური ცხოვრების სირთულეზე წინასწარვე აფრთხილებდა. აუგუსტა ხედავდა, თუ როგორ ზრუნავდა იული ოჯახის ყოფითი პრობლემების შექმნუბუქებაზე, ამიტომ ახალგაზრდა მხატვრის მხარდაჭერას ცდილობდა, სამსახურის საქმეებით დაკავებულობას ითმენდა. სტრაუშე სხვადასხვა ერების წარმომადგენელ სპეციალისტთა წრეში შევიდა (ქართველთა, პოლონელთა, რუსთა და სხვა.), რომელთაც ეთნოგრაფიის მიმართ ინტერესი აერთიანებდათ და გააზრებული ჰქონდათ თუ რამდენად აუცილებელია მათი შრომა კუსტარული ნაკეთობების მხატვრული და აქედან გამომდინარე საბაზრო ღირებულების ამაღლებისათვის.

იული სტრაუშე, რომელსაც სამშობლოში მოღვაწეობის საშუალება არ მიეცა, კავკასიური გამოყენებითი ხელოვნების ნამდვილ თაყვანისმცემლად იქცა. მთელს გულისმხიერებით ჩაფელო კავკასიური ტექსტილის თვითმყოფად სამყაროში სკოლაში მიღებული ცოდნა და ბიროვნული შესაძლებლობები კუსტარული კომიტეტის განვითარებასა და საშუაოს გააქტიურებას მოახმარა. გულწრფელად ითქვას, მისი თავდაპირველი საშუაო შემოქმედებით ზრდას და ახლის შექმნას საფუძველს არ უყრიდა. იული სტრაუშე, ხალიჩების სახეებს ხატავდა, საფეიქრო სახელოსნოებს და სხვა დანიტერესებულთ უგზავნიდა. სამწუნაროდ, ყოველდღიურად ხელიდან ხელში გარდამავალი ჩანახატები, რომელიც ასე სჭირდებოდათ ოსტატებს, სწრაფად იჭმუჭნებოდა და იხეოდა. ძველი ნიმუშების აღდგენითა და ახლების ხატვით მოხერხებულმა მხატვარმა მათი გამრავლება ბეჭდური ტექნოლოგიების გამოყენებით გადაწყვიტა. 1909 წელს, მან კუსტარულ კომიტეტს შესთავაზა კოლექციიდან, კავკასიისთვის ყველაზე დამახასიათებელი და მხატვრული ღირებულების მქონე ნიმუშების შერჩევა და მათი რეპროდუქციების დამზადება ხალიჩების სახეების ლითოგრაფიული ტექნოლოგიის<sup>77</sup> დახმარებით. მხატვრის წინადადება მიიღეს და როგორც რეპროდუქციების დამზადება, ასევე ალბომის დაბეჭდვაზე ზრუნვა დაავალეს. იული სტრაუშემ ჩათვალა, რომ რეპროდუქციების ფერები სრულად უნდა შეესატყვისებოდეს ორიგინალებს, ასევე ფერთა შკალისა და ორნამენტის განმარტებების მითითებაა აუცილებელი (გამ. 32, 33).

1913 წელს რუსეთის მიწათმოქმედებისა და კეთილმოწყობის სამინისტრომ ბეტურბურგში ალბომის “კავკასიის ხალიჩები” პირველი ნაწილი გამოსცა.<sup>78</sup> ალბომის მეორე ნაწილის გამოსვლა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაფერხა.

ფუქარი ქაღები. კახეთი. დაახლოებით 1910წ.

ლსა, ფ. 302, აღწ. 2, საქ. 59, გვ. 2.



აღბომის გამოცემასთან ერთად იული სტრაუშემ მუხუშუმის მოწყობასაც მოჰკიდა ხელი, რომელიც 1899 წელს კუსტარულ კომიტეტთან ერთორულად დაარსდა, მაგრამ შენობის უქონლობის გამო, მისი ფონდი, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა, არ იყო მოწესრიგებული. 1911 წელს, მუშტაედის გადასახვევზე მოპოვებული შენობა, ექსპონაციის შექმნისა და მუხუშუმის მსურველთათვის გახსნის, შესაძლებლობას იძლეოდა.<sup>79</sup> შენობის მოწესრიგებასა და გარემონტებაში მხატვარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. კუსტარული კომიტეტის ერთ-ერთი ოთახის ჭერი, თავის დამხმარე გმილოზივთან ერთად, მავრთა ხალხური მხატვრობის მოტივებით მონატა. ვინაიდან, იული სტრაუშე კუსტარული კომიტეტის მხატვართა განყოფილების უფროსი იყო, მუხუშუმის ხელმძღვანელობა და ბიბლიოთეკის ფონდის გაზრდაზე ზრუნვა მას შიანდეს.<sup>80</sup> ვალდებულებების მრავალფეროვნება მის შემოქმედებით ცხოვრებას სრულყოფილებას მატებდა.

1913 წელს, მუხუშუმისთვის ექსპონატების ძიებასთან ერთად, იგი სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეობისა და სახლმრეწველობის მეორე გამოფენისთვის ექსპონაციას ამზადებდა. საექსპონატო დახლებსა და კარადებს ისე აპროექტებდა რომ მოსახერხებელი ყოფილიყო როგორც გამოფენის მოწყობის, ასევე მუხუშუმის საჭიროებისთვის. მხატვრის ჩანაფიქრი იყო - ფორმით სადა, მოხმარებაში გამოსადეგი და ტრანსპორტირებისთვის მოსახერხებელი კომპლექტის შექმნა. ამ სამუშაოს რამოდენიმე წელი დასჭირდა. მის ნაკეთობას, ტრადიციული კავკასიური არქიტექტურით და გამოყენებითი ხელოვნებით გატაცება დაეტყო. საექსპონატო დახლების ცენტრალურ ნაწილში, შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი სტილი მეფობს, ხოლო მონატულობის მოტივები ძველი ქართული მხატვრობის ორნამენტებს აღადგენს მესხიერებაში. დახლები, მოხერხებულობისათვის უწვრილეს დეტალებამდე იყო გათვლილი, ვისუაღური მხარეც ისე იყო გააზრებული, რომ ექსპონატების სიღამაზე და მნიშვნელოვნება არ დაკნინებულყო.<sup>81</sup>

სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეობისა და სახლმრეწველობის ნიმუშების გამოფენისთვის მზადებისას, იული სტრაუშე მიიწვიეს კომისიაში, რომელსაც გამოფენისთვის კავკასიაში ნიმუშების მოძიება და პეტერბურგში ექსპონაციის მოწყობა ევალებოდა.<sup>82</sup> მომავალი გამოფენით ოსტატების დაინტერესებისთვის კავკასიაში იგივე ღონისძიების ჩატარება იყო საჭირო. ეს საქმე იული სტრაუშეს დაეკალა, ამიტომ იგი კუსტარული კომიტეტის სხვა მოხელეებთან ერთად ტემირსანშურაში გაემგზავრა. გამოფენა-გაყიდვის ორგანიზების გარდა, მათ

გამოყენებითი ხელოვნების მუხუშუმის საგამოფენო დახლების პროექტი 1912წ.



მუზეუმისთვის და პეტერბურგის ექსპონიციისთვის ნიმუშები უნდა შეეყიდათ. იგი თავის მიღწევებზე მუელელს სწერდა:

“ტ.ხ. შურა<sup>83</sup> 19/04/12

ძვირფასო, დღეს თქვენი წერილი მივიღე, რომელსაც ასე ველოდი. ველავდი, რადგანაც დიდი ხანია არ მაძილია ცნობები თქვენს შესახებ. [...] გამოფენა თითქმის დასრულებულია, ყველაფერი მოვაგვარეთ, გარდა რამოდენიმე დეტალისა. ზოგიერთი ნაკეთობა შესასყიდად მოვინიშნეთ. ფასები ძალიან აწეულა. ვეჭვობ რაიმეს ყიდვა მოვარსებნო. ინტრუსტირებული ხის სამშენისებიდან ზოგიერთი ძალიან საინტერესოა. თუმცა, მე ისე ცოტა ფული მაქვს, არც კი ვიცი...<sup>84</sup>

სამწუხაროდ, სოფლის მაცხოვრებელთაგან მხატვრული ღირებულებების მქონე გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობების შესყიდვა ვერ მოხერხდა. ამიტომ გადაწყდა ჭურჭლის კოლექციის შედგენა, რომელზეც პეტერბურგის გამოფენაზე წარსადგენი ექსპონიციის აქცენტი გაკეთდებოდა. 1913 წელს, გამოფენისთვის სპეციალურად შექმნილმა ვერცხლის ჭურჭლის კოლექციამ მაღალი შეფასება – ოქროს მედალი მიიღო.<sup>85</sup> სამწუხაროდ, კოლექციისთვის გაკეთებული ჩანახატების ავტორი ცნობებში დღემდე არ არის ნაპოვნი. არსებობს მხოლოდ ფაქტები რომლებიც იული სტრაუმეს ვერცხლის ჭურჭლის კოლექციის შექმნასთან მჭიდრო კავშირზე მითითებს. მხატვრის მიერ ჩაფიქრებულმა და შედგენილმა კომპოზიციამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. თვით ტიფლისის მერმა, მას საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.<sup>86</sup> კომპოზიციის შედგენას შემდეგ, იგი მხატვართა წრეში როგორც ნიჭიერი პროფესიონალი იქნა აღიარებული. კუსტარული კომიტეტის მართველობამაც დააფასა ახალგაზრდა მხატვრის წარმატება და იგი ტექნიკური ჩანახატების დამზადებიდან უფროს მხატვრად გადაიყვანეს. მას უკვე ძალიან საბასუნისმებლო დავალებებს ანდობდნენ, რამაც ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვა გავარდა, მაგრამ შეცნობიერება და შემოქმედებით ასპარეზზე უფრო ფართო შესაძლებლობას აძლევდა. აგრეთვე მის მოვალეობებს საფეიქრო სახელოსნოებში და საოსტატო კურსებზე ხატვისა და სხვა გაკვეთილების ხელმძღვანელობა დაემატა. ასე რომ, მხატვრის სამუშაო პედაგოგიას მჭიდროდ დაუკავშირდა.

იული სტრაუმემ, საუბრისანათლებლო სკოლებისთვის ხატვის სწავლებების პროგრამა შეიმუშავა და ტიფლისის აღიქმისანდრეს პედაგოგიურ სკოლას<sup>87</sup> შესთავაზა. მხატვარი, თითოეული ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომის და შემოქმედებითი პროცესის გაღვივებას ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიდა განათლების პროცესში.

კავკასიის კუსტარული კომიტეტის და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის შერობა. 1911წ. დეკემბერი  
 ლსა, ფ. 902, აღწ. 2, საქ. 28, გვ. 33.

“თავისი არსით, მხატვრობა, ძვირფასი შთაბეჭდილების გაზიარების ძვირფასი ხერხია, როგორც მეტყველება. ბავშვისთვის ამ გამოხატვისთვის ენის წართმევა, ახალგაზრდის სულიერ განვითარებას აყოვნებს. სწავლების მეთოდია, რომელიც ბავშვისგან დიდ ყურადღებასა და სიზუსტეს მოითხოვს, ადამიანის ბუნებისთვის უცხოა და ნორმის სულებს ასახიზრებს.

ზოგჯერ ტექნიკის თვალსაზრისით არასრულყოფილ ნახატში, ზუსტ ნამუშევარზე შეუდარებლად მეტი ნაშთილი ხელოვნების შეგრძნება და გემოვნება იძლევა. დაუსრულებელ, მაგარამ სახასიათო გამოხატულებას სრულყოფილ ან გადმოხატულ ნახატზე ვაცვილებით მეტი შეუძლია გავიზიაროს. განსაკუთრებული ყურადღება მენსიერებით ხატვისა და პირველადი შთაბეჭდილების გადმოცემას უნდა მიენიჭოს, რადგანაც იგი ბავშვში, ნანახით გაჩენილ შთაბეჭდილებას და შეგრძნებას აღვიძებს. მისი ფურცელზე გადმოტანა ბავშვის ინდივიდუალობის გამოვლენაში გვეხმარება.”<sup>48</sup>

იული სტრაუშეს მიერ, შემუშავებული პროგრამა, სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიად იქცა, რაც მხატვრის პედაგოგიური გამოცდილებით, ნიჭითა და პიროვნული თვისებებით იყო განპირობებული. ბავშვების სწავლების პირველივე წელს, ფერში ხატვა იული სტრაუშემ წესად შემოიღო. დაგვლებები, რომელიც ბავშვებს ეძლეოდათ: დაეხატათ ჩიტი, მცენარის სილუეტა, მწერი, მხოლოდ ფერისა და ფუნჯის დახმარებით უნდა შეესრულებინათ. რაც მოწაფეებს ქვეყნიერების მრავალფეროვნებაზე ყურადღების გამახვილებას აიძულებდა. ბუნების წიაღში მკვლევარობას ბევრ დროს უთმობდა. ნანახის გადმოხატვისა და წვრილმანი დეტალების აღბეჭდვის ნაცვლად მოსწავლეებს ყველაზე მნიშვნელოვნის და ძირითადის ძიებას და დანახვას ასწავლიდა.

პედაგოგიაში ინდივიდუალური მიდგომის მეთოდის აღმოჩენა იული სტრაუშე ასევე საფეიქრო და საოსტატო კურსებზე იყენებდა. ამიტომ, მოწაფეები მცირე ჯგუფებად გაჰყო, დაახლოებით 10-15 მოსწავლე. ხელობის შემსწავლელ პროგრამაში, ტექსტის მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. პირველ რიგში, ტექნიკური ჩანახატის შესრულებასა და ხალიჩის ქსოვის პროცესში მის პრაქტიკულ გამოყენებას ასწავლიდა. იული სტრაუშე, ფერთა პარმონის მნიშვნელოვნებას უსმევდა ხაზს. მოსწავლეებს მითითებდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხალიჩის კომპონენტისთვის ტონთა შენამება, ასწავლიდა, თუ როგორ შეუხამონ ფონი მოხატულობისა და მისი კონტურის ფერებს, როგორ ჩაახშონ ან გააინტენსიფიკონ ორნამენტის გამოხატვლი ფერები. ასევე კურსის მოწაფეებმა ისწავლეს ტექნიკური ჩანახატის გზარდა და დაპატარავება, ორნამენტის ნიმუშისთვის ფერების შერჩევა და ხალიჩებისთვის კომპონენტების შექმნაც კი. იული სტრაუშე მოსწავლეებს

აკადემიური ხატვის ძირითად პრინციპებს ასწავლიდა, ისინი ხატავდნენ მცხარეებს, რომლებიც სტილიზებული სახით შემდგომში ხალიჩების კომპოზიციაში იყენებდნენ. ასევე, ნონის ქსოვის პრაქტიკული მეცადინეობებიც ტარდებოდა. კურსების დასამთავრებლად, გამოცდის ჩაბარება იყო საჭირო. თითოეულ მოწიფეს ურიგდებოდა ტექნიკური ჩანახატი, რომლის მიხედვითაც მას დამოუკიდებლად უნდა დაესრულებინა სამუშაო, ანუ ტექსტილის ნაკეთობა მოექსოვა. აქვე უნდა დაგსძინოთ, რომ შალის ნართიც თვითონ უნდა შეელება, ტონის ნიმუშად გაცემული ტექნიკური ფერადი ჩანახატის გამოყენებით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლებოდა ნაკეთობის დამზადების შემდეგ.<sup>50</sup> კურსდამთავრებული ოსტატი საფეიქრო ცეხში სამუშაოდ სრულიად მომზადებული იყო და სახელმწიფო სახელოსნოს გახსნის უფლება ეძლეოდა.

მოსწავლეთა აღზრდითა და მათი ცოდნის გაღრმავებით გადატვირთულს, მხატვარს საკუთარი შემოქმედებისთვის დრო აღარ რჩებოდა. მან აკვარელში ხატვა, რომელიც ძლიერ იტაცებდა, თითქმის სულ მიატოვა. იშვიათად ასურებდა კავკასიის შთამბეჭდავი ხედების აკვარელის ფერებში გაცოცხლებას. სახატავად ბუნების წიაღში ვანცალეკვების საშუალება მონასტრებში მუშაობისას თუ ეძლეოდა ხოლმე. იქ არა მხოლოდ საკრალური ხელოვნების ობიექტების ჩახატვის, არამედ ყოველდღიურობის ტექმისგან თავშესაფარის მოძებნისა და მღვდლებთან საუბრებში თვალსაწიერის გაფართოების საშუალება ჰქონდა.

*“ენშიადინი”<sup>50</sup>, 06/08/10წ.*

*ძვირფასო სუ, დღეს თქვენი წერილი მივიღე. [...] რაც შეეხება სამუშაოს. [...] 1700 წლის ბიბლიიდან გამოსახულებების კომირებით ვარ დაკავებული. ძალიან საკირკიტო და გულის ვამაწვრილებელი სამუშაოა, მაგრამ ტექნიკა გასაცარი და საუცხოო. კომიტეტის კოლექციისთვის უზარმაზარი ვანბი იქნება. ტიფლისიდან ოქროს წყალს ველოდები, რადგანაც ყველაფერი ოქროთი არის დახატული. დრო და დრო არჩიებისკობოს ვესაუბრები. უჭკვიანესი ადამიანია, თეოლოგის მაგისტრი. ბევრი უმოგ ზაურია. აცნობს პალესტინას, ეგვიპტეს, საფრანგეთს, იტალიას და სხვა. ფრანგულად ვსაუბრობთ. ძალიან გულღია და თავაზიანი ადამიანია. [...]*

ჟილსი<sup>52a</sup>

კუბტარული ნამუშევრების გამყიდველი. ტიფლისი, დაახლოებით 1910წ.

ღსაფ. 902, აღწ. 2, ნაქ. 59, გვ. 1.

ტადრებსა და მონასტრებში კომბირებული მინიატურების ვაგლენით, მხატვარმა რამდენიმე ყოფითი ნივთის მონახტულობა შექმნა.<sup>32</sup> კავკასიაში მან ათუფლობით გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევარი დააბროექტა, უმთავრესად ეთნოგრაფიული ნამუშების გამოყენებით. მისთვის ფორმის სრულყოფილება და სინატიფეა დამახასიათებელი. იული სტრაუშეს მიერ დაბროექტებული ნაკეთობები, არა მხოლოდ ვიზუალური მოშხიბვლელობით, არამედ ასევე მოხმარებაში პრაქტიკულობით და მორთულობის სისადით გამოირჩევა. განსაკუთრებულად ელეგანტურია, ორი ვერცხლის თასი - ხვიარა მცენარის მოტივებით. იული სტრაუშეს ჩანახატების მიხედვით თასებს ჭედავდა - ვერცხლისმჭედელი შაჯი იბრაჰიმოვი.

ი. სტრაუშეს მშართველობის პერიოდში კუსტარული კომიტეტის სამხატვრო განყოფილებამ ნიმუშთა სახელოსნოები დააარსა მთელს კავკასიაში და მათთვის სპეციალური სასწავლო პროგრამა შეიმუშავა. განყოფილება მათ მუშაობას თვალ-ყურს შემდგომშიც ადევნებდა. სპეციალისტები, აგრეთვე, ეთნოგრაფიული მნიშვნელობის მქონე კუსტარული ნაკეთობებს აგროვებდნენ: ძველებურ იარაღს, კერემიკას, ხალიჩებს და სხვა ტექსტილს.<sup>33</sup> სამხატვრო განყოფილება საოსტატო სახელოსნოებისთვის ტექნიკურ ჩანახატებს ამზადებდა. ექსპედიციებში მოპოვებული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ორიგინალები, სტრაუშეს ინიციატივითა და შეთვალყურებით სისტემატიზირებულ და ჩახატულ იქნა. ძველებური ნიმუშების ორიგინალების მიხედვით, მხატვრები გამოყენებითი ხელოვნების ახალ ნაკეთობებს აბროექტებდნენ. მე-19 საუკუნის შუა წლებში, კუსტარული ნაკეთობების დამზადების პროცესის დიფერენცირება იწყება. პროფესიონალი მხატვარი აბროექტებდა, ხოლო ოსტატი კი ზრუნავდა ნაკეთობის დიზაინის მხატვრის ჩანაფიქრთან შესატყვისობაზე. ამგვარად, მოხერხდა ხალხურ ხელოვნებაში საუკეთესოსა და მე-20 საუკუნის გამოყენებითი ხელოვნების ტენდენციებს შორის წინასწარობის შენარჩუნება. საგრძნობი ვახდა ხალხური ხელოვნების ვაგლენა, გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში: სამჭედლო, კერამიკის, ტექსტილისა და სხვა. იული სტრაუშეს სამუშაო კავკასიელ ხალხთა გამოყენებით ხელოვნებაში გაიდგა ფესვები, ეძღვნებოდა მისი ხარისხის ამაღლებას და ამავე დროს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებებს ემსახურებოდა.

სტრაუშეს ბირადი ცხოვრება, სამსახურეობრივ მავალეობებთან ბირდაბირ დამოკიდებულებაში შევიდა. მეუღლესთან განშორება ზშირად უწევდა. აუგუსტა იძულებული იყო ამ ვარემოებას შეგუებოდა. ზოგჯერ, როდესაც მივლინების

ექსპონიცია გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი. 1937.



ადგილი თუ ძალიან შორი იყო, მეუღლე იულისთან ერთად მოგზაურობდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა იშვიათად ეძლეოდათ, რადგანაც მხატვრული განყოფილების თანამშრომლები მეტ წილად მთაში, შირიულ დასახლებებსა და ძველ კულტურულ ცენტრებში მიემგზავრობდნენ.

1912 წლის ზაფხულში, ოული სტრაუშე მეცნიერთა ექსპედიციას შეუერთდა, რომელიც ძველი სომხური ქალაქის ანის ნანგრევებზე<sup>34</sup> კვლევით სამუშაოებს ატარებდა. მხატვრის მზერას, თურქეთის ერთ-ერთი უღარიბესი დასახლება, ანი წარუდგა და ასეთივე დასახლებების ნაკადული, რომელიც ხეობას ანმაურებდა და უღაბურ გარემოს აცოცხლებდა. შემდეგ სომხური სოფლები: ჭალა, არაგვეა და სხვა. ექსპედიციის ხელმძღვანელ ნიკო მარისთვის<sup>35</sup> ეს არ იყო პირველი ექსპედიცია ანში და 1912 წლის 1 ივნისს, ნაქალაქარის ტერიტორიაზე მისი მეთერთმეტე არქეოლოგიური ექსპედიცია დაიწყო. ოული სტრაუშეს ევალეობდა, შეგროვებულსა და ასლად მოძიებულ ექსპონატთა შორის გადაერჩია ყველაზე იშვიათი, მხატვრული ღირებულების მქონე და ჩაესატა, რომ შემდგომში ძველი სომხური მხატვრობის ნიმუშების მხედველად, ოსტატებს სახელოსნოებში ახალი ნაკეთობების შექმნის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ მხატვრის შვა კავკასიის სხვა მთიანი დასახლებებისკენ გრძელდებოდა.

ოული სტრაუშემ, ყველაზე მეტი ყურადღება ტექსტილის მხატვრობას მიუძღვნა. "განსაკუთრებული ინტერესი ხალიჩებზე და სხვა ნაქოვმა ნაკეთობებზე მიიქცის, რომლებიც ყველაზე მეტად აქ კავკასიაშია გავრცელებული. ჯერ არცერთი მხატვარი არ სპეციალიზირდებოდა ამ დარგში, და ლიტერატურაშიც ძალიან იშვიათად მოიხსენიება კავკასიური ნივთები, ხოლო თუ გვხვდება, როგორც სპარსული ხალიჩებია მინიშნებული ვასაგებია, რომ უფრო განვითარებული სპარსეთის კულტურამ კავკასიელ ხალხებზე გავლენა იქონია, მაგრამ მოუხედავად ამისა, თავიანთ სახლებში დაშინადებულ ნაკეთობებში ისინი საუკუნით ორნამენტს იგონებდნენ და საკუთარი გემოვნების მიხედვით ამზადებდნენ მას."<sup>36</sup>

ასლო მანძილზე ექსპედიცია ფუნთი გადაადვილდებოდა. შორ მანძილზე ცხენებსა ან ვირებსზე. მთის ბილიკები, ადამიანებისთვის სახიფათო იყო, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მთაში არ არის დაბადებული და გაზრდილი. სწორად, ხეობაზე ხილს ნაცვლად გადებული ბობი, ფუნს ყოველ დაბიჯებაზე ქანაობდა... სოფლის მოსახლეობა მოსულთ თავიდან უნდობლად უყურებდა, რადგანაც გადასახადების ამგროვებელნი ეგონათ. ექსპედიციის

ანის ნაქალაქარი. 1912წ. ისტრაუშეს ფოტო.

ლსა, ფ. 902, აღწ. 2, საქ. 28, გვ. 3.

წევრებს, უპირველეს ყოვლისა ბეგისა და მოლას კეთილგანწყობა უნდა მოეპოვებინათ (მაჰმადიანური სოფლების ყველაზე საპატიო მაცხოვრებელი და სასულიერო პირი). მათი გულის მოსაგებ დიპლომატიურ საუბრებში, ძალიან ბევრი დრო იხარჯებოდა. თოვლიანი ქარიშხლები, სიცხე ზაფხულში, მორიყელები და გველები კიდევ უფრო ართულებდა ისედაც მძიმე პირობებს. ეს ყველაფერი მათი მოგზაურობის განუყოფელ ელემენტად იქცა. მიკრახისა<sup>97</sup> და სხვა მთიანი დასახლებების შესწავლის დროს, ამინდის წშირი ცვლა ექსპედიციის წევრებს გაუთვალისწინებელ რისკს უქმნიდა. მხატვარი კავკასიელ ხალხთა ჯერ კიდევ მისთვის უცხო ყოფასა და კულტურას სწორედ ამ ექსპედიციაში გაეცნო. იული მეუღლეს თავის შთაბეჭდილებას უზიარებდა:

“ახტი<sup>98</sup>, 21/07/16

ჩემო პატარა სავანძურო, ვჩქარობ ვიპასუხოთ. როდესაც გუშინ საღამოს, პირველი მოგზაურობიდან დაგბრუნდი, აბდულ მეხიდემ, რომელთანაც ვცხოვრობ, თქვენი წერილი დამასვენდრა. ეს ზაფხული ძალიან რთული გამოდგა. [...] დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. მთელი ძალები კარგად დასვენებას მოახმარეთ და ჯანმრთელობის მდგომარეობა გაიმჯობესეთ. [...] რუტულაში, რომელიც ოლქის უფროსის რეზიდენციაა, ღამე ვაგათიე. მან, თავისი მეორე ცოლი ვამაცნო, რომელთან ერთადაც ახლა ცხოვრობს. იგი შამილის<sup>99</sup> ოჯახის შთამომავალია. დღით აღარ მინახავს, რადგანაც დასჯილი იყო, არ ვიცი რისთვის. ოლქის უფროსი, ჩემს მიმართ ძალიან თავაზიანი იყო, იფიცებოდა რომ მოძიებულ ხალიჩებს ახტიში ვააგზავნის, სადაც მე მათ კომპირებას შევუდგები. [...] შემდეგ მინდა მთებში მოკლე მოგზაურობების მოწყობა. [...] თუ ფულთან დაკავშირებული სირთულეები გექნებათ, მომწერეთ რამდენი გამოგივზავნით. [...]

ნაზად გეხვევით.<sup>100</sup>“

უცხოელის მიმართ, ადგილობრივი მოსახლეობის თავდაპირველი სიფრთხილე, პატივისცემასა და მეგობრობაში გადაიზარდა. მხატვრისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რადგანაც სწორედ მათ სახლებში, განსაკუთრებით ბეგის საკუთრებაში, ინახებოდა ყველაზე ძველებური და მრავალფეროვანი ხალიჩები და ხალხური ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშები.

ქსპედიციაში მხატვარს, ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების შესწავლის, სხვადასხვა ხალხთა რელიგიების, მთილოვანისა და მათი ფოლკლორის გაცნობის შესაძლებლობა მიეცა. იმ დროს, როდესაც იული სტრაუპე

ახტი. დაახლოებით 1916წ.





ექსპედიციაში მაღალმთიან დასახლებებში გაემგზავრა, ამ მიწის წარსულსა და ძველი კულტურის სიმდიდრის შესახებ, ტექსტილის ორნამენტს დღევანდლობაზე მეტი შეეძლო მოეთხრო და დაემტკიცებინა. ხალხის მენსიურებაშიც ძლიერა შთაბეჭდილება დაუტოვებია. მთიელთა ყოფა სადაა და მკაცრი. მთაში ნაადრავი ნოყიერი არ არის, ამიტომ მიწათმოქმედებისგან შემოსავალი მცირეა. გამოყენებითი ხელოვნების ხელობით, უმეტეს წილად ქალები არიან დაკავებული. მთიელთა საცხოვრებლის დათვარიელების შემდეგ, მხატვარი ხალიჩებისა და ნოხების მათ ყოველდღიურ ყოფაში დიდ მნიშვნელობას მიუხვდა. ტექსტილის ნაკეთობები კარის ჭრილის დაფარვას ემსახურებოდა, ასევე ფარდის და სხვა პრაქტიკულ ფუნქციებს ასრულებდა. მჭიდრო, გლუვი, ორნამენტით მდიდარი ქსოვილისგან დიდი საგზაო ჩანთები იკერებოდა. ამავე ქსოვილისგან, უნაგირზე დასამაგრებელი მომცრო ჩანთებიც მზადდებოდა. თეთრეულის შესანახი უზარმაზარი ჩანთებიც ამავე ქსოვილისგან იკერებოდა. სხვადასხვა ზომის ტექსტილის ნაკეთობები სახლის კედლებსა და იატაკს ფარავდა. ხალიჩებით მორთულ ოთახში სიმშვიდისა და იდუმალების თავისებური განწყობა იქმნებოდა.

იული სტრაუპემ, ადგილობრივი ტექსტილის მრავალი სახეობები შესწავლა. კავკასიელ ხალხთა უფორო ხალიჩების ქსოვის ტექნიკაში, მათ გამოყენებაში, ზომებსა, ფერსა და ორნამენტის შექმნაში ძალიან დიდი მრავალფეროვნებაა სახასიათო. მხატვარს კავკასიის ხალხთა ტექსტილის ნაკეთობათა დასახელებების შესწავლა მოუწია, რომელთაც სხვადასხვა ენებში სხვაგვარად უწოდებდნენ. ხალიჩების სახეობებს, ორ ჯგუფად დანაწევრიანება დასჭირდა: ფორიანი და უფორო. მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, კავკასიაში სპარსულ ხალიჩებს მხოლოდ გარკვეულ რეგიონებში ამზადებდნენ. იმ დროს საქართველოში, უმეტესწილად უფორო ხალიჩებს ქსოვდნენ. მათი წარმოების ადგილები იყო - თიანეთი და დუშეთი, ტიფლისის გუბერნიის გარს მდებარე რეგიონები და იმერეთში ქუთაისის რაიონი.

ყველაზე თვალსაჩინოა ის ფორიანი, ანუ სპარსული ხალიჩები, რომლიც სპარსული ტექნიკით იქსოვებოდა.<sup>101</sup> ასეთი ხალიჩების წარმოების ძირითად რაიონად დაღესტანი ითვლებოდა. საფეიქრო საქმის ნამდვილი ოსტატები ამ რეგიონის ბევრ

ტორან ონენცის ეკლესიის (1215წ. აგებული) ნანგრევები. ანი. 1912წ. ი. სტრაუპეს ფოტო  
 ლსა, ფ. 902, აღწ. 2, საქ. 28, გვ. 6.

ფეიქარი ქალები ახტის რაიონიდან და მათი ინსტრუქტორი. 1912

ლსა, ფ. 902, აღწ. 2, საქ. 28, გვ. 34.





სოფელში მოიძებნებოდა: ვაკალიარა, იმამგულიენტი, მაგერაშკენტი, კასუშკენტი, ვილიარი და სხვა, ასევე ტუშირხანშურას მიდამოებშიც. ვაჭართა წრეებში განსაკუთრებით დაღესტნური უფოჩო ხალიჩები და დაღესტნის სამხრეთი რაიონში (მაგ. დერბენტი) დამზადებული ნოსები ფასობდა. ხოლო, ძველებური ორნამენტის მრავალფეროვნებით და ტუქნიკის ხარისხით კუბის<sup>102</sup> ხალიჩები გამოირჩეოდა. ერთფერაფერულ ღირებულებებში ორიენტაციების გასაიოლებლად, ექსპედიციებში მოძიებული მასალები, მათი მოპოვების ადგილისა და ტუქსტილის ორნამენტის გავრცელების რეგიონების მიხედვით იქნა დაჯგუფებული. კუსტარული კომპლექტის სპეციალისტთა აზრით, ტუქსტილის გავრცელების რამოდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ტერიტორია არსებობდა. ნოსების წარმოების ძველი ტრადიციებითა და სავაჭრო კავშირებით ევროპასა და აზიაში, ასევე ყარაბახს იყო განთქმული (ოღესზღაც ყარაბახის სახანო). მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქალაქ შუშაში, ანილის ხალებავების შემოტანასთან ერთად, ყარაბახის ნაკეთობათა ხარისხმა საგრძნობლად იკლო, მაგრამ ეს ტერიტორია, კავკასიაში, მაინც ყველაზე მრავალფეროვანი და მხატვრული ღირებულების მქონე ხალიჩების მწარმოებელ რეგიონად ითვლებოდა. ამიტომ, ამ მხარეში, ქსოვის ძველი ტრადიციების აღდგენას ა. სტრაუშე და სხვა სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ.

ტუქსტილი, როგორც მაჰმადიან ასევე ქრისტიან ოჯახებში ერთნაირად ფასობდა. მუსულმანურ ტრადიციებში სალოცავი ორნოვა განსაკუთრებულ ფასულობას წარმოადგენს. ამიტომ, ოსტატი უზარმაზარ ფანტაზიას აქოვდა მათ მოხატულობასა და ფერთა გამაში. მაჰმადიანები, დღის განმავლობაში რამდენჯერმე ამისთვის განკუთვნილ დროს, ლოცულობენ, მაგრამ ასეთ მომენტებში სახლში ან ტაძარში ყოფნა ყოველთვის როდია შესაძლებელი. ზნაში ან სამუშაოზე მყოფნი, სალოცავად მომზადებისას, სპეციალურ ორნოვას ისე აგებენ, რომ მასზე გამოსახული თაღის წვერი შექსკენ მიუთითებდეს. რიტუალის მიხედვით, ლოცვის წინ ფეხზე იხდიან, მუხლს იხრიან და მიწის ზედაპირს შუბლითა და ხელის გულებით ეხებიან. სალოცავ ორნოვაზე განსაკუთრებულად მონიშნულია ის ადგილები, რომელსაც ლოცვისას ეხებიან. ჩრდილო კავკასიელი მაჰმადიანები, ხალიჩის ცენტრალურ ნაწილში ორნამენტებით მდიდრულად მორთულ თაღისებურ ნიშას გამოსახავენ. ნოსის ზედა ნაწილში ადამიანის ხელების გამოსახულებაა ჩაქოვლი, ხოლო ნიშას ცენტრში მრავალფეროვანი ორნამენტებით მოჭედული პატარა მონაკვეთია, რომელსაც მლოცველი შუბლით ეხება. (გამ. 41)

პანის სასახლე ნუშაში. 1919წ.

ღსა. ფ. 902, აღწ. 2, საქ. 28, გვ. 4; ა. სტრაუშის ფოტო



ყირიმის მაჰმადიანთა სალოცავი ორსოვებისთვის, მქონეთს გამოსახულებაა მინარეთი ორივე მხრიდან დამახასიათებელი.

ტექსტილის ასეთმა მრავალსახეობამ და მრავალფეროვნებამ დასაწყისში თელი სტრაუშე შეაცბუნა, მაგრამ უფრო ახლოს ვაცნობისა და ქსოვის ტრადიციების ყოველდღიური შესწავლის შემდეგ, მისი ინტერესი სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. მას აინტერესებდა, თუ რა უბიძგებს ოსტატს ამა თუ იმ ორნამენტს არჩევაში, ბუნებრივი საღებავების, ტექნიკური ხერხების და ხელობის სხვა საიდუმლოები. მხატვარი ტექსტილის ორნამენტის მეცნიერულ შესწავლასა და გამოკვლევას შეუდგა - ხანგრძლივსა და გულისგამაწვრილებელ სამუშაოს, რომელიც კუსტარული კომიტეტის ერთ-ერთი დავალება იყო. თელი სტრაუშე დიდი გაცხადებით უკეთებდა კობირებას და იკვლევდა საკრალური ხელოვნების ნიმუშებს გელათში,<sup>103</sup> ენშიადინში და სხვა რელიგიურ ცენტრებში. მის მიერ დახატული, როგორც ქრისტიანული, ასევე მაჰმადიანური საკულტო ნაგებობებს და ძველი ხელნაწერების ორნამენტების კოლექციამ კუსტარული კომიტეტის საცავები საგრძნობლად გაამდიდრა. კულტურული მნიშვნელობის ადგილებს დათვალიერებისას, ფოტოსურათებზე მხატვარმა კავკასიის ხალხთა კუსტარული ნაკეთობები, შინასამრეწველო სახელოსნოები, ყოფითი ხედეები და არქიტექტურული ობიექტები უკვდავყო. 1919 წელს, ნუჰაში<sup>104</sup> პანის სასახლეში, თელი სტრაუშემ მოწონებული ორნამენტების ფოტოგადაღების დროებით ვადადება გადაწყვიტა. ქალაქი ძალიან მოეწონა, ამიტომ სასახლეში ხანგრძლივი სამუშაო ჩაიფიქრა.

“ნუჰა, 16/09/1919.”

ძვირფასო სუ, შაბათიდან ნუჰაში ვიმყოფებით. შაბათს, დაახლოებით დილის 3 საათზე ვეჩავით იველანში, არც კი შევისვენეთ და ნუჰამკენ განვაგრძეთ გზა. ერთი თათარი ოფიცერი, ერთი მღვდელი, ერთი ბევი და კიდევ ორი თათარი დაგვემზადებინა. უკვე იველანში გაწვიმდა, რაც შორს მივდიოდით წვიმა სულ უფრო მატულობდა. ამინდი საკმაოდ ცივი იყო. ცოტა მაკანკალებდა კიდევ. თავიდან ბუნება უინტერესო მომეჩვენა, ხრიოკი, სიმწვანე არსად ჩანდა, მაგრამ შემდეგ ვალამაზდა. წვიმის გამო ბევრს ვერას ვხედავდი. ნუჰამდე რომ მივალწიეთ, ქათმებივით სველები ვიყავით. სასტუმროსკენ გავსწიეთ. [...] იქ გადასარეკად გვაჭამეს. წინა ღამეს არ გვიძინია, ამიტომ კვირა დღის ნაშუადღევს გავიღვიძეთ. [...] მზემ, მხოლოდ სამშაბათს გამოიჩინა. რა მშვენიერი იყო ბუნება! ქალაქი საკმაოდ დიდია, ჩაფლულია სიმწვანეში, საში მხრიდან ტყიანი მთებით შემორკალული. სახლს ვერ ნახავ ბაღი არ ჰქონდეს. ნაგებობები კონტაა და ქვით ნაშენები. მოსახლეობა მეტწილად თათრები არიან. აქ მღებარეობს ერთ-ერთი ხანის სასახლე.<sup>105</sup> რომელიც ცარიელია. შეგნიდანაც და ვარედანაც ვასათყარი ორნამენტებითა და



მოსატულობითაა შორთული. ცოტა ფოტოები ვადავიდე კიდევ. რამდენიმე თვეს ეყოფა სამუშაო, ამიტომ მომავალ წელს ჩემს პატარა საგანძურთან ერთად ვიმედოვნებ ჩამოსვლას. [...] ძვირფასო, თქვენ ერთი სურბრინი გელით. აბა გამოიყენით! თეთრი, დიდი, აბრეშუმის შალი. ნუპაში, აბრეშუმის ნაკეთობის მოძებნა ძნელია, თუმცა რამოდენიმე ქარხანა სწორედ აბრეშუმს აწარმოებს. დღეს და გუშინ ძალიან დავიღალე. თქვენ, ჩემო ძვირფასო? ალბათ, ავადმყოფობთ. თავს მოუფრთხილდით, ძალე გამოჯანმრთელდით. ხვალ, დილის 3 საათზე შუშაში მივებე ზავრებით. [...]»<sup>166</sup>

მხატვარმა კავკასიის ბუნება, ხალხი და მათ მიერ შექმნილი ხელოვნების სამყარო სულის სიღრმემდე შეიყვარა. ამიტომ თავდაუსოვავად მუშაობდა, საკუთარ ჯანმრთელობას არ ინდობდა, ზოგჯერ შეუსატყვევს განათებაზე მუშაობდა, რაც მხედველობას ძალიან ვნებდა. კავკასიის ხალხთა, ლატვიელისთვის უცხო, მხატვრობის მრავალფეროვნება, მხატვარს ორნამენტების ახალი ვარიაციების შექმნას შთააგონებდა.

სამწუნაროდ, ასეთი აღმაფრენით დაწყებული სამუშაო პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ძალიან გაართულა. პიროვნულად მხატვარს ომი არ შეეხო, ანლო მხედველობის გამო სამხედრო სამსახურს არ ექვემდებარებოდა. იგი კუსტარულ კომიტეტში მუშაობას განაგრძობდა, ასევე ყველაზე ძვირფასი კოლექციების ტიფლისიდან ეკატერინბურგში ევაკუირებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა.<sup>167</sup>

რევოლუციისა და ომის შემდეგ, სამოქალაქო ომის ექიმ კავკასიამდეც მოაღწია. არეული დრო იყო, ცხოვრება ძალიან გაართულდა. ლატვიიდან კავკასიამდე მისულმა ლტოლვილებმა სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრი დაიწყეს. იული სტრაუშე ტიფლისის ლატვიელთა საზოგადოების შეკრებებში მონაწილეობდა, სახლში დაბრუნების შესაძლებლობების შესაფასებლად.<sup>168</sup> კრებებზე დასწრების შედეგად, მან კიდევ დაცდა ამჯობინა. ბევრმა მისმა თანამემამულემ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. 1919 წლის სექტემბერში, 500-600 ლატვიელს სურდა სამშობლოში დაბრუნება, 1920 წელს, მსურველთა რიცხვმა იმატა. მათ შორის

დადესტანის რევიონის სოფლისმეურნეობის და სახლმრეწველობის გამოყენის ვახსნა ტუმბინანშურაში. 1912წ. ჯგუფის ცენტრში, მხოლოე რიგში, მარცხნიდან მესამე — მიწათმართველის თანამეშვე ცივილსაკითხებში, სენატორი, საიდუმლო მრჩეველი, რუსეთის. იმპერატორის სამეფო კარის პოლემისტერი და ა. სტრაუშეს მეგობარი ემანუელ ვატატი. ბოლო რიგში, მარცხნიდან

პირველი ა. სტრაუშე.

გულბენუს ისტორიისა და მხატვრობის მუზეუმი

აბუღლასის ფოტო



იყვნენ ჯარისკაცები, უმუშევარი მუშები და მოსამხარუნეები, რამოდენიმე მებატონე რომელითაც საკუთრება ოჯახის გადასარჩენად მიეტოვებინათ.<sup>108</sup> წასვლის მსურველები შავი ზღვის პირას, ბათუმში და სხვა საზღვაო ქალაქებში იკრიბებოდნენ. ამ ქალაქებში ტიფის ეპიდემია ვაგრცვლდა, და ბევრი მათგანი ისე გარდაიცვალა, რომ ლატვია ვერ ნახეს...

1920 წელს, კავკასიაში ბოლშევიკები ძალაუფლების გაძლიერებისთვის იბრძოდნენ თანამემამულეების გამგზავრებასთან დაკავშირებული სირთულეებით შეცბუნებულმა, იული სტრაუშემ ტიფლისში შეყოვნება არჩია. სამსახური, მას არ დაუკარგავს. 1920 წლის შემოდგომაზე, 1920 წლის 11 აგვისტოს ლატვიასა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებს დადების შესახებ ცნობამ კავკასიაზე მოაღწია ხელშეკრულების მიხედვით, ლატვიელ ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნების უფლება ეძლეოდათ. ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ხელისუფლებისთვის ბრძოლა, კავკასიაში არეულობებს იწვევდა. ეს მხატვარმა საკუთარ თავსაც გამოსცადა.<sup>109</sup>

1921 წლის მაისში, ლატვიის ვიცეკონსულმა ტიფლისში იანის პურინშმა<sup>110</sup> სტრაუშეს, ლატვიის საკონსულოს დროებითი ხელმძღვანელობა შესთავაზა. მხატვარს უარის თქმა მოერიდა, თანაც მოვალეობები, რომლებზეც პურინშმა მოუთხორო, რთული არ მოეჩვენა. ხანგრძლივი ფიქრისთვის დრო არ იყო. 1921 წლის 24 მაისს, საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობამ ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ფინეთისა და პოლონეთის მოქალაქეთა სამშობლოში ევაკუაციის შესახებ, კანონი მიიღო. იანის პურინში, საკონსულოს შემდგომ სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა დეტალს დაზუსტებას და აუცილებელი ინფორმაციის იული სტრაუშისთვის, გამოგზავნას იბრებოდა. 1921 წლის 27 მაისს, იანის პურინშმა ლატვიის საკონსულოს ვიცეკონსულის მოვალეობების დროებით შემსრულებელს იული სტრაუშეს საკონსულოს ნივთები და ინვენტარის სია ჩააბარა.<sup>112</sup> საქართველოს მთავრობისგან ლატვიის საკონსულოს სამუშაოს გაგრძელების ნებართვის მიღების შემდეგ გამგზავრებისთვის უკვე მომზადებულმა იპურინშმა ვიცეკონსულის მოვალეობებს დროებით შემსრულებელს იული სტრაუშეს და მის მდივანის პეტრის ბირგენსონის<sup>113</sup> სახელზე ცნობები ვასცა და საქართველოს საგარეო საქმეთა კომისარიატში დაამოწმა. ლატვიის დროებითი მთავრობის მიერ გაცემული მინდობილობა, მხოლოდ საქართველოში ლატვიის კონსულს ოსკარ ბლაუმანის პქონდა, რომელიც ტიფლისიდან გამგზავრებისას თან წაიღო.<sup>114</sup>

სამუშაოს დაწყებისთანავე იული სტრაუშემ აღმოაჩინა, რომ საკონსულოს დაფინანსება არ გააჩნია, საღარო ცარიელია. ლატვიის მოქალაქეთა პასპორტებს გასაცემად საქართო საბუთები იპურინშმა თან გაიყილა. ამასობაში კი საკონსულოში

ყოველდღიურად მოდიოდნენ ლატვიელები თავიანთი პრობლემების გადაწყვეტის იმედით და სწორედ ისტრაუმეს შიმართავდნენ. საკონსულოში, წითელი არმიის უამრავი ჯარისკაცი მოდიოდა და ლატვიელობის დამადასტურებელ საბუთებს ითხოვდა, რათა სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით წითელ არმიამი მსახურსთვის თავი აერიდებინათ. სტრაუმეს არცერთი თხოვნის მიმართ ვულგარობა არ გამოუჩინია, მაგრამ ყველა ლატვიელი სამშობლოში მანაც ვერ დაბრუნდა. ჯარში მსახურისგან არ განათავისუფლეს სპეციალისტები და მაღალი თანამდებობის პირები.<sup>15</sup> 1921 წლის 8 აგვისტოს, რევოლუციონერთა კომიტეტმა დეკრეტი გასცა, რომ უცხოელებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირები, რომელთაც პასპორტი სამშობლოში აქვთ მიღებული. გამოირკვა, რომ საქართველოში ასეთი ლატვიელი არ იყო, რადგანაც მათ საკონსულოს მიერ გაცემული პასპორტები ჰქონდათ. ამან დამატებითი სირთულეები შექმნა, ვინაიდან ისინი უცხო ქვეყნის მოქალაქეებად აღარ ითვლებოდნენ.

უკვე 1921 წელს, იული სტრაუმეს წერილი გაგაასიამი არსებული პრობლემების შესახებ, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო, მაგრამ წერილის კიდევ რეზოლუციაცაა მიწერილი – *“მოლიტიკური კონიუნქტურა პასუხისაგან დროებით თავის შეკავებას გვაიძულებს.”* რის შემდეგაც, წერილი ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ბატონ იანის ლიძანის საწერი მაგიდის უჯრაში დავიწყებას მიეცა.<sup>16</sup>

1922 წლის იანვარში, იული სტრაუმეს ვიცეკონსულს მოვალეობების შესრულებას მისი მდივნის მიერ დაწერილია საჩივარმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. იგი ი. სტრაუმეს, მათ შორის წარმოშობილი ყოფითი ხასიათის მქონე კონფლიქტის გამო, მიღებულ გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა. მოკრძალებული ბუნების ი. სტრაუმეს აზრით, აბირგენსონმა საკონსულოში მოპატიჟებულ სტუმრებთან ერთად მართიად-დებლური შობა ზედმეტად ხმაურიანად აღნიშნა, ამიტომ მან აბირგენსონი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლა.<sup>17</sup> იული ზედმეტად იმბულსურად მოიქცა, სწორედ ისე როგორც მისი მამა კარლის სტრაუმე იქცეოდა ხოლმე, როდესაც უწესრფობას ხედავდა და მის სასწრაფო შეწყვეტას თვლიდა აუცილებლად. აბირგენსონმა კი საჩივარი დაწერა და ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გააგზავნა.<sup>18</sup>

საჩივრის მიღების საფუძველზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა იანის პურინშს, მის ჩამოსვლამდე საქართველოში არსებული ვითარების შესახებ ცნობები მოსთხოვეს,<sup>19</sup> შედეგად საქართველოში ლატვიის საკონსულოს სამუშაოს შეწყვეტის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.<sup>20</sup>

ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე არაფრის მცოდნე ისტრაუმე, ლატვიის ხელისუფლებას წერილებსა და დეპეშებს უგზავნიდა, ლატვიელ მოქალაქეთა

მძიმე მდგომარეობაზე კავკასიაში და მინდობილობას სთხოვდა, რათა ლატვიის საკონსულოს საქართველოში მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა პქონოდა. იპურინშისგან ჯერ კიდევ არ იყო არანაირი ცნობა, ასევე ლატვიის წარმომადგენლობა მოსკოვში და რიგაში, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროც დუმდა. ლატვიის რესპუბლიკის ხელისუფლების დამოკიდებულებამ, კავკასიაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების მიმართ, იული სტრაუშე უადრესად ვააოცა. 1922 წლის 12 სექტემბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილ წერილში იგი წერდა:

*“თუ ტრანსკავკასია ის ხიდაა რომელზეც აღმოსავლეთთან ეკონომიკური, სავაჭრო და საწარმოო ინტერესების გზა არის ვადებულია თუ პატარა სახელმწიფოებს, როგორცაა ლატვია, ლიტვა და ესტონეთი, საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას ცდილობენ (ლიტვამ სრულუფლებიანი სავაჭრო წარმომადგენელი გამოავაგზავნა. ესტონეთმა ბოლშევიკთა ხელისუფლებასთან თბილისში თავისი წარმომადგენლობა დააარსა, მთელ კავკასიას და სხარისგანთან საკავშიროდ და ახლო მომავალში ესტონური საქონლით ვაჭრობა ელოდება.) მაშინ ლატვიასაც, ჩემის რწმენით, კავკასიაში თავისი წარმომადგენლობის შენარჩუნების საკმაო დანტერესება გააჩნია.”*

წერილის ბოლოს, ასტრაუშე ამცნობს: *“რადგანაც სამშობლოში ჩემი დაბრუნება სწორედ საკონსულოს ხელმძღვანელობის მოვალეობების შესრულებამ შეაყოვნა, ხოლო ტიფლისში ეს უკანასკნელი აღარ იარსებებს და მინდობილობას არ გამოვზავან, უკვე ვაზაფხულზე ლატვიაში დაბრუნებას ვიმედოვნებ. [...] კავკასიაში მხატვრობის უმდიდრესი კოლექცია მოვიძიე, რომელიც ლატვიის მხატვრობისთვის ძალიან ფასეული იქნებოდა, მაგრამ ვეჭვობ, რომ საქართველოს მთავრობამ მისი ვატანის ნებართვა მომცეს.”<sup>121</sup>*

1922 წლის 10 თებერვალს, ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო საქართველოში, საბჭოთა საქართველოს მთავრობის უცხოურ წარმომადგენლობებთან დაკავშირებულ დეკრეტზე დაყრდნობით, ოფიციალურად იყო გაუქმებული. რუსეთში მხოლოდ 1922 წლის 22 თებერვალს, ლატვიის ვიცეკონსულის მოვალეობების დროებითი შემსრულებლის იული სტრაუშეს სახელზე, ლატვიის რესპუბლიკის წარმომადგენლობიდან როგორც იქნა მოვიდა წერილი, რომელშიც სამწუხაროდ, მხარდაჭერა არ იგმნობოდა.<sup>122</sup>

იული სტრაუშეს, საქართველოში ლატვიის საკონსულოში მოღვაწეობა 1921 წლის 18 მაისიდან, 1922 წლის 22 თებერვლამდე გრძელდებოდა. ლატვიის

სოფელი ბაშალა უზუცუნის და ბავშვები უზარმაზარ ქადართან. 1914წ.

ლსა, ფ. 902, აღწ. 2, საქ. 28, გვ. 37; ასტრაუშეს ფოტო.



საკონსულოს სამუშაოს შეწყვეტის შესახებ საბუღალტრო ცნობის შემდეგ, კავკასიაში რამოდენიმე ათასი ლატვიის მოქალაქე დარჩა, რომელთაც სამშობლოში დაბრუნების სურვილი ჰქონდათ. შემდგომში, იული სტრაუშეს მოღვაწეობა კავკასიაში, მხოლოდ ტიფლისში საბჭოთა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაქვემდებარებული, კუსტარული ნაბუყყურების განყოფილების საქმიანობას ეხებოდა. პოლიტიკური ძალების სწრაფი შეცვლის გამო, დაუსრულებელი დარჩა ქაღალდზე გაკეთებული ჩანახატი (გამ. 38), რომლის კომპოზიცია და თემატიკა გვაუწყებს, რომ იული სტრაუშემ მისი ხატვა 1920 წლის ზაფხულში დაიწყო, როდესაც თბილისში სოციალმენშევიკთა ხელისუფლება მმართველობდა. ხოლო როდესაც, საქართველოში ხელისუფლება ბოლშევიკებმა იგდეს ხელთ, იული სტრაუშე ახალი წყობის მიმართ განსაკუთრებულ ილუზიებს არ განიცდიდა. მისთვის უმნიშვნელოვანესი, სამსახურის შენარჩუნება იყო. ამიტომ, როცა დაწყებული სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობა ვერცა, იულის საკმად გაუნარდა, ასევე მას დამხმარე მხატვარი დაუნინებს - ახალგაზრდა ბიჭი დავით ცაციშვილი.<sup>123</sup> შემდგომში, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ და იული სტრაუშე კოლეგას სულ უფრო და უფრო საბასუნიმგებლო დავალებებს ანდობდა. 1921 წელს, ყოფილი სკოლის - "განათლება"<sup>124</sup> - სახელოსნოების ბაზაზე დაარსებულ და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში მყოფ, კუსტარულ ტექნიკუმშიც, 1921-1922 წლებში დამზადებული ტექსტილის ნაკეთობები, იული სტრაუშეს ჩანახატების მიხედვით იქსოვებოდა. მათ რიცხვშია ხალიჩები, "შირი"<sup>125</sup> და "ჯუნგლი" (სხვაგვარად - "მონადირეობა"), რომელთა ტექნიკური ჩანახატები დაცემილია შეასრულა.

1925 წლის, პარზის საერთაშორისო დეკორატიული ხელოვნებისა და მოდერნული ინდუსტრიის გამოფენაზე, საბჭოთა საქართველოს ხალიჩების ექსპონაციაში ოქროს მედალი მიიღო. განსაკუთრებული მოწონება, ზევით მოხსენიებულმა, ტექსტილის ნაკეთობამ "შირი" დაიმსახურა.<sup>126</sup> სპარსული ხალიჩის კომპოზიციის მიხედვით, იული სტრაუშემ "შირიზე" მუშაობისას ორნამენტისა და ტონის ელევანტური შეხამება შექმნა. ხალიჩის გული წვრილი მონატრობითაა მორთული, რომელიც ერთნაირი ფორმისა და ზომის წიწვოვანი ხეების სტილიზებული მოტივებისგან შედგება. კიდევებს განიერ სარტყლებზე სტილიზებული ფრინველებია გამოსახული, ვიწრო სარტყლებზე - გეომეტრიული ორნამენტი, რომელიც სარტყლის გაყოფებზე კუთხეებში ორიგინალურად ერთდება. ტექსტილი აგურისა და ყავისფერ ტონებშია შესრულებული, ფურისა და ფაქტურის ერთიანობა საუცხოო დეკორატიულ ეფექტს ქმნის. ოქროს მედალის მიღება, იული სტრაუშეს საერთაშორისო დონეზე აღიარებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.





1921-1923 წლებში, საქართველოში, სტრაუმეს ჩანახატების მიხედვით ბევრი სხვადასხვა ხალიჩა მოიქსოვა. ზოგიერთში კავკასიის ხალხთა მხატვრობის ტრადიციებია განვრცობილი, მდიდარი და ძალიან რთული ორნამენტებია შექმნილი. კვადრატ ტექნიკით ქსოვის რომელიღაც უცნობ ოსტატს, იმ დროინდელ პოლიტიკური წყობის გათვალისწინებით, ხალიჩაზე საბჭოთა საქართველოს გერბი გამოუსახია (გამ. 54).

იმ დროს, ბოლშევიკების გადაწყვეტილებების არ დამორჩილებას, მხოლოდ მათი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი და ფანატიკოსები ბედავდნენ. იული სტრაუმე არც ბოლშევიკთა მომხრე და არც მათი თავდაუზოგავი მოწინააღმდეგე იყო. ანეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას იმედოვნებდა, მაგრამ არ გამოუვიდა. მას იმ ქართველი კრიტიკოსების გადალახვას აიხულებდნენ, რომელთა ბოჰულარისაციასაც ცხოვრება მიუძღვნა. საბჭოურმა ინსტიტუციებმა შემოქმედებითი პროფესიების წარმომადგენლებს, თავისი მოთხოვნალების კანონი დაუწყო. ყოფილი კუსტარული კომიტეტის სახელოსნოში, იული სტრაუმეს ხელმძღვანელობით, წმინდა გიორგის გამოსახულებიან ხალიჩაზე მუშაობა, იყო დაწყებული (გამ. 53). მხატვარი იხულებული გახდა ჩანახატის კომპოზიცია შეეცვალა და წმინდა გიორგის ნაცვლად საბჭოთა საქართველოს გერბი გამოესახა.<sup>127</sup>

ასეთ ვითარებაშიც, როდესაც პოლიტიკური მდგომარეობის გამო მუშაობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა, იული სტრაუმე ექსპედიციებში მოგზაურობას მაინც ასრულებდა. მაშინ როდესაც, მას ტიფლისის დატოვება რამდენიმე დღით უწევდა, მისი მეუღლე ძალიან ღელავდა. თავის წერილებში, იული ცილის დამშვიდებას ცდილობდა:

“სიღნაღი”<sup>128</sup> 15/06/23წ.

სიუზანეტას გამო, ჩემი სული ადვილს ვერ ჰპოულობს. რატომ ბრანობდი ასე ძლიერ, როდესაც მივემგზავრებოდი? მესმის რომ ტიფლისში დარჩენა ვაჭრობა, მაგრამ ჩემთან ერთად წამოსვლა? თქვენ თვლით, რომ შესაძლებელი იყო? მე მგონია, არა. ამის ბევრი მიზეზი არსებობდა და თქვენ მათ ისევე კარგად იცნობთ, როგორც მე. ვიმედოვნებ, რომ დამშვიდდებით და თქვენს პატარა იულს დაბრუნებას დაელოდებით, რომელიც ასე ხშირად ფაქრობს თქვენზე.

უკვე საში დღეა სიღნაღში ვარ. როცა ჩამოვედი უკვე საღამო იყო, ამიტომ არსად წავსულვარ. მხოლოდ ქალაქი ცოტა დავათვაირიე. ძალიან ჰგავს შუშას. მთებშია ვანლაგებული. ქალაქის განაპირას, ნისლში ჩაწოლილი

საოსტატო კურსები პაქმაჰლავაში. 1916წ. 4 სექტემბერი.

ლსა, ფ. 902, აღწ. 2, ხაქ. 28, გვ. 24.

უზარმაზარი ველი, მეორე მხარეს მთათა ვროვა. ბევრი ხეები და ბუნქნარა. საღამოობით სივრილეა, სიცხეც კი. თითქმის ყოველ დღე წვიმს, ზოგჯერ დღეში რამოდენიმეჯერ. ქარებიც ხშირია. ჩემი პირველი ვიზიტი, ჩვენი ინჟინერის მიერ რეკომენდირებულ ბატონთან იყო. მასთან [გოგილაშვილი] ერთად, ვეწვიეთ *ИСПОЛКОМ-ს* (აღმასრულებელი კომიტეტი), მაგრამ იქ მხოლოდ პარტიის მდივანი დაგვხვდა. მან ძალიან ბევრი დაპირება მომცა, მაგრამ აქამდე არცერთი შეუსრულებია. სამუშაოდ, სულ რაღაც მაკლია. ყველა ძალიან დაკავებულია. [...] ხვალ საღამოს, რომელიღაც ქალთა მიტოვებულ მონასტერში მივემგზავრებით. რომელიდანაც, მაცხოვრებლები გაასახლეს და ახლა იქ ტექნიკუშია. აქ ღამაში ბროდერი<sup>29</sup> მოვიძიე, რომელთაც გამოფენისთვის წამოვიღებ. ხვალ *товариш* (ამხანაგი) გოგილაშვილთან ერთად წავალთ სოფელში, რათა იქ რკინიგზის სადგურზე მატარებელზე გადავჯდეთ და თელავის რაიონში გავემგზავროთ. [...] ჯანმრთელობას მოუფრთხილდით. როგორც კი შესაძლებლობა მექნება, კადევ მოეწერთ.“

ოული სტრაუმი, კუსტარულ ნაკეთობებს აგროვებდა, რათა 1923 წლის გაზაფხულის ბოლოსთვის, მოსკოვში დაგვემოდ, საბჭოურ ხალხთა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა საკავშირო გამოფენაზე წაეღო. ეს შეასაფრისი მომენტი იყო, ლატვიაში დასაბრუნებლად 1923 წლის 30 აგვისტოს, მისმა მეუღლემ მხატვართან ერთად მოსკოვში გამგზავრების ნებართვა მიიღო.<sup>30</sup> მესაზღვრეებმა, მათ საზღვარზე ვასატან ნივთთა სია დაუმოწმეს. სტრაუმიტა თჯანმა, თან მხოლოდ აუცილებელი ყოფითი ნივთები და სამახსოვრო სუვენირები, რომელთა დატოვებაც დაენანათ, წაიღეს. მათ მოსკოვიდან ლატვიაში გამგზავრება გადაწყვიტეს.

1923 წელს, ოული სტრაუმიეს ორმოცდაცხრა წელი შეუსრულდა, რომელთაგან თექვსმეტი მან კავკასიაში გაატარა. შტიგლიცის სკოლაში მიღებული და ევროპაში გარმაავებული ცოდნით მომარაგებული სტრაუმი, უცხო ქვეყანაში ჩამოვიდა. კავკასიის ხალხთა კულტურის მიმართ გულწრფელი პატივისცემით გამსჭვალული, იგი გამოყენებითი ხელოვნების და საოსტატო ხელობის დარგების შენარჩუნების პროგრამას ემსახურებოდა. ა. სტრაუმიეს მიერ ჩატარებულმა სამუშაო ეთნოგრაფებსა და კულტურის დარგთა სხვა სპეციალისტებს, კავკასიის რეგიონში ინდუსტრიულიზაციით წარმოქმნილ და ეთნიკური ფსევების დაკარგვის პროცესისთვის, წინააღმდეგობის გაწევაში დაეხმარა. ტიფლისში, მისი ჩანახატების მიხედვით, დამზადებული ასობით ტექსტილის ნაკეთობაა შემორჩენილი. ასევე, უფრო მონუმენტალური ნაშრომებიც, მათ რიცხვშია - ახნაურთა ბანკის (მოგვიანებით თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა) ინტერიერის მონატრულობა, რომელზეც მასთან ერთად კოლეგა პენრი ვრინევსკი მუშაობდა.<sup>31</sup> შემოთ მოხსენიებული



კვადრატტექნიკით შესრულებული, საბჭოთა საქართველოს გერბის გამოსახულებასა და მეორე, მენშევიტთა ფარად წოდებული ხაღჩუბი, მხატვარი იული სტრაუშის ხელმძღვანელობით მოიქსოვა და 1923 წელს მოსკოვის გამოფენაზე იგი წარდგენილი.<sup>152</sup> მოსკოვში, სტრაუშეთა ოჯახი მეტხანს შეყოვნდა, ვიდრე იმედოვნებდნენ, რადგანაც მრავალი სირთულე წარმოეშვათ. ყველაზე მნიშვნელოვანია იყო თან წაღებულ ნივთთა სიასთან დაკავშირებული, მესაზღვრეთა შენიშვნება. მათთვის უცნობი სიტყვებით გავსილმა საბუთებმა სახელმწიფო მონეტები ჩააფიქრა და იული სტრაუშემ, დიდ ხანს იწვალა სანამ დაარწმუნა, რომ ხალხები ამჯერად ფუფუნების საგნებად არ უნდა მიიჩნეოდეს, რადგანაც მხატვრის სამუშაოში ისინი იმდენადვე აუცილებელია, როგორც საღებავი და ფუნჯი. საბოლოოდ, მან ნანატრი ნებართვა მიიღო, რამაც მოსკოვის საზღვრის კარი გაუღო.

იული სტრაუშემ, სამშობლო ახალგაზრდობაში დატოვა. რუსეთში განათლებას მიღების, დასავლეთ ევროპაში მისი გაღრმავების შემდეგ, იგი კავკასიის უცხო მხარეში მოხვდა... სახლში მხატვარი უკვე შუახნის ასაკში დაბრუნდა. როგორ მიიღებს სამშობლო?

## ბამელი

1923 წლის შობა დღეს, იული და აუგუსტა სტრაუშე ლატვიამი ჩამოვიდნენ. პირველ რიგში, მათ იულის ნათესავები მონინახულეს. სასინარულო და იმავდროულად მტკივნეულიც გამოდგა, ძმასთან შეხვედრა, რადგან მას ცხოვრებაში ბევრი სიწარული შეხვდა. ის დრო, როდესაც სტრაუშე ძმას მატერიალურად ეხმარებოდა, უკვე წარსულს ჩაბარდა. ჭკვიანი, განათლებული, ენერგიული უფროსი ძმა საცხოვრებლად რიგში გადასულიყო, ცოლი და ქალიშვილი მაილა კი ელგავაში დაეტოვებინა. იგი ცხოვრებას მოეტეხა, ბევრს აგადმყოფობდა, რათა ტკივილის გასაქარვებლად სმა დაეწყო. იული, ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე დიდ მნიშვნელობას ოჯახს ანიჭებდა. სპირტიანი სასმელიდან მხოლოდ ღუფს სვამდა, ამიტომ ვმობდა და ვერ გავო იანისის საქციელი.<sup>53</sup> მოხუცდავად ამისა, სინდისის ქეჯნა საკუთარი ძმის გაჭირვებაში შიტოვების უფლებას არ აძლევდა.

იული და აუგუსტა სტრაუშე მ ნაცნობების საშუალებით, საცხოვრებელი ადგილი მოძებნეს ლანჩლესის ქუჩა 52/54 (ბინა 19ა), ხოლო მოგვიანებით პარდაუგავაში გადავიდნენ, სადაც სლოკისა და ვილიამის ქუჩების გადაკვეთაზე იქირავეს ოთახი.<sup>54</sup>

მსატვარი, ინტერესით ადევნებდა თვალყურს რიგში მომხდარ ცვლილებებს. აუგუსტასთვის ეს ქალაქი ჯერ კიდევ უცხო იყო, ის ხედავდა, რომ ლატვიამ ომის შედეგად მის მშობლიურ ბელგიაზე შეტად იზარალა.

1923 და 1924 წლებში, რიგში დაუგავაზე ხიდების აღდგენა დაიწყო. ირგვლივ, ბევრი აუთვისებელი და საცხოვრებლად გამოუყენებელი შენობა იყო.

დედაქალაქში, შესატყვისი საშსახურის პოვნის შესაძლებლობა ვაცილებით დიდი იყო ვიდრე პროვინციაში, მაგრამ შოვნის პროცესი ძალიან იწველებოდა. ამიტომ, მსატვარმა გადაწყვიტა გამოეყენებინა კავკასიაში მიღებული ცოდნა, სპარსული ხალჩების ქსოვის ტექნიკა და შესთავაზა ცინის მთავარ ხელმძღვანელობას, პატარმრებისთვის სახელოსნოს გახსნის ორგანიზებას ვაკეთება, სადაც ისინი ხალჩების ქსოვის ხელობას დაუფლებოდნენ. შემთავაზება ძალიან უცნაური იყო, მაგრამ მაინც პპოვა გამომხმარება. 1924 წლის თებერვალში, ი. სტრაუშე რიგის წინათსაპატიმრო ცინქში უმცროსი ზედამხედვლის თანამდებობაზე იქნა მიღებული, სინამდვილეში კი იგი პატარებს საფეიქრო ხელობას ასწავლიდა.<sup>55</sup> ასე დაიწყო, იული სტრაუშეს პედაგოგიური კარიერა ლატვიამი. მალე ხელოვანი კიდევ



ერთხელ დარწმუნდა თავის პედაგოგიურ შესაძლებლობებში. 1924 წლის 11 აპრილს, განათლების განყოფილების ხელმძღვანელმა, რობერტ ბერნინშმა, ქალაქ რიგის ხელმძღვანელობას, დახმარება სთხოვა, რომ საოსტატო სკოლაში (შემდეგ ტექსტში - საოსტატო სკოლა) უმუშევარი ინტელიგენციისთვის გაეხსნათ კურსები. სადაც ისინი ხელობას შეისწავლიდნენ. ამან დიდი გამოხმაურება პოვა.<sup>56</sup> სახელმწიფომ ასეთი საქმისთვის სესხად, 40 000 ლატი გამოჰყო და ამ იდვის სულის ჩამდგმელმა სკოლის მასწავლებლებმა, კიდევ რამდენიმე განყოფილების გახსნა გადაწყვიტეს. მათ შორის, სართავი და ქალის ტანსაცმლის კერვის, რომლის ხელმძღვანელადაც, 1924 წლის 1 აგვისტოს იული სტრაუშე დანიშნეს.<sup>57</sup>

ა. სტრაუშეს ხელმძღვანელობით ტანსაცმელს კერავდნენ და მოდის ტენდენციებს თვალყურს ადევნებდნენ. საკერავი მანქანები საკმარისად პქონდათ, მაგრამ ქსოვის შესასწავლად აუცილებელი საშუალებების შოვნა გაძნელებული იყო. შეამჩნია რა, აღსაზრდელებს ქსოვის მიმართ ინტერესი, ა. სტრაუშემ გადაწყვიტა გაფართოებინა საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის სფერო. ასეთ გადაწყვეტილებაზე შხატვარი საკუთარი ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა მიაღებინა. იული, დარწმუნებული არ იყო, რომ მისი ცოლი რიგაში შესაფერის სამსახურს იშოვნოდა. ამასთან ერთად, ქმრის წარმატებები ოჯახის მატერიალურ დანაკლისს აგებდა, ამიტომაც იგი დამატებით შესაძლებლობას ეძებდა ორგანიზება გაეკეთებინა და გაეხსნა, ხალიჩების ქსოვის კურსები. შხატვარს სურვილი პქონდა, დაეინტერესებინა ლატვიელი ქალები აღმოსავლური ქსოვის ოსტატობის ტრადიციებით. ასე, იგი ხანგრძლივი სამსახურით იქნებოდა უზრუნველყოფილი და თუ გაუმართლებდა, კიდევ რამდენიმე სახელოსნოს დაარსებდა. 1924 წლის დეკემბერში, რიგის რამოდენიმე გზაში გამოჩნდა განცხადება:

*“ლატვიის ქალთა ნაციონალური ლიგის, ხალიჩისა და ქსოვის ხელოვნების კურსები*

*განათლების სამინისტრო ამცნობს:*

*კურსებზე ასწავლიან აღმოსავლური ხალიჩების ქსოვის ტექნიკას, ასევე ფინური და შვედური ქსოვის ტექნიკას, ლატვიური მონატულობით, შხატვარის ოსტატობას და შხატვრული ქსოვის ოსტატობის აღესმეტის ხელმძღვანელობით. კურსების ხანგრძლივობა 3-ს თვეა, სწავლის ღირებულება კი 500-2000 რუბლი თვეში. მოსწავლეებს მიიღებენ ნებისმიერ დროს. რაიონებიდან ჩამოსულებს სურვილისამებრ საერთო საცხოვრებელში იცხოვრებენ.*

ოსტრაუშეს მშის იანისის ქალიშვილი მაილა იორდანე. 1920 წელი.

ლექსის ბოლო რიგაში კალიბაკის ბულვარი ნომ. 4. დაწვრილებით ინფორმაციას ფოსტით მიიღებთ.”<sup>138</sup>

რამდენიმე კვირის შემდეგ, ვაზეთში სხვა ვანცხადება გამოქვეყნდა, რომელიც გვაუწყებდა, რიგაში კიდევ ერთი ქსოვის სახელოსნოს გახსნის შესახებ, რომელსაც მხატვარი იულის სტრაუშე ხელმძღვანელობს. სახელოსნოში ხალიჩების ქსოვას სპარსული, ანუ აღმოსავლური ტექნიკით ასწავლიან.<sup>139</sup> დასაწყისში ბევრი მსურველი არ ყოლიათ, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ რიცხვმა საგრძობლად ამატა.

1924 წელს, ასტრაუშეს ინიციატივით, ლატვიის ქალთა ნაციონალურ ლიგაში (მომდევნო ტექსტში - ქალთა ლიგა), იკრიბებოდნენ ქალები, რომლებიც მეტნაკლებად ცდილობდნენ სპარსული ქსოვის ტექნიკის ათვისებას და მოკლე ხანში ქალთა ლიგა, ქსოვის ხელოვნების სკოლაში ამოქმედდა. ეს პროგრამა წარმოადგენდა ძირითად წამყვან ხაზს, რომელსაც ასტრაუშე შტიფლიცის სკოლაში და ასევე სახლმრეწველობის კომიტეტის სახელოსნოებში გაეცნო. შემდგომ პედაგოგაში პროგრამა ახალი აღმოჩენებით იქნა შევსებული, რომელიც ლატვიის მაშინდელ მდგომარეობას უნდა შეფარდებოდა. აღსაზრდელები პრაქტიკული სამუშაოებისთვის რომ მოემზადებინა, მას პირველ რიგში კომპონაცია უნდა ესწავლებინა და როგორც მაშინ ამბობდნენ, “თავისუფალი ხატვა.” გოგონების დავალება იყო - სხვადასხვა მცენარე, ფოთლები, ყვავილები, ხილი, ასევე ქსოვილის მოსართავად სხვა შესაბამისი ბუნების ობიექტის და საგნის ვგუფი, ფანქრით და აკვარულით გამოქსახათ. პროგრამის მიხედვით ნახატა, ქსოვილის კომპონაციის შექმნის საფუძველი უნდა გამხდარიყო. მაგალითად, საბნის ქსოვის შესწავლა 3 ვგუფად იყოფოდა: “სპარსული საბანი, ვრძელფორიანი საბანი, ასევე შადის, რელიეფურად მონატული...”<sup>140</sup>

1924 და 1925 წლებში, ი. სტრაუშე მრავალ ადგილზე მუშაობით, ძალიან იყო დაკავებული. დილით ის საოსტატო სკოლაში მიიქარობდა, შემდეგ ქალთა ლიგაში, სადაც მხატვარს რამდენიმე მოსწავლე ელოდებოდა, ბოლოს კი - წინათსაპატრონო ცენტის ქსოვის ცენტრი. შუადღის მერე სახლში ბრუნდებოდა, სადაც ხალიჩების ნიმუშებს ესტუმრებოდა მუშაობის სამუალება ეძლეოდა. ეს იყო როგორც მისი შემოქმედება, ასევე ვარკვეულ წილად ფეიქართა დახმარება, რათა ზუსტად გაეკოთ მხატვრის ჩანაფიქრი. ხალიჩის ესკიზის ავტორმა პირველ რიგში ტექნიკა შეიმუშავა, ამის სამუალებით შესაძლებელი გახდა ჩაფიქრებული ხაზების წვრილი მონატულობის მიღწევა და ორნამენტში უმნიშვნელო, მცირე დეტალების ზუსტი ჩაქოვა. ფეიქრები, სტრაუშესგან ხალიჩების ტექნიკურ ნახატებს იღებდნენ, მას ნახულობდნენ, ამუშავებდნენ და თუკი რაიმე გაუგებარი იქნებოდა, არკვევდნენ.

ყველაზე მეტ დროს და ენერგიას ი. სტრაუშე საოსტატო სკოლას უძღვნიდა და 1925 წლის თებერვალში, სკოლაში ხალიჩების ქსოვის განყოფილების გახსნა





შესძლო, სადაც ძირითადად სპარსული ტექნიკით ქსოვდნენ. განათლების განყოფილება ქალაქის ხელმძღვანელობას სთხოვდა, რომ ამ განყოფილების დროებით ინსტრუქტორად, ი. სტრაუშე დაენიშნათ, სანამ შესაბამისი კანდიდატურის მოძებნას შესძლებდნენ. არცერთი სპეციალისტი, ამ თანამდებობის დაკავებას არ ჩქარობდა და ამიტომ ი. სტრაუშე დაწყებულ საქმეს განაგრძობდა. მან ბევრი ძალისხმევა და ენერჯია ჩადო, რათა ქსოვის სახელოსნოში სწავლის პროცესი უზრუნველყო: ერთმანეთისგან განსხვავებული დაზგები დაამზადა, ზოგიერთი საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა. გამოყენებულ იქნა ჩარჩოიანი, ბურეკტიანი, ზოგჯერ ტრელდაზგები, მაგრამ მოგვიანებით მოსწავლეებს მექანიკურ დაზგებზე მუშაობის უფლებაც დართო.

იული სტრაუშე ჯერ კიდევ კავკასიაში, მოსწავლეთა სწავლების პროცესში, სამეფო რუსეთში გავრცელებულ სახლთმრეწველობის სახელოსნოს ინსტრუქტორთა პროგრამას იყენებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის დავიწყებას მიეცა. მხატვარი ხვდებოდა, რომ ცოდნის აღდგენა იყო საქმრო და ამ პროგრამას ასლის მხოფების გზების ძიება დაიწყო.<sup>11</sup> ისტრაუშეს გაუშართლდა და სასწავლო მასალა მოიძია. საფუძვლიანად შედგენილ პროგრამას, მხატვარი საოსტატო სკოლაში კერძო კურსებზე იყენებდა და ნაწილებად დაყოფილ ამ მასალას რიგში სახელმწიფო სკოლებს, ხატვის გაკვეთილებზე გამოსაყენებლად სთავაზობდა.<sup>12</sup>

ქსოვის შემსწავლელმა სახელოსნომ, რომელსაც ისტრაუშე ხელმძღვანელობდა, საზოგადოების დიდი მხარდაჭერა პპოვა.<sup>13</sup> ცოდნის გაღრმავების მიზნით, სკოლის აღსაზრდელებს სურდათ ხელობის შემსწავლელი კერძო კურსები დაემთავრებინათ. იული სტრაუშეს ხელმძღვანელობით შექმნილი ტექსტილი, როგორც პრაქტიკული შესრულებით, ასევე მხატვრული ღირებულებით, უცხოელი მეწარმეების ნაკითხვებს ბევრად სჯობდა. წარმოებამ, სოციალური მომსახურეობის განყოფილებიდან და ასევე სხვა ორგანიზაციებიდან შეკვეთები მიიღო.

20-30-იან წლების ლატვიაში, რამდენიმე სკოლა მუშაობდა,<sup>14</sup> რომელთა მოსწავლეებს ეთნოგრაფიას და ძველი ქსოვის ტექნიკას ასწავლიდა, მაგრამ ისინი ძირითადად ლატვიელი ხალხების ნაციონალურ მოტივებს იყენებდნენ. იული სტრაუშე ცდილობდა კავკასიური სახლთმრეწველობის წარმოების მოდელით კოლეგების დაინტერესებას, რადგან სამეფო რუსეთში ამ მოდელის მიერ მიღწეულ წარმატებაში დარწმუნდა, რამაც ეკონომიკური მდგომარეობა

ქალაქი რიფის საოსტატო სკოლის და ტექნიკუმის მასწავლებლები და მასწავლეები. მუირე რიფის მარცხნიდან შექვეყნ-ოულის სტრაუშე. 20-იანი წლების მე-2 ნახევარი.



გააუმჯობესა. შესაძლებელია, რომ ამ თემაზე მაშინდელ შტოფლიციელებთან და მისთვის კარგად ცნობილ “ჯუჯა” წევრებთან საუბარი ჰქონდა. ასე მაგალითად, რუდოლფ პელშე წერდა: “საჭიროა შრომისუნარიანი გამოყენებითი ხელოვნების სკოლები და სახელოსნოები, სადაც პროფესიონალურ სპეციალისტებს, ინსტრუქტორებს და ოსტატებს აღზრდიან, რომლებიც წარმოებაში წარმატებულად იმუშაებენ. პირველი დაფალემა იქნება, გამოყენებითი ხელოვნებით ხალხის დაინტერესება, ორგანიზება და წერილობრივწველობის სახელოსნოების საქმიანი მართვა, ასევე მსხვილი მრეწველობის განვითარებისთვის საფუძვლის შექმნა. მეორე იქნება, საქმის ნამდვილი მცოდნეები და ოსტატები.”<sup>15</sup>

გარკვეულ წილად, კუსტარული კომიტეტის მიმართ, რ. პელშეს ასეთი გამოსმაურება, ხელის შეშლელი იყო: უნდა აღინიშნოს, რომ პელშე აკრიტიკებდა სამეფო რუსეთში მსხვილი მრეწველობის განვითარებას და გვახსენებდა, რომ ხალხში გამოყენების ჩამოყალიბება და სილაამაზის აღქმა შინასამრეწველო ტრადიციებზე დაყრდნობით საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ყველაფერ ამას ნელნელა დაეტყო მსხვილი მრეწველობის განვითარების ზეგავლენა. მასობრივად გამოშვებული პროდუქცია, ხალხურ ხელოვნებაზე უარყოფითად მოქმედებდა. ამ ფაქტს, ა. სტრაუშე გაგაკასიაში უკვე გუცნო და კარგად იცოდა, რომ შინასამრეწველო ტრადიციები დეგრადაციის საფრთხის წინაშე იდგა.

მატკვარი დარწმუნებული იყო, რომ ხალხური ხელოვნების განვითარების საუკეთესო ადგილი არის ლატვიური სოფლები, მაგრამ აღიარებდა რომ მსხვილ ტექნიკურ მომარაგებას, ბაზარს დიდი მნიშვნელობა უკავია და ამასთან ერთად, ეს ყველაფერი შინამრეწველობის განვითარებისთვისაა საჭირო. გუსტავ სკილტერი, ა. სტრაუშეს პედაგოგიურ მოღვაწეობას დადებითად აფასებდა: “ქალაქ რიგის საოსტატო სკოლის ნახების ქსოვილი განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ დროიდან, როცა სკოლას ა. სტრაუშე ხელმძღვანელობს. ამას გამოფენილი ნიმუშებიც მოწმობს.”<sup>16</sup>

ასტრაუშეს აღსაზრდელებს მიღწევები შინამრეწველობაში მათი მასწავლებლების დამსახურებაზე მოწმობდა. საოსტატო სკოლის ძირითადი დაფალემა იყო

ყოფილი სანქტ-პეტერბურგის ლატვიელ

სტუდენტოა წრის, “ჯუჯის” სასოფადოების წევრების შესვენრა რიგაში. მეორე რიგში, მარცხნიდან შეათხე-ული სტრაუშე. 30-იანი წლები.

ლსმა-ს ინფორმაციული ცენტრი, № 69-4; კ. კრივბერგის ფოტო.

ხელსაქმის კურსები მე-20 საუკუნე, 20-იანი წლები.

ლსა, ფ. 902, აღწ. 2, საქ. 67, გვ. 4.



გოგონების მომზადება მრეწველობაში სამუშაოდ, მაგრამ ხელოვნან სურდა, რომ მათ არა მარტო როგორც შემსრულებლებს ემუშავათ, არამედ ნაწარმს დამოუკიდებლად შექმნა შეძლებოდათ. ასეთი ჩანაფიქრი, ინდივიდუალურ შესწავლას და ბევრი დროის დათმობას მოითხოვდა, ამიტომ იგი ვერ შეძლებდა წინათსაპატემრო ცინის და საოსტატო სკოლის გაკვეთილების შეთავსებას. ქალთა ლიგაშიც, მხატვარი იშვიათად ჩნდებოდა. ა. სტრაუმეს წინადადებით და მითითებით ქალთა ლიგამ, რომელიც დაკავებული იყო სპარსული ხალიჩების ქსოვის შესწავლით, გადაწყვიტა ანსის ცირულისისთვის კურსების შემდგომი განვითარება მიეწოდებინათ, ამასთან ერთად, ა. სტრაუმეს მიერ შემუშავებული პროგრამა ძალიან დანაშაულოვანად რამდენიმე პრაქტიკული გაკვეთილი დაემატა, რათა მოსწავლეებს ახალი ტექნოლოგია აეთვისებინათ, გაცნობილიყვნენ ხელოვნურ და მხერაღურ ბოქსებს<sup>17</sup> მიუხედავად იმისა, რომ ქსოვის კურსებს პროფესიონალურად დიდი მნიშვნელობა პქონდა და მქოველები შეკვეთებსაც იღებდნენ, იმ დროისთვის მანც პრობლემატური იყო წარმოების სტაბილური განვითარება. ამას აღიარებდა დეკორატიული ხელოვნების სპეციალისტი ერიკ ვალტერი:<sup>18</sup> "[...] მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ქსოვა წლების განმავლობაში შინამრეწველობის სფეროში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ხელოვნებად ითვლება, ჯერეჯერობით დეკორატიული ხელოვნების ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ შეძლო თავისი წარმოება დაეარსებინა და მისი შემოსავლით ეცხოვრა. წარმოების დიდი რაოდენობით, მხოლოდ ლატვიის ქალთა ნაციონალური ლიგა შეიძლება დასაქმდეს და ისიც კულტურული ფონდის ფინანსურ დახმარებით, ასევე სხვადასხვა გამოფენების შეკვეთების გარეშე ვერ იარსებებს სხვაგვარად, შეუძლებელი იქნებოდა მათი მუშაობა."<sup>19</sup>

სტრაუმეს მიერ, მხატვრებსა და შინამრეწველებს შორის თავის დროზე დაარსებული თანამშრომლობა, ქალთა ლიგაში განაგრძობდა არსებობას. ამს მოჰყვა ფეიქართა ცოდნის გაფართოება, გამოსწორდა ტექსტილის ხელოვნების განვითარების დონე. ქსოვის კურსები გემოვნების ჩამოყალიბების საშუალება იყო, როგორც შინამრეწველების, ასევე მათ მიერ გამოშვებული ნაწარმის მყიდველთათვის. რადგან 20-30-იანი წლების ლატვიაში ხალიჩები, ავეჯის ქსოვილები, ფარდები და სხვა ტექსტილი ძირითადად ყოფითი ინტერიერის ელემენტებად გამოიყენებოდა.

1924 წლის დასაწყისში, როდესაც ა. სტრაუმემ ლატვიაში სპარსული ტექნიკით ხალიჩების ქსოვა დაიწყო, ინტელექტუალურად მას ექვსის თვალთ უყურებდა, მაგრამ მოკლე ხანში დაინტერესება გაიზარდა და ერთი წლის შემდეგ დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. შეიძლება ითქვას, რომ 20-იანი წლების ლატვიაში ქსოვის ტექნიკის ასეთი ხანგრძლივი პოპულარობა, თვით ა. მადერნიკსაც არ

უკრაინა: „[...] ხალხების ქსოვამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ამით, ჩვენი ქალები დროის სხვა ეპოქაში გადავიდნენ, მათ წინ ახალი შესაძლებლობები გაიშალა. [...] ტექნიკურად შესამწნევია მნიშვნელოვანი მიღწევები. მაინც მგონია, რომ ჩვენთან წერილად დამუშავება, ვერ ვაიღებს ფესვებს. რადგან, არ შევვიძლია ერთ საქმეს ბევრი დრო დავეთმოთ, როგორც ამას სამხრეთ ქვეყნები აკეთებენ. ამას გარდა: მათ პროფესიონალ ოსტატებს სიდაფითა და სიკარგით, ვერ ვაჯობებთ. ჩვენი მატერიალური მდგომარეობა შესაბამისი ვადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს. ჩვენმა მეზობელმა ქვეყნებმა, ჩრდილოეთით ამ ვზის გავლა, უხეში მასალებით მუშაობისას, უკვე დაიწყეს. მათ მაგალითს, ჩვენც უნდა მივყვეთ.“<sup>50</sup> გარკვეულ წილად ი. მადერნიეკის ასეთი მოსაზრება წინასწარმეტყველური იყო. 20-იანი წლების შუა რიცხვებში მიღწეულმა წარმატებებმა, 30-იან წლებში გაშალა ფრთები. სპარსული ტექნიკით ქსოვის ხერხები, დროთა განმავლობაში მივიწყებებს მიეცა და 50-იანი წლების ბოლოს, მოხმარებიდან თითქმის შთლიანად გამოვიდა.

მაგრამ, ისტრაუმეს ლატვიაში სპარსული ტექნიკის განვითარების მანკ სჯეროდა და 1926 წელს, კონფაზე თუ რა იყო მისი მოღვაწეობის მძანა, თქვა: „წერილი კვანძების შეკერვის ტექნიკის დამკვიდრებით, ხალიჩაში ყველაზე მეტად ღირებულისთვის მინდოდა მიმეღწია: წერილი ორნამენტები, კომპლექსური ვარიაციები, ნაკეთობის დახვეწილობა და გამძლეობა.“<sup>51</sup>

ასევე, აცირულითვის და ამაღერნიეკისთვის, როგორც შემოქმედი პროცენტებისთვის, არ იყო უცხო რაიმე არამწველებრივი კომპოზიციის გამოყენება, ან ესკიზის ჩაფიქრება და ხალიჩის ქსოვის არატრადიციული ტექნიკით რეალიზება. ისტრაუმეს მიერ დამკვიდრებული სპარსული ტექნიკა, საშუალებას იძლეოდა ახალი აღმოჩენების შესაძლებლობისა ტექსტილხელოვნების ნაწარმში. სწორედ ისტრაუმეს შემოქმედებამ და ზედაგოვიურმა საშუალომ ლატვიაში, სპარსული ტექნიკით ქსოვა განადა შესაძლებელი და აღმოსავლური ხალხების კომპოზიციის მძართ ინტერესი გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ ისტრაუმე იყო ერთადერთი, რომელიც ხალიჩების ესკიზების ნატვის დროს, მასალაში თავისი იდეების რეალიზაციას ზედავდა. არც ამაღერ ნიეკი და არც აცირულისი ქსოვის ამ ტექნიკას არ ფლობდნენ.

ქალაქ რიგის საოსტატო სკოლის ქსოვის კურსების აღსაზრდელების ნამუშევართა გამოცემა. 1925 წელი  
ლსა, ფ. 902, აღწ. 2, საქ. 30, გვ. 1.

ქალაქ რიგის საოსტატო სკოლის ხალიჩების დამზადების განყოფილების აღსაზრდელების  
სამუშაო ადგილი. 1925 წელი.



იანის იაუნსუდრაბინში, მწერალი და ხელოვანი თავის დროზე საღებავებს ყუთით მხარზე გადაკიდებული მოგზაურობდა ბაქოში და მის მიმდებარე რაიონებში, იგი კავკასიის ფერების სიმდიდრით და ორნამენტის მრავალფეროვნებით აღერთოვანებული იყო, მაგრამ ვერ ბედავდა თავისი იდეების, ხალიჩების ესკიზების რეალიზაციას. ეს მისმა მეუღლემ გააკეთა.<sup>52</sup>

დიას, ძნელია ეგზოტიკურმა კომპოზიციამ არ იქონიოს გავლენა ლატვიელზე, თუკი ორიგინალში საკუთარი თვალთ არის ნახანი მჭიდრო კავშირ ბუნებასთან, რომელმაც ისინი წარმოქმნა. სპარსული ტექნიკით და აღმოსავლეთის ქვეყნების ხალიჩების მონატულობით, პეტერის კუნძინში, იეკაბს ბინე და სხვები დაინტერესდნენ. ი. სტრაუმეს შემოქმედება არის ერთადერთი, სადაც ინტერესი აღმოსავლეთის ხალხების კულტურის მიმართ ხანგრძლივი და მარადიულია.

თანამოაზრე მეგობრების მოძებნა მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ სხვაგვარეულ ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება, როცა, ი. სტრაუმე ლატვიაში ჩამოვიდა, ხელოვნებაში იული მადერნიეკს უკვე გარკვეული წარმატებები ჰქონდა, მან სახელი გაითქვა და პოპულარობა მოიპოვა გამოყენებით ხელოვნების, გრაფიკის, მხატვრობის და ინტერიერის დაპროექტების კრიტიკაზე დაწერილი წიგნით. ასევე, ანის ცარულისმა თავი გამოიჩინა ვისუაღური და დეკორატიული ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში.

1925 წლის 25 იანვარს, ისტრაუმემ ა. ცარულისისგან მოწვევა მიიღო, რომელიც საკუთარი ნამუშევრების გამოფენაზე ეპატივებოდა.<sup>53</sup> მხატვარმა წასვლა გადაწყვიტა, თუკი თავისუფალ დროს გამოიხატავდა. იული სტრაუმე მუშობას აგრძელებდა. გამოფენაზე წასვლა მოახერხა და ძალიან კმაყოფილიც დარჩა. ბევრი ახალი და მნიშვნელოვანი ამბავი გაიგო. მხატვარი ჩქარობდა ყველაფერი თავისი მეუღლისთვის მოეყოლა, რომელიც იმ დროისთვის ბელგიაში თავის ანდობლებთან იმყოფებოდა.

“ორშაბათი, 26.01.25.

საყვარელო სუხანტე [..]. ამ ბოლო დროს ძალიან დაკავებული ვიყავი ყოველდღიური სამუშაოს, რომელიც თქვენთვის ცნობილია, ვასრულებდი. თბილისში, სადილოს შემდეგ თავისუფალი ვარ და მაშინ იწყება სახლის დალაგება, ფურის გაღვივება და მერე ნახატები, რომლებიც უკვე დავამთავრე და ეს რამდენიმე დღეა თავისუფალი დრო უფრო მეტი მაქვს. გუშინ, აცარულისის გამოფენაზე ვიყავი. ბევრი ნაცნობი ვნახე. ამადერნიეკი ხალიჩებით დაინტერესდა და მის საზოგადოებაში შესვლა შემომთავაზა.<sup>54</sup> მანვე მომიყვია, რომ მინისტრია კაბინეტმა [მომდევნო ტექსტში - მ.კ.], პარიზში გამოფენისთვის, ლატვიას

სტენდის მოწყობაში 1 მლნ. რბლ. გამოჰყო. მხატვრები ძალიან შეშფოთებულნი არიან. ამ საქმეს თითქოს ლატვიის ელჩი პარიზში ბატ. ვალტერსი<sup>55</sup> წარუძღვება. ეს ყველაფერი საგარეო საქმეთა სამინისტროს, და არა განათლების სამინისტროს, შუამავლობით მოეწყობა. თითქოს ნამუშევრებს განაფხულზე შემდეგარი გამოფენიდან აირჩევენ, რომელსაც გასულ წელს, ბატ. პაველე ხელმძღვანელობდა და ის, ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა იქნება.<sup>56</sup> ასევე, განხილვება მომავალ შემოდგომაზე პელსინგფორში.<sup>57</sup> გამოფენის მოწყობის შესაძლებლობის საკითხი. ბატ. პაველემ გამოფენაზე შეხვედრისას, მკითხა გავიშტეკბდი თუ არა მეც რამდენიმე ნამუშევარს. თავაზიანად დავპირდი რომ მივცემდი ნაკეთობებს. გამოფენის მოწყობის საკითხზე, მხატვართა საბჭომაც იმსჯელა. ვნახით, რა გამოვა. როდესაც სახლში დავბრუნდი, კუგასგან ბარათი მივიღე, ფინჯან ყავაზე მებატიყებოდა. წავედი. მათთან, ბატ. და ქალ. როზიტა<sup>58</sup> იყვნენ. თქვენგან მოკითხვა გადავეცი. ვისაუბრეთ და შემდეგ ერთმანეთს დავშორდით. სახლში, საშინელი მოწყენილობა იყო და ძალიან, ძალიან ციოდა. ამიტომაც, გადავწყვიტე რუსულ თეატრში წასვლა, რათა თავი გამერთო. თამაშობდნენ "სევდის მგალობლებს" ებრაული ცხოვრებიდან. არ მომეწონა. დღეს ჩვენთან დღესასწაულია - ლატვიის კონსტიტუციის აღიარების დღე. დილით ჩავატარე, ლექცია ხალიჩების ქსოვაზე, ქალ. როზიტთან, ექ კიდევ სამი ქალი მუშაობდა. [...] კიდევ რამდენი ხნით დარჩებით ბელგიაში? როდის დაბრუნდებით? მე ვფიქრობ ცოტა მოვიშატე, ყოველ შემთხვევაში ქალბატონმა ზალკალნამ<sup>59</sup> ასე მითხრა გამოფენაზე. [...]

იული<sup>60</sup>

იმადერნიეკისგან, საზოგადოება "სადარბა"-ში შესვლის შეთავაზებამ, მხატვარი ძალიან გაახარა. ასევე იმის აღიარებამ, რომ არ დავისწყებათ როგორც ხელოვანი და სტუდიის ადრინდელი მეგობარი. ეს წინადადება, დასაფიქრებელი იყო, საზოგადოებაში შესვლის შემთხვევაში მისთვის, ბევრი დროის დათმობა დასჭირდებოდა, ის კი მხატვარს არასოდეს ჰყოფნიდა. თავისუფალ დროს, ჩვეულებრივად, მხოლოდ კვირა დღეს, იგი ქალაქ რიგის ხელოვნების მუზეუმში მიდიოდა, "Hotel de Rome"-ს სარდაფში სადილობდა, რომელიც შემოქმედთა თავშესაფრის საყვარელი ადგილი იყო. ასევე, ნახულობდა ფილმს, ან თეატრალურ წარმოდგენას ესწრებოდა. მას არ აფიწყებოდა იმადერნიეკის შეთავაზება და რაც მეტს ფიქრობდა, მეტად რწმუნდებოდა საზოგადოებაში შესვლის აუცილებლობაზე. "სადარბას" მისანი იყო: "შესწავლოს, განავრცოს გამოყენებითი ხელოვნება, ხელიშეუწყოს შემოქმედების განვითარებას. ამგვარად, მან აიღო პასუხისმგებლობა, დაიცვას შემოქმედებითი ხელოვნების წარმომადგენლები, ხელოსნების ნამუშევრები



და ნაწარმის ხელშეუხებლობა, მათი უფლებები, რათა ნახატები თავისუფლად იქნეს გავრცელებული ხალხში.<sup>61</sup> 1925 წლის დასაწყისში, "სადარბას" საბჭოთა ახალი წევრის მიღება რამდენჯერმე განიხილა. იმავე წლის 2 მარტს, ისტრაუკე საზოგადოებაში გაწვევიანდა.<sup>62</sup> მან "სადარბას" უკვე მეორე გამოცემაში მონაწილეობა მიიღო ექვსი ხალხის ესკიზით, ორი ნიხით და ბალიშით. ა. სტრაუშეს მიერ შექმნილი ესკიზებით, მისი აღსაზრდელები ტექსტილს სპარსული ტექნიკით ქსოვდნენ. მხატვრის პედაგოგიურ და შემოქმედებით ნიჭიერებაში, საოსტატო სკოლას ექვსი არ ეპარებოდა, მაგრამ საქსოვი წარმოების განვითარებაში მისი წვლილი შესაბამისად არ დაფასდა. ამან მხატვრის შემოქმედებით ცხოვრებაში პრობლემებს გამოიწვია. ამასთან ერთად, განათლების სამინისტროში მიღებულ იქნა სკოლის დირექტორ ბატ. კანეპაია-ს წერილი:

"1926 წელი, 5 თებერვალი.

ქსოვის ცენტრს, რომლის ხელმძღვანელობაც ისტრაუშეს აკისრია, სამწუხაროდ, სწორი განვითარების გზა, ჯერ კიდევ არ აქვს არჩეული და არავინ იცის ეს როდის მოხდება. ფინანსურად ისინი ყოველთვის სხვაზე იქნებიან დამოკიდებულნი.

როგორც სჩანს, ისტრაუშესთვის, რომელიც გამოჩენილი ხელოვანი და კეთილსინდისიერი პედაგოგია, უცნობია წარმოების ორგანიზება და მისი მართვის საშუალებები, რაც ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია.

ცნობილია, რომ ჩვენს ტექსტილური წარმოების განვითარებას და მის მუშაობას, რომელსაც ფართოდ გავრცელების ბუნებრივი საფუძველი და შესაძლებლობა აქვს, ვარკვეულწილად ხელს უშლის კვალიფიციური მუშების არ ყოფილა, ისინი ძირითადად უცხოეთიდან შემოგვყავს. ქსოვის ცენტრის მოვალეობაა შეაქვას გამოასწოროს ეს სფერო, მოამზადოს კვალიფიციური მუშები, რომელთა პროფესიონალური მუშაობა აამაღლებს წარმოების ხარისხს და ამასთან ერთად უმუშევართა რიცხვიც შესამჩნევად შემცირდება. ასევე გართულება ჩვენს ვალუტის საზღვარგარეთ გატანა.

საქსოვი ცენტრის საქმიანობის პროფესიონალურობის ასამაღლებლად, მის ხელმძღვანელობა გამოცდილ სპეციალისტს უნდა გადაეცეთ. ასეთ ადამიანზე შემოიძლია დაგასახელო, ინჟინერ ტექნოლოგი, მექანიკური განყოფილება ხელმძღვანელი, ე.ერგენსონი. [...] ტექსტილურ წარმოებაში მომუშავე ოსტატებს ამ კანდიდატურას დადებითად აფასებენ. ამის გარდა, მომავალ სასწავლო წელს მექანიკურ განყოფილებაში განიხილება, ტექსტილის ახალი დარგის გახსნა, სადაც ჩვენი წარმოების მოსწავლეებს თეორიული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა ექნებათ.



მხედველობაში ვიღებ რა დაწყებულ საქმეს, მოვმართავთ პატივისცემით, თქვენი თანხმობისა და შესაბამისი ბრძანების მიღების იმედი მაქვს.

სკოლის დირექტორი: კანუპაი<sup>163</sup>

1926 წლის გაზაფხულზე, ქალაქ რივის ხელძღვანელობამ საოსტატო სკოლის ბიუჯეტი განიხილა და ქსოვის კურსები არარენტაბელურად აღიარა. ამიტომ, სწავლის დასრულების შემდეგ კურსების ხელძღვანელ თანამდებობიდან განთავისუფლება გადაწყდა. 1 ივნისს, იგი გადააყენეს და მასწავლებლად მუშაობის ნებართვა დართეს. ასეთი გადაწყვეტილებით გაოზნებული და შეწუხებული მხატვარი, „სადარბაში“ მიდის, ამ საკითხის განსახილველად. ისტრაუმეს მოსმენისას, წევრებმა გადაწყვეტის მომხრეების გარკვევა შესთავაზეს და შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხს ე.კუგს მიანდობენ. 17 მაისს, „სადარბა“-ში, ქალაქის ხელძღვანელობის გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ განიხილა, კუგმა ჩინოფნიკებს გარკვეული საქმის ვითარება გააცნო.<sup>164</sup> გადაწყდა, ხელძღვანელობას წერილი გაეგზავნოს, რომელშიც საქსოვი წარმოების აუცილებლობა განიმარტებოდა და ამ საქმის წარუმატებლობის მომხრეები განიხილებოდა. სამწუხაროდ, „სადარბას“ ცდა უშედეგო გამოდგა და ისტრაუმე განთავისუფლეს საოსტატო სკოლის კურსის ხელძღვანელის თანამდებობიდან. იგი პედაგოგიურ მუშაობას აგრძელებდა, მღელვარებას გარეგნულად არ იმჩნევდა. პატივისცემით ეპყრობოდა კოლეგებს და მოსწავლეების მიმართ ძველებურად მომთხონი დარჩა.<sup>165</sup>

იული სტრაუმეს ცდამ, ლატვიაში შინამრეწველობა განვიითარებინა და წარმოებასთან დაეხლოვებინა, მარცხი განიცადა. ამ მხრივ, საოსტატო სკოლა კარგი ბაზა იქნებოდა წარმოების განვითარებისთვის, მაგრამ ისტრაუმეს ეს ჩანაფიქრი სკოლის ადმინისტრაციას ვერ გაეგო ან არ სურდა გაეკება. თავისი საქმიანობით სტრაუმემ დაამტკიცა, რომ ხელოვნებას პირველ ადგილზე აყენებდა. მხატვარის მნიშვნელოვნება დომინირებს როგორც მცირე მრეწველობაში, ასევე ფართო მნიშვნელობის მქონე წარმოებაში. ამასთან ერთად, საოსტატო სკოლის ადმინისტრაციისთვის, მნიშვნელოვანი როლი ოსტატების მომზადებას ენიჭებოდა. წარმოების გასაფართოვებლად მუშა ხელი იყო საჭირო. ხარისხიანი მასალის უქონლობა სიმძლეებს ქმნიდა. რაც აუცილებელი პირობაა გამოყენებით ხელოვნებაში. მათზე და სხვა პრობლემებზე, ურიც ვალტერის თავის აზრს გამოთქვამდა:

“[-] ხელოვნების ნამუშევრების ელევანტურობა და სიმუბუქე, დამოკიდებულია არა მხოლოდ ნამუშაოს შესრულებაზე, არამედ მასალის ხარისხზე, აგრეთვე მის გამძლეობაზე. [-] ჩვენ, ტილოს ქსოვილის გამსაღებლები, სხვის წარმატებებს ამათიურად ვადევნებთ თვალყურს და მშვიდად ყურებას განვაგრძობთ. ისევე





როგორც, ჩვენი ბებები თავის ნაწილებს შესცქეროდნენ, რომლითაც არიან ინტერესდება და მიყვები არ გააჩნია. მზავსი მდგომარეობაა შალის წარმოებაშიც. [...] ჩვენი ცოდნის გასაღრმავებლად სხვა ხალხების გამოცდილება აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. რათა დაძველებმა ოსტატებმა, მოსწავლეებმა შეძლონ ის იქედების გაშართლება, რომელსაც მათ ვუკავშირებთ და ვაკეთონ ის რთული და დიდი საქმე რასაც მათგან მოვითხოვთ. ამაზე, მაგ: ოული მადღწევე ამბობდა: ძველი ეთნოგრაფიული ორნამენტის ახალ ყალიბში ჩასმა.<sup>161</sup>

სანამ, ლატვიელი შინამრეწველობის წარმომადგენლები ძველი ტრადიციებით მუშაობას აგრძელებდნენ, რამოდენიმე უცხოურმა ფირმამ, რომელთაც ლატვიური ეთნოგრაფიული მასალის საინტერესო მოტივები შეაქმნიეს, დაიწყეს წარმოებას მისი გამოყენება. როცა ასეთმა ნაწარმმა ლატვიის ბაზრამდე მოაღწია, პირველად შინამრეწველებმა შეაქმნიეს და მიხედნენ, რომ საქმე სერიოზულ კონკურენციასთან პქონდათ. მხატვრული მრეწველობის საზოგადოებამ, აღიარა, რომ ხანდაზმარე გართულ მექანიზებულ ტექნიკას შესაძლებლობა აქვს ხელსაქმე საკმაოდ ზუსტად შეასრულოს და ლატვიის კუსტარულ ნაწარმს კონკურენცია გაუწიოს სიახლეს თვალსაზრისით. ითვლებოდა, რომ: “[...] ასეთი მოვლენის წინაშე, მხატვრული მრეწველობის საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს და ამ გამოვლინებას კანონის მიერ ყოველგვარი დაშვებული საშუალებებით ებრძოდოს. შესაბამის ხელმძღვანელობას მიმართოს, დაუშტკიცოს როგორი სამუშაოების შესრულება შეეძლება ჩვენ ადგილზე.”<sup>162</sup>

სამწუხაროდ, არსებითი ცვლილებები, რომელიც შინამრეწველობის განვითარებას დაგვანახებდა, ლატვიაში არ მომხდარა. უნდა აღინიშნოს, რომ 20-30-იანი წლებს ლატვიაში დაბირისპირების წლები იყო. 1925 წელს, ერნესტ ბრასტენმა საზოგადოებას უკვე აფრთხილებდა: “თავი დაეიცვათ ევროპისგან. მხით აღფრთოვანდით მაგრამ ნუ ვაგვიტაცებს. ჩვენც გვაქვს უფლება ევროპის მზავსი კულტურის ფორმას არსებობისა. ევროპა არ არის ერთადერთი ხელოვნებასა და ცხოვრებაში სწავლეს როგორც მაგალითი შეიძლება გამოგვადგეს. ის თვითონ არის აზის ნახევარკუნძული, ბევრი რამ მოპარულია და ნახესხებია ისე, რომ უკან ვერაფერ დაიბრუნებს.”<sup>163</sup>

ამასთან ერთად იყო გამოსმაურებები, რომელთაც ავტორებიც სხვადასხვა შეხედულებებს გამოთქვამდნენ. გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში ნაციონალური ტრადიციების მნიშვნელოვნების იდეას, შექმნილი შეცვლებებისა არა

ხალხების დამამხადებელი განყოფილების აღსაზრდელთა სამუშაო ადგილი. 1925 წელი. ლეფსა, იმ. ნომ. 16113-K-P

მართო ოსტატები, არამედ ხელოვანი პროფესიონალები, რადგან ისინი საკუთარი სამუშაოს შესრულების სწორ მიმართულებაში არ იყვნენ დარწმუნებულნი. ისტრაუმესთვის ეს იდეა ნათელი იყო და მის სისწორეში ეჭვი არ შეპარვია.

მხატვარის ინტერესი, ეგზოტიკური აღმოსავლური ხალიჩების და კავკასიური ტექსტილის სამყაროს მიმართ, არ იყო გამოწვეული კავკასიაში თავის დროზე ევროპიდან შემოსული ინფორმაციის უკმარისობით. ისტრაუმე, კარგად ინფორმირებული იყო ხელოვნების სიახლეებში.<sup>66</sup> იგი, აღაფრთოვანა აღმოსავლეთის ხალიჩების მდიდრულმა ორნამენტმა, დატვირთულმა კოლორიტმა, დეკორატიული ორნამენტის საშუალებით სულის მდგომარეობის, კიდევ ერთხელ ცხოვრებაზე დაფიქრების და ამ სამყაროში ადამიანის დანიშნულების გადმოცემის შესაძლებლობაში. კავკასიელი ხალხის და ლატვიელების ცხოვრების წესებს შორის საერთო ნიშნები შეიმჩნეოდა. მხატვარმა, რამოდენიმე ერთნაირი ორნამენტის ელემენტის დანახვა შესძლო და იმედი ჰქონდა, რომ აღმოსავლეთის ძველი კულტურა და ლატვიის ხალხების ხელოვნება ერთმანეთს გაამდიდრებდნენ. ისტრაუმემ დამთვალეობა შეფასებისთვის და ლატვიელი ხალხის აღმოსავლეთის ხელოვნებით დაინტერესებისათვის 1928 წელს, საზოგადოება "სადარბას" გამოიყენაზე. ერთი ხალიჩის კომპოზიციის ნახატი, ორი ხალიჩა და კოლექცია "კავკასიელი ხალხების ხალიჩა, ქსოვილი და მისთვის დამახასიათებელი ელემენტების ნახატები" ჩააბარა (გვ. 39-52). ხელოვნების ნიმუშების შემსყიდველ კომისიას<sup>67</sup> ვერ გადაეწყვიტა, ხალიჩების ესკიზები, თუ ნახატების კოლექცია ეყიდა (სამოცი ნამუშევარი). საბოლოოდ, შორე ვარიანტი გადაწყვიტა. ავტორმა, მხედველობაში მიიღო რა ლატვიელების რთული ფინანსური მდგომარეობა, გადაწყვიტა კომისიის მიერ დადებულ ფასზე უარი ეთქვა და შედარებით იაფად გაეყიდა.<sup>68</sup>

ისტრაუმემ, საზოგადოების "სადარბა"-ს წევრებთან ერთად, საერთაშორისო ხელოვნების ცხოვრებაში შერწყმა გადაწყვიტა. 1928 წლიდან, საზოგადოების გამოიყენაზე მონაწილეობას იღებდნენ ევროპის სხვა ქვეყნების მხატვრებიც. 1929 წელს, "სადარბას" წევრებმა ბრიუსელში ჟორჟ ჟირის გალერეაში,<sup>69</sup> გამოიყენეს მზადება დაიწყეს. გამოიყენეს ხარჯებისთვის ფულს აგროვებდნენ (ნმლატი, ყოველ გადამხდელუნარიანი წევრისგან), გაარკვეეს რამდენი და რიგორი ნამუშევრით წარსდგებოდა თვითიული მხატვარი. ისტრაუმემ გამოიყენაზე ოთხი ხალიჩით მიიღო მონაწილეობა. "სადარბა"-ს ბრიუსელში წარსდგენას, ი.კუვი ხელმძღვანელობდა.

ქალაქ რიგის საოსტატო სკოლის სადურგლო კლასის აღსაზრდელები და მასწავლებლები. პირველ რიგში, მარცხნიდან პირველი - ერნესტ ბრასტინში, შორე - ოლი სტრაუმე. 30-იანი წლების პირველი ნახევარი.



1930 წლის იანვრის ბოლოს, იგი რიგში ჩამოვიდა, კოლეგებს უამბო საზღვარგარეთში მიღებულ შთაბეჭდილებებზე და გამოფენის მომზადებაში ლატვიის ელჩის ი.ლანდინას დახმარებაზე. მხატვრებმა გადაწყვიტეს, მადლობის ნიშნად ელჩს "სადარბა"-ს საბატიო წევრის წოდება ებოძებინათ და<sup>173</sup> დაეპაიქებინათ ბ.ტილიტა-ს მიერ შესრულებული ხალიჩით, რომლის დირუბულებაც 2200 ბელგორი ფრანკი იყო. ი.ლანდინაში, გამოფენის მსვლელობისას ხალიჩების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა, შეიძინა იმადერნიეკის და ისტრაუშეს ნამუშევრები.<sup>174</sup> ბრიუსელში მოწყობილი გამოფენიდან დაახლოებით 15 000 ბელგორი ფრანკი შემოვიდა საზოგადოების ბიუჯეტში.<sup>175</sup>

"სადარბა"-ში გაწევრიანებამ, ვარკვეულ წილად განაპირობა, ი. სტრაუშეს ლატვიის შემოქმედებით სამყაროში ადგილის დაკვიდრება და თავისი ნიჭის საზღვარგარეთ გამოვლენის შესაძლებლობა მისცა. კოლეგებმა მხატვარს საზოგადოების სარევიზიო კომისიაში სამუშაო მიანიჭეს.<sup>176</sup> ოსტატის მიერ შექმნილი ნამუშევრები ჩვეულებრივ ყოველწლიურ ექსპოზიციას ერწყმოდა, არც 1939 წლის "სადარბა"-ს ბოლო გამოფენა აღმოჩნდა გამონაკლისი. შემოდგომში, მხატვართა ჯგუფი შეიერთა ლატვიელ სახვითი ხელოვნების საზოგადოებამ, ხადაც "სადარბა"-ს თავისი სექცია ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ისტრაუშე, თავისებური ხასიათის პიროვნება იყო, მას ყოველთვის აინტერესებდა "სადარბა"-ში ხელოვნების საკითხებზე კოლეგებთან დისკუსია. ოსტატი თავის შეხედულებებს ხალხში იშვიათად გამოთქვამდა. 1930 წლის შემოდგომაზე, იყო შემთხვევა, როცა მას გაჩუმება არ შეეძლო, ეს იყო სკოლის მუხუშეში მოწყობილი გამოფენა, აღმოსავლეთის ქვეყნების გოგონაფაზისა და ეთნოგრაფიაზე. იგი უსიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა: "პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მართლაც აღმოსავლური ხალიჩების სახელოსნოში მოხვედი, მაგრამ როცა ირგვლივ მიმოიხედავ, იღუწია ქრება. [...] საქსოვი დაზგების ჩარჩოები უბრალოდ ვერტიკალურ მდგომარეობაშია, ამიტომ მხოლოდ ფეხზე დამდგარი შეიძლება მუშაობა. ასეთი ტიპის ჩარჩოებს აღმოსავლეთში არ იყენებენ. როგორც თვითონ ხელმძღვანელმა თქვა, ყველაფერი ეს რუსეთიდან ჩამოიტანა. თუკი აღმოსავლეთის ზოგერთ რეგიონებში კუსტარული დაზგებით ჯერ კიდევ მუშაობენ, ეს ჩვენთვის მისაღები არ უნდა იყოს, რადგან ტექნიკამ ამ სფეროში დიდ ცვლილებებს განიცადა. ზედა და ქვედა განივი კოჭები ისეთი თხელია, რომ ხალიჩის სიმსმით იღუნება. ამასთან ერთად, ის უნდა იყოს ისეთი მყარი, რომ სრახნის საშუალებით დაქანული ნართი სიმივით დაიჭიმოს, რათა ნაკეთობა თანაბარი და გამძლე იყოს. [...] გამოფენილი ხალიჩები არ არის დაჭიმული, ამიტომ მოდუნებულაა

არადა ის უნდა იყოს მტკიცე როგორც ბრეჟნეტი. [...] სპარსული ხალიჩები აღსანიშნავია არა მარტო თავისი მოხატულობითა და ფერთა შეხამებით, არამედ ტექნიკური შესრულებითაც და ამიტომ, თავისი გამძლეობით, ისინი უკვდავნი არიან. ასეთი მიდგომით შეიძლება შეიცვალოს უცხოელი კოლეგების, ჩვენი ქსოვილების მიმართ დაშოკადებულება. შეიძლება დაეკარგოთ წარმატებული ბაზარი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

გამოფენილ ხალიჩებს, ხაერთოდ არაფერი აკავშირებთ, არც სპარსულ და არც სმირნას<sup>77</sup> ხალიჩებთან.<sup>78</sup>

ლატვიის გაღიზიანება გასაგებია, რადგან იგი საქმის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას ვერ იტანდა, სხვა ხალხების ხელოვნებას და მის ტრადიციებს დიდად აფასებდა. ისტრაუშე იყო ძალიან ყურადღებიანი პიროვნება და არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ლატვიაში 30-იან წლებში, შინამრეწველობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, არაფინ იშურებდა სახსრებს. მას ეგონა, რომ ფულის ხარჯვა ყოველთვის არ იყო ეკონომიურად გამართლებული. ასევე, 1936 წელს, ე. ვალტური ამბობდა: “კარგი იქნებოდა, რომ ეხლანდელი მშენებლობის პროცესის დროს, ჩვენი შინამრეწველობა დამდგარიყო განვითარების სწორ ვზაზე, რომელსაც აღარ დასჭირდებოდა წინვლზე ზრუნვა და შესაძლებელი გახდებოდა კეთილსინდისიერი მუშაობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი შინამრეწველობის ხელოვნება მუაგზაზეა გაჩერებული და პრინციპული საკითხები ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშ დვას. [...] საუბარი, ჩვენს მიერ გამოყენებულ ხელოვნებასა და მის მომავალზე, არაერთხელ ტრიალებდა ამ პრინციპის გარშემო: შინამრეწველობამ უნდა გააგრძელოს ძველი ხალხების ხელოვნება, განაახლოს და ისევ და ისევ ახალად გარდაქმნას ეთნოგრაფიული მოხატულობა, თუ არის შესაძლებლობა სრულიად ახალი გზები ვეძებთ, გუცადით შევრწყათ ევროპის კულტურულ ხელოვნებას.”<sup>79</sup>

ლატვიის გამოყენებით ხელოვნებაში, საერთო სტილისტიკის ძიება ვრძელდებოდა. იმადერნიეკი ლატვიელი ხალხების ეთნოგრაფიას და ბუნებას შესწავლიდა. ზოგჯერ, მის ნაშრომებში აღმოსავლური ხელოვნების აკორდი გაიჟღერებდა სოლმე. აციურელისმა 30-იან წლების ლატვიაში, პოლიტიკური ცვლილებები გამოიყენა ნაციონალური სტილის შემუშავებაში და დროის მიმდინარეობას მიჰყვა. ვარკვეულ წილად ეს იყო მისი ბოპულარობის მიზეზი. თავის დროზე, ი. სტრაუშე ბუნების ფორმის შერწყმით კომპოზიციას გამდიდრებას აღიარებდა, მისთვის ახლო იყო, საზოგადოების ნაწილის ეგზოტიკური ხალხების (ასევე აღმოსავლეთის ხალხების) კულტურისა და ხალხური ხელოვნების საგნების მიმართ ინტერესი.



1924-დან 1927 წლამდე, ისტრაუმეს დაინტერესებას იწვევდა, ლატვიის ეთნოგრაფიული ქსოვილების გამოკვლევა. გუცნო ორნამენტების შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს. ამ დროს შეიქმნა ნამუშევრები, რომელთა კომპონენციაშიც მთავარი ადგილი ლატვიურ მონატულობას და ტონებს ეკავათ. მარამ მხატვრის შემოქმედებაში ნაციონალური რომანტიზმის გამოვლინება მიჩნეულია იყო და ძირითადად მის მიერ შექმნილ ტექსტილში ვლინდებოდა.

1928 წლიდან, ისტრაუმე თავის ნამუშევრებში სხვადასხვა ხალხების ხელოვნების ძველ ტრადიციებს უფრო მეტად იყენებს. ზოგჯერ, იგი კავკასიელი ხალხის ხელოვნებაში ნახახი ბუნებრივი მოტივების სტილიზაციის გავლენის ქვეშ მსხვერპლად სხვა დროს კი საკუთარ სტილიზაციას იყენებს. თავისი არსით, ისტრაუმე რომანტიკოსია და სამყაროს ლატვიურად აღქმის უნარი არ დაუკარგავს. მან განსაკუთრებული სიზუსტით შესძლო შეეცნო, აღმოსავლეთის ხალხების ნაციონალური თავისებურებები. მაგალითად, ზოგიერთ მის ნამუშევრებში შხის მოტივს მთლიანად აღმოსავლური ინტერპრეტაციით ვხვდავთ, მარამ მხატვარი ლატვიური განწყობის ტექსტილში ჩადებას ახერხებს, კომპონენციაში აქსოვს ლატვიელებისთვის დამახასიათებელ სხვა მონატულობის ელემენტებს და საღებავის ტონებს.

ისტრაუმემ თავისი საკუთარი ხელწერა შემოუშავა, რომელიც შეუფარდა ევროპულ და აღმოსავლური ფერების გადაწყვეტას, როგორც ფორმით ასევე ნაკეთობის თემატიკით. იგი მსოფლიო კულტურის ძველი ტრადიციებით არ შემოიფარგლა და ამავე დროს ნამუშევრის ნორმაზე მეტად ლატვიური მონატულობით გადატვირთვისგან თავს იკავებდა. უნდა აღინიშნოს, რომ 20-30-იან წლებში, ისტრაუმეს ნამუშევრები დიდი პოპულარობით არ სარგებლობდნენ. განსაკუთრებით 1934 წლის შემდეგ. მაშინ ლატვიაში, ხელოვნების ახალი მიმართულება გამოჩნდა. აბინე აღნიშნავდა: *“წ მამამ, ჩვენს სახელწიფოში ცნობიერებას შეცვალა, ლატვიურ სტილზე ორიენტირება იწყეს, არა მარტო კულტურის მუშაკებმა და შემოქმედებმა, ამ მიმდინარეობას შემოუერთდნენ ქარხნის მუშაკთა ოსტატები, მასწავლებლები, შინამრეწველები და ჩენი ინტელიგენციის წამყვანი ნაწილი. [...] განახლებული კულტურის სტილი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი - მხოლოდ ლატვიური სტილი.”*<sup>30</sup>

ისტრაუმეს შემოქმედების ჩამოყალიბებაში, შესაძლებელია ძალიან იმოქმედოს სამშობლოსთან მისმა ხანგრძლივმა განშორებამ. 20-იანი წლების დასაწყისში

ისტრაუმეს ხალიჩა, ლატვიის ქალთა ლიგაში მოქსოვილი, ექსპონირებული დეკორატიული მრეწველობის პირველ გამოფენაზე, 1937 წელი.

ღსა, ფ. 902, აღწ. 2, საქ. 29, გვ. 6.

მისი პირველი ნამუშევრები პეტერბურგსა და პარიზში შეგვეძლო გვეჩანა. როდესაც ლატვიელებს პროფესიონალური გამოყენებითი ხელოვნების მიმართ ფართო ინტერესი არ გაჩნდათ. როგორც გერმანული კულტურა დომინირებდა, მისი გავლენა სოფელშიც იგრძნობოდა. ამ დროს, ი. სტრაუშუმ უგუნდური ფერებისა და ფორმის სტილი გაითავსა. ევროპის ქვეყნებში ნანახმაცა და კავკასიელი ხალხის ხელოვნებამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე. როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახალ სახელმწიფოში ლატვიის რესპუბლიკაში, ძველი ტრადიციების მიმართ ხალხის ინტერესმა გაიღვიძა, იმ დროს ი. სტრაუშუმ კავკასიაში ცნობილი გახდა და არ შეეძლო რიპარდ ზარინშის მხარდამჭერთა წრეში შესვლა, რომელიც ხალხს ლატვიის ეთნოგრაფიის სერიოზულად მიღებისკენ მოუწოდებდა. მხარს ვერც იული მაღერნიეკს დაუჭერდა, რომელიც გამოყენებით ხელოვნებაში შემოქმედებით მიდგომას იცავდა. ისტრაუშუმს ნამუშევრებიდან გამომდინარე, მასთვის ახლო უნდა ყოფილიყო ი. მაღერნიეკის თვალსაზრისში. ი. სტრაუშუმ ლატვიაში მუშაობა რომ დაიწყო, აღმოაჩინა ლატვიისა და სხვა ხალხების ხელოვნების დაახლოების და შერწყმის შესაძლებლობა. ამასთან ერთად, შესაძლებელი იქნებოდა ხაზის უბრალოებისა, ფორმისა და კომპოზიციის გავების შენარჩუნება, რაც ლატვიური ეთნოგრაფიის ტრადიციებისთვის იყო დამახასიათებელი. ხალიჩების მხატვარმა, როგორც ფონის მონატულობა (ცენტრის ძირითადი ნაწილი ზომიერად არის მონატული), ასევე აღმოსავლეთის ხალხების ტექსტილის მედალიონის მსგავსი კომპოზიცია გამოიყენა. სპარსული ტექნიკით მოქსოვილი ხალიჩებისთვის დამახასიათებელია, რომ ცენტრალურ ნაწილს გარს ერტყმის სხვადასხვა სისქის ზოლი.

ისტრაუშუმს ხალიჩები და მისი ესკიზები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი ჯგუფის კომპოზიციაში ცენტრალური ნაწილი თანაბრად შევსებულია და გარშემორტყმულია კიდევით, რომელიც ერთი ან რამდენიმე ზოლით არის შექმნილი, ამასთან ერთად კიდევების ორნამენტები დიდი და კამკამაა. როცა კიდევების და ცენტრალური ნაწილის პროპორცია ერთმანეთს უახლოვდება, მაშინ ხალიჩის კიდევები ცენტრალური ნაწილიდან თითქმის შეუმჩნეველია. მაგალითად, ესკიზი "ჩვენი ყვავილები" (გამ. 70). თუკი ცენტრალური ნაწილი უფრო ორნამენტირებულია, არ იქნება არაპროპორციულობის გაცდა, სტილისტური მხეხუშინარის მოტივი ერთიანად აქტიურია, როგორც ძირითად ფონზე. ასევე კიდევებზე და მხოლოდ სიდიდით უმნიშვნელოდ განსხვავდება. პირველი ჯგუფის ხალიჩების კომპოზიციაში განსხვავება თბილი და ცივი ტონების ვადაწყვეტილებებში გამოიხატება. სხვა ვარიანტებში ცენტრალური ნაწილი, უმნიშვნელო მონატულობითაა შევსებული. კიდევებზე შემავესებელი კუთხვებია შექმნილი. როგორც მაგალითი შეიძლება აღვნიშნოთ, ხალიჩა "გველთევზა" (გამ. 55), რომლის





ცენტრალურ ნაწილში გეომეტრიული ელემენტები თანაბრადაა განაწილებული, რომლებიც მეთრდება ასევე კიდევების შუა ზოლში. ამასთან ერთად, კიდუ უფრო აქტიურია, რადგან ღია წითელ ფონზე თეთრი ექვსკუთხედი და კვადრატის ჩაქსოვილი ორნამენტი გამოიყოფა. ამ ჯგუფის ზოგიერთ ნამუშევრებში მხოლოდ გეომეტრიული მონატულობაა გამოყენებული, სხვა დანარჩენებს აერთიანებს მცენარეთა, ადამიანთა და ცხოველთა სტილიზაცია. გეომეტრიული ორნამენტები და სტილიზაცია ასეთი სახით შეიძლება იყოს ვარირებული:

კიდები - სტილიზაცია, ცენტრის გეომეტრიული მონატულობა;

კიდები - გეომეტრიული მონატულობა, ცენტრის სტილიზაცია;

როგორც შუა ნაწილს ასევე კიდებს ორნამენტთა სტილიზებულ ფორმებს შერწყმა

ხალიჩა, "ცეცხლოვანი ჯვრები," (გამ. 61), მონატულობის მთავარი მოტივი სვასტიკა, მნატვარმა ღია ქვიშისფერი ტონებით წარმოადგინა. საფუძველსა და კიდის შუა ზოლების ოთხკუთხედში კომპონირებული ორნამენტები, თითქმის ერთნაირი სიდიდისაა. მთელი ცენტრალური ნაწილის ელემენტები დიაგონალურადაა განლაგებული. ასეთი მდებარეობა აღმოსავლური ტექსტილისთვისაა დამახასიათებელი. ასევე, მე-19 საუკუნის ბოლოს, კუბასა და შირვანაში<sup>81</sup> შექმნილი კილიმებისთვისაც.

მეორე ჯგუფისთვის დამახასიათებელია სიმეტრია, აქ მნიშვნელოვანია ცენტრალური კომპოზიცია, რომელზეც დანარჩენი ელემენტებია განლაგებული. ბალიშებზე, ძირითადი ორნამენტი უფრო მეტად აქტიურია (გამ. 56) მისი კიდები ცენტრის, რვაკუთხედთან და კვადრატთან შედარებით ფართოა, მაგრამ უფრო მეტად შუა ნაწილი დომინირებს - ვინუალური და სიმბოლიკური ცენტრ ტექსტილის კიდები არც ფერის ან ფორმის მხრივ არ არის აქტიური, ის წინსწრედ მონატულობას ფერთა პარმონიაში, ხაზი ესმევა მუქი და ღია ფერებს დამოკიდებულებას, ნაკლებია - თბილი და ცივი ტონების ვადაწყვეტილება. ხალიშებს გამოყენებულია როგორც გეომეტრიული ორნამენტი, ასევე ადამიანის, მცენარის და ცხოველის სტილიზაცია. ცენტრალური ნაწილი ხანდახან ღიაა, სვადრის მუქი - თბილი ან ცივი ტონი. ხასიათობრივი არის ხალიჩა, "ბებლები" (გამ. 55) ღია მქრალი ყვითელი ფონი სტილიზებულ, ერთი მიმართულებით დაჯგუფებულ ბებლებს ქმნის. მსგავსია, მაგრამ კარაბახის ხალიშებზე ბევრად უფრო სავსე მოტივია. ტექსტილში "ბებლები," კიდებზე გეომეტრიული ელემენტია ჩაქსოვილი - "სოლითა ვროვა" რომელიც, კონაგკენდას<sup>82</sup> ხალიშებშია გამოყენებული, მაგრამ ასევე, ლატვიურ ეთნოგრაფიაში შეიმჩნევა. ასტრაუქე ბევრ ესეზში და ხალიშებს მონატულობაში სტილიზებული ადამიანის ფიგურას და გეომეტრიულ ორნამენტს, უბრალო ფონზე ასახავს (გამ. 63).

